

## **სასამართლო დაცვი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე**

2025, №2

**Decisions of the Supreme Court of Georgia**

**on Civil Cases**

(in Georgian)

2025, №2

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen**

(in der georgischen Sprache)

2025, №2

**Решения Верховного Суда Грузии**

**по гражданским делам**

(на грузинском языке)

2025, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

## **კითხვა გადაწილია**

ტექნიკური რედაქტორი

## **გარიკა გადაჭავილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საპიროლო

<b>1. ჩუქება</b>	
ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმაღურობის გამო .....	4
<b>2. ლიზინგი</b>	
ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა .....	17
<b>3. სესხი</b>	
სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება .....	46
<b>4. ნარდობა</b>	
მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება .....	64
<b>5. გადაზიდვა-გადაყვანა</b>	
გადაზიდვის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის დაკისრება .....	87
<b>6. დავალება</b>	
რწმუნებულის მიერ უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულება .....	96
<b>7. შუამავლობა</b>	
გასამრჯელო ხელშეკრულების დასადებად განვითარებისთვის .....	112
<b>8. დაზღვევა</b>	
სადაზღვევო თანხის გადახდისგან მზღვეველის გათავისუფლების საფუძველი .....	134
<b>9. თავდებობა</b>	
თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები .....	160

## 1. ჩუქუპა

### ჩუქუპის გაუქმება დასაჩუქრებულის უმაღლობის გამო

#### გადაცვეტილება საქართველოს სახელით

№ას- 1390-2022

23 ივნისი 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ა. ძაბუნიძე  
თ. ძიმისტარაშვილი

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, ქონების საკუთრებაში დაბრუნება

#### აღნიშვნილობითი ნაწილი:

1. ზ. ჭ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – ქ. ხ-ის მიმართ, მოითხოვა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2019 წლის 31 ივლისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და მოპასუხისათვის ნაჩუქარი შ.პ.ს. „ჰ“-ს 40% წილის საკუთრებაში დაბრუნება.

2. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ამავე სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის №2/7634-21 განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოპასუხისათვის შ.პ.ს. „ჰ-ში“ საკუთრების უფლებით რიცხული წილიდან 40%-იანი წილის გასხვისებისა და გირავნობით დატვირთვის აკრძალვა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება შ.პ.ს. „ჰ“-ს (ს/ხ ...) კაპიტალის 40% წილზე და შ.პ.ს. „ჰ“-ს

კაპიტალის 40% წილი საკუთრებაში დაუბრუნდა მოსარჩელეს. გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას:

5.1. შ.პ.ს. „ჰ“-ს 100% წილის მესაკუთრეს და კომპანიის დირექტორს 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით წარმოადგენდა მოსარჩელე.

5.2. 2019 წლის 31 ივლისს მოსარჩელეს (შ.პ.ს. „ჰ“-ს დირექტორი და ამავდროულად 100% წილის მესაკუთრე) და მოპასუხეს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა შ.პ.ს. „ჰ“-ს 40% წილი. მოპასუხემ თანხმობა განაცხადა საკუთრებაში მიეღო უსასყიდლოდ გადაცემული საწარმოს 40% წილი. ამავე ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეცვლილიყო წესდება და საწარმოს დირექტორის ცვლილება განხორციელებულიყო 51% წილის მფლობელ/მესაკუთრე პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო დანარჩენი მონაცემები დარჩენილიყო უცვლელი.

5.3. შ.პ.ს. „ჰ“-ს წილებზე პარტნიორთა საკუთრების უფლება გადანაწილებულია შემდეგი წესით: მოსარჩელე წარმოადგენს კომპანიის 20% წილის მმართველს, მოპასუხე არის 60% წილის მმართველი და დირექტორი, ხოლო პ. მ-ი - საწარმოს 20%-იანი წილის მმართველი.

5.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა და სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გამხდარა გარემოება, რომ 2019 წლის 31 ივლისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება მხარეთა ნამდვილ ნებას გამოხატავდა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა გარემოება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე რეალურად კომპანიის წილების გადანაწილება განხორციელდა.

5.5. შ.პ.ს. „ჰ“ უძრავი ქონება საკუთრებაში არ ერიცხება. კომპანიის სახელზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცემა არ მომხდარა.

5.6. მოპასუხემ, როგორც შ.პ.ს. „ჰ“-ს დირექტორმა მოსარჩელეს აცნობა, რომ კომპანიის 2020 წლის წლიური ანგარიშის გადაგზავნა არ განხორციელდა, რადგან კომპანიას ბრუნვა არ ჰქონია.

5.7. მოპასუხის დაკვეთით, შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ“-ს მიერ 2020 წლის 10 მარტს მომზადებული შ.პ.ს. „ჰ“-ს ფინანსური ანგარიშების თანახმად, საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, შ.პ.ს. „ჰ“-ს ვალდებულებებმა და კაპიტალმა 730 189 ლარი შეადგინა.

5.8. იმავე კომპანიის – შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ“-ს მიერ 2021 წლის 29 მარტს მოსარჩელის სახელზე მომზადებულ მიმართვაში მითითებულია, რომ 2020 წლის 10 მარტს შ.პ.ს. „ჰ“-სათვის მომზადებული კვლევის შემდგომ,

მათთვის მოსარჩელის, როგორც შ.პ.ს. „ჰ“-ს დირექტორის მიერ წარდგენილი იქნა 2018 წლის 26 სექტემბრიდან 2019 წლის 15 აგვისტომდე სალაროდან ნალდი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხების (თანამშრომელებზე გაცემული ხელფასები და სამშენებლო მაღაზიებიდან ნაყიდი საქონლის საფასური) შესახებ ცნობების ასლები, რომლის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იცვლება კომპანიის წინაშე დასმულ კითხვებზე გაცემული თითოეული პასუხი. ამავე მიმართვაში მითითებულია, რომ აღნიშნული ინფორმაციის სისწორის დადასტურების შემთხვევაში, შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ“-ს მიერ 2020 წლის 10 მარტის კვლევაში დაფიქსირებული პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა და უნდა მომხდარიყო კომპანიის მიერ გაცემული პასუხების კორექტირება.

5.9. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სარჩელზე თანდართულ 2020 წლის 17 დეკემბერს შ.პ.ს. „ჰ“-ს მიერ მოსარჩელისა და სხვების მიმართ აღძრულ შეგებებული სარჩელის ასლზე, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „შ.პ.ს. „ჰ“-ს ყოფილი დირექტორების: მოსარჩელისა და პ. მ-ის მიერ კომპანიის საბაზო ანგარიშიდან ხელზე გატანილი და მითვისებული თანხა, ჯამში შეადგენს 273 954 ლარს“ (მე-2 ფაქტობრივი გარემოება); „... შ.პ.ს. „ე-ა“ არაკეთილსინდისიერ როლს ასრულებს... მოსარჩელის ერთობლივ თაღლითურ სქემაში... ზემოხსენებული პირები მართლსანინააღმდეგოდ ცდილობენ საზოგადოების კუთვნილი აქტივების მითვისებას (მე-8 ფაქტობრივი გარემოება)... საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ თ. ა-ი, მოსარჩელე... მოქმედებდნენ ერთობლივად, წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებულად იმ მიზნით, რომ პირადი გამორჩენისთვის უკანონოდ მიეთვისებინათ შ.პ.ს. „ჰ“-ს კუთვნილი აქტივი და ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინათ კომპანიისათვის...“.

5.10. მოსარჩელის განმარტებით, მისთვის შეურაცხმყოფელია არა დასაჩუქრებულის მხრიდან პოლიციაში საჩივრის და/ან სასამართლოში შეგებებული სარჩელის შეტანის ფაქტები, არამედ ის შინაარსი, რაც მოცემულია ამ დოკუმენტებში. საგამოძიებო ორგანოში შეტანილ საჩივარში მითითებული ფაქტები მის მიმართ შეურაცხმყოფელია, რადგან სინამდვილეს არ შეესაბამება. ამასთან, შეგებებულ სარჩელში მოსარჩელე მოხსენებულია, როგორც თაღლითი, მფლანგველი და სხვისი ქონების მიმთვისებელი, რაც არა მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა, არამედ ამავდროულად უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევაა. შეგებებულ სარჩელში მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელეს აყენებს შეურაცხყოფას როგორც პირად, ასევე, საჯარო სივრცეში, რაც ლახავს მის პატივსა და ლირსებას.

5.11. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელის წინააღ-

მდეგ წარდგენილი შესაგებლით მოპასუხემ არათუ უარყო სარჩელში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ იგი მოსარჩელეს შეგებებულ სარჩელში მოიხსენიებდა თაღლითად, არამედ მიუთითა, რომ მოსარჩელმ მიითვისა კომპანიის კუთვნილი თანხები, რაც დადასტურებულია აუდიტის დასკვნით და რის გამოც ის იძულებული გახდა აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სამართალდამცავ ორგანოებში შეტანილ განცხადებასა და შეგებებულ სარჩელში მოპასუხე მოსარჩელეს ადანაშაულებდა კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულების ჩადენაში, ფაქტობრივად აღიარებულია და პირდაპირ დასტურდება ამ საქმეში მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლით, რომელშიც ასევე მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელის მხრიდან კომპანიის კუთვნილი თანხების გაფლანგვას და შემდგომ მაქინაციებს ადგილი არ ექნებოდა, მოპასუხე ბოლიციაში განცხადებას არ შეიტანდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოპასუხე მოსარჩელეს ადანაშაულებდა კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

5.12. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე არ წარმოუდგენია სააპელაციო შესაგებელი – მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი საპროცესო სამუალება, რომელიც მიმართულია იმ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ, რომელიც ეხება პირველ ინსტანციაში მითითებულ ფაქტებსა და წარდგენილ მტკიცებულებებს.

5.13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საერთაშორისო და შიდა საკანონმდებლო ნორმებით უდანაშაულობის პრეზუმუცია აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი უფლება და დაცვის გარანტი პირისთვის, რომელსაც ბრალს სახელმწიფო სდებს. მიუხედავად იმისა, რამდენად ძლიერია მტკიცებულებათა ერთობლიობა ან რამდენად მაღლალ სტანდარტს აკმაყოფილებენ ისინი, არავის აქვს უფლება დაარღვიოს პირის უდანაშაულობის პრეზუმუცია – უფლება, რომელიც ბრალდებულს აძლევს საშუალებას არ გახდეს საზოგადოებისგან იზოლირებული. ამ უფლების დაუცველობა ინვესტიციების პირის პატივისა და ღირსების შეღავას, ვინაიდან დანაშაულთან დაკავშირებით დაუდასტურებელი გარემოებების შესახებ ინფორმაციას შეუძლია შეარყიოს პირის იმიჯი და მოახდინოს მისი დისკრედიტირება.

5.14. პალატის მითითებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ მოპასუხის სადავო განცხადებები შეფასებით მსჯელობას განეკუთვნება, დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, უნდა არსებობდეს მისი დამადასტურებელი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მიიჩნევა გადაჭარბებულად (შდრ.

მ. ჯიშკარიანი – საქართველოს წინააღმდეგ). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ მოპასუხის განცხადებები ემყარება მხოლოდ შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ“-ს 2020 წლის 10 მარტის კვლევას, რომლის უზუსტობაც მოგვიანებით აღიარებულია თავად ამ კომპანიის მიერ, ამასთან, დადგენილი იყო, რომ მიუხედავად მოპასუხის სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვისა, ამ დრომდე მოსარჩელის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

5.15. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოპასუხის განმარტება, რომლის თანახმად, ის მოქმედებდა „საწარმოს უფლებების დაცვის მიზნით“ და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ, უდანაშაულობის პრეზუმიციის დარღვევით, „საწარმოს უფლებების დაცვის მიზნით“ მოსარჩელის დადანაშაულება კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ვერ გადაწონიდა პირის რეპუტაციის დაცვის უფლებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, ეს პირი მჩუქრებულია და ჩუქრების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულს ზნეობრივად ქცევის ვალდებულება აკისრია.

5.16. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ვლინდებოდა სადაც ჩუქრების ხელშეკრულების გაუქმებისა და შ.პ.ს. „ჰ“-ს 40% წილის მოსარჩელის საკუთრებაში დაბრუნების საფუძველი.

6. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

6.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ენინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, ფაქტობრივად ცვლის სამოქალაქო ბრუნვის წესს, გამჩქრებულს აყენებს იმგვარ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რომ მისი მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დასაჩუქრებულს უზღღუდავს კანონის მიერ ვალდებულებას, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან ამგვარი მიმართვა მძიმე შეურაცხოფად აღიქმება და ჩუქრების ხელშეკრულების გაუქმებას განაპირობებს.

6.2. ჩუქრების ხელშეკრულების გაუქმების ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობები არ იკვეთებოდა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არსენორად შეაფასა მოპასუხის მხრიდან სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვა მოსარჩელის მიმართ მძიმე შეურაცხოფად, ასეთი მიმართვა არ წარმოადგენს შეურაცხოფას. კასატორს საჯარო სივრცეში ან სოციალურ ქსელში არ განუცხადებია მოსარჩელის შესახებ, მან განცხადებაში გარემოებები აუდიტის დასკვნის შესაბამისად მიუთითა, რაც მძიმე შეურაცხოფად არ უნდა შეფასებულიყო.

**6.3.** სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, მოპასუხის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თაობაზეც მცდარია. ბუნებრივია, რომ დანაშაულის შესახებ განცხადებაში ყოველთვის იწერება პირის მხილების შესახებ და თუკი თაღლითობა ან მითვისებაა ჩადენილი, ესეც უნდა აღინიშნოს. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა ხდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მხრიდან საჯაროდ გაკეთებული განცხადების შედეგად და არა მოქალაქის მიერ სამართალდამცავ ორგანოში დაწერილი განცხადებით, რომლითაც იგი კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით ადანაშაულებს სხვა მოქალაქეს. აღნიშნული ცალსახად არ წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

**6.4.** გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუკი გამჩუქებელი ჩაიდენს დანაშაულს დასაჩუქრებულის მიმართ, ამუკანასკნელს ეკრძალება რეაგირება, ვინაიდნა ეს შეიძლება აღქმული იქნეს გამჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფად.

**6.5.** საგულისხმოა ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს დანაშაული შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს კომპანიისა და არა მოპასუხის მიმართ, რაც სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა.

**6.6.** სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა გამოყენებული ნორმები, საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მოშველიებით, კლასიკური ჩუქება უსაფუძვლოდ მიუსადაგა კომპანიაში ნიღების გადანაწილებას.

**6.7.** არასწორად დადგინდა ფაქტობრივი გარემოება, თითქოს შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ“-ს მიერ 2020 წლის 10 მარტის კვლევა იმავე კომპანიის ნერილით მოგვიანებით უზუსტოდ იქნა აღიარებული. სასამართლომ შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ-შ“ მიერ 2021 წლის 29 მარტს მოსარჩელის სახელზე გაცემულ წერილს უსაფუძვლოდ მიანიჭა მნიშვნელოვანი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების სტანდარტი, სენიორში საუბარია შესაძლო, სამომავლოდ ფაქტებისა და ღოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაზე, კერძოდ, იმაზე, რომ დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, შეიცვლებოდა შედეგები, რაც დღემდე არ დადასტურებულა, რადგან მოსარჩელის მიერ ძველი თარიღით შედგენილი ხელნაწერი აქტები ვერ გადაწონიდა საგადასახადო პორტალზე ატვირთულ ფაქტურებს, რაზედაც შ.პ.ს. „ფ.მ.ჯ-მა“ დამატებით გასცა კიდევ წერილი 2021 წლის 30 ივლისს, ანუ ის ძირითადი დასკვნა, რომელიც ერთვოდა პირველ ინსტანციაში შესაგებელს უცვლელია ამჟამადაც, სწორედ აღნიშნულმა განაპირობა მოპასუხის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა.

**6.8.** აღსანიშნავია, რომ შეგებებული სარჩელი, რომელზეც ყურად-

ღება იქნა გამახვილებული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო, შესაბამისად, მის-თვის მტკიცებულების ძალის მინიჭება დაუშვებელია.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

9. წინამდებარე საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, წარმოადგენს თუ არა მოპასუხის მიერ პოლიციაში შეტანილ საჩივარში და შ.პ.ს. „ჰ“-ს მიერ სასამართლოში წარდგენილ შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოებები დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ გამოხატულ მძიმე შეურაცხყოფასა და დიდ უმადურობას.

10. განსახილველ შემთხვევაში, საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

10.1. 2019 წლის 31 ივლისს მოსარჩელემ, რომელიც წარმოადგენდა შ.პ.ს. „ჰ“-ს „დირექტორსა და ამავდროულად 100% წილის მესაკუთრეს, მოპასუხეს აჩუქა შ.პ.ს. „ჰ“-ს 40% წილი.

10.2. ამჟამად, შ.პ.ს. „ჰ“-ს 60% წილის მესაკუთრე არის მოპასუხეს, რომელიც ასევე კომპანიის დირექტორია, 20% წილს ფლობს მოსარჩელე, ხოლო 20% წილის მფლობელი პარტნიორია პ. მ-ი.

10.3. 2019 წლის 31 ივლისს მხარეებს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება მხარეთა ნამდვილ ნებას გამოხატავდა და ჩუქებით სხვა გარიგება არ დაფარულა.

10.4. მოპასუხის მიერ პოლიციაში წარდგენილი იქნა განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც, მოსარჩელე დაბარებული იქნა გამოკითხვა-

ზე პოლიციის სამმართველოში.

10.5. სხვა სამოქალაქო საქმის სამართალწარმოების ფარგლებში, 2020 წლის 17 დეკემბერს ქ.პ.ს. „ჰ-მა“ მოსარჩელისა და სხვა პირების მიმართ სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „შ.პ.ს. „ჰ-ს ყოფილი დირექტორების: მოსარჩელისა და პ. მ-ის მიერ კომპანიის საბანკო ანგარიშიდან ხელზე გატანილი და მითვისებული თანხა, ჯამში შეადგენს 273 954 ლარს“ (მე-2 ფაქტობრივი გარემოება); .... შ.პ.ს. „ე-ა“ არაკეთილსინდისერ როლს ასრულებს.... მოსარჩელის ერთობლივ თაღლითურ სქემაში... ზემოხსენებული პირები მართლსანინააღმდეგოდ ცდილობების საზოგადოების კუთვნილი აქტივების მითვისებას (მე-8 ფაქტობრივი გარემოება)... საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ თ. ა-ი, მოსარჩელე... მოქმედებდნენ ერთობლივად, წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებულად იმ მიზნით, რომ პირადი გამორჩენისთვის უკანონოდ მიეთვისებინათ შ.პ.ს. „ჰ-ს კუთვნილი აქტივი და ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიეყნებინათ კომპანიისათვის...“.

11. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ჩუქების ხელშეკრულებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც წიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არ აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო.

12. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე კომპანიის წილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ მას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა და დიდი უმაღლერობა გამოიჩინა.

აღნიშნული საფუძვლით ზოგადად ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ერთ-ერთ დავაზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმაღლერობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი საბის შეურაცხყოფას ან უმაღლერობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმაღლერობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი

ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმაღლერობა“ (იხ. ს.უ.გ. №ას- 1235-1176-2014, 24.02.2015 წ.; №ას- 582-2021, 14.07.2021; №ას-471-450-2015, 20.11.2015).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველ-ზე დაფუძნებული ურთიერთობა. „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის“ (იხ. ბ.ზონდე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 29).

ნაჩუქრობა არის სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გამოვლინება. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ უკავშირდება დასაჩუქრებულის მხრიდან, მართალია, არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 1/2/155, 01 აპრილი, 2003).

13. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა შ.პ.ს. „ჰ-შ“ კაპიტალის 40% წილი 2019 წლის 31 ივლისს მოსარჩევსთან გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე არის შ.პ.ს. „ჰ-ს“ კაპიტალის 60% წილის მფლობელი პარტნიორი და დირექტორი და მიუთითებს, რომ სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს, დაფუძნებას, კორპორაციული მართვის სისტემებს, პარტნიორისა და დირექტორის უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, პარტნიორის წილი არის საკუთრების საგანი, რომელთანაც დაკავშირებულია პარტნიორის უფლე-

ბები და მოვალეობები. ამგვარადვე განიმარტებოდა პარტნიორის წილის ცნება სადაც პერიოდში მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონიდან გამომდინარე (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კომიტარი, მესამე გამოცემა, ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, გვ. 272). ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქტის პირველი მუხლი ასევე მოიცავს საწარმოს წილზე საკუთრების უფლებას (Bramelid and Malmström v. Sweden (განაცხადის N. 8588/79, 8589/79; 1982).

14. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულებით კონტრაპენტი იღებს საკუთრების უფლებას, რომელიც „ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის“ დამატებითი ოქტის პირველი მუხლითავა გარანტირებული. ნორმით დაცული სიკეთით სარგებლობის მიმართ კონვენცია წევრ სახელმწიფოებს შეფასების ფართო ზღვარს უდგენს, თუმცა, საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ლეგიტიმურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს და დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, რათა მესაკუთრის გარანტირებული უფლებები არ დაირღვეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით დასახელებული დანაწესის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმაღლურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობას კანონი ისეთი განსაკუთრებული გარემოების არსებობას უკავშირებს, როგორიც არის: 1. დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფა, ან/და 2. მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოვლენილი დიდი უმაღლურობა. მითითებული ნორმა ხაზს უსვამს მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმაღლურობის შემთხვევებს. კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მძიმე შეურაცხყოფად, ან დიდ უმაღლურობად, რომლის გამოცემიდება, გაუქმდეს ჩუქების ხელშეკრულება. ამდენად, სასამართლო ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს დასაჩუქრებულის უმაღლურობის ხარისხი და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დასაჩუქრებულის ქმედება არაზნეობრივ, გასაკიცხ საქციელს, რაც შეიძლება უმაღლურობის გამოვლენად, შესაბამისად, ჩუქების გაუქმების საფუძვლად შეფასდეს (სუსგ N-ას-62-59-2012, 05.11.2013წ. N-ას-290-276-2016, 25.05.2016). ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასახული მიზნის პროპორციული შეიძლება იყოს არა მჩუქებლის სუბიექტური დამოკიდებულებიდან, არამედ, ჩუქების აქტის შემდგომ განვითარებული მოვლენების გონივრული განსჯიდან გამომდინარე, რომელიც სასამართლოს, მსგავსად მჩუქებლისა, მიიყანს იმ დასკვნამდე, რომ დასაჩუქრებულის ქცევა საზოგადოების სოციუმ-

ში დამკვიდრებულ მორალურ სტანდარტს ეწინააღმდეგება (საქმე №ას-1183-2018, 05.04.2019 წ.).

15. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, კომპანიის დირექტორს აცისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ფიდუციური ვალდებულებები ეწოდება, კერძოდ ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობები და ამ მოვალეობების დარღვევისათვის დირექტორის პასუხისმგებლობა დგება არა რომელიმე პარტნიორის მიმართ, არამედ – საზოგადოების მიმართ. ერთგულების მოვალეობა გამომდინარეობს დავალების ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებიდან და ნარმომადგენლობის არსიდან, რომელიც წარმომადგენელს ავალდებულებს წარმოდგენილი პირის ინტერესებით და არა პირადი ინტერესებით იხელმძღვანელოს (იხ. სუსგ №ას-766-766-2018, 10.06.2019).

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ დიდი უმაღურობა გამოიჩინა, მძიმედ შეურაცხყო იგი და დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმცია. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინააღმდევ პოლიციაში შეტანილი განცხადება საქმეში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მის შინაარსზე მსჯელობა შეუძლებელია. რაც შეეხება, შეგებებულ სარჩელს, ის წარდგენილია არა მოპასუხის, არამედ იურიდიული პირის – შპს „ჰ-ს“ მიერ, რომელიც სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ და მისი დამფუძნებლებისგან განცალკევებულ სუბიექტს წარმოადგენს.

პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორის, როგორც კომპანიის პარტნიორის და დირექტორის მიერ, აუდიტის დასკვნის საფუძველზე, საგამოძიებო სამსახურისათვის მიმართვა და სასამართლო წესით დაცვის უფლების რეალიზება, არ შეიძლება შეფასდეს წილის მჩუქებლის მიმართ გამოხატულ უმაღურობად ან/და მძიმე შეურაცხყოფად. პარტნიორის ამგვარი მოქმედება არც კომპანიის საზიანო ქმედებად ითვლება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „მოპასუხის მიერ საგამოძიებო სამსახურისათვის მიმართვა, კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური ღონისძიებების გამოყენება, რომელიც მინორიტარი პარტნიორის შეხედულებით კომპანიის ფუნქციონირების შესაძლო პრობლემებს უკავშირდება, ასევე, მოპასუხის მიერ საკუთარი უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლების გამოყენება, არ შეიძლება კომპანიის საზიანო ქმედებად იქნეს მიჩნეული“ (იხ. სუსგ №ას-1353-2022. 27.01.2023 წელი).

16. პალატა განმარტავს, რომ მართალია, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, დასაჩუქრებული ვალდებულია განსაკუთრებუ-

ლი დამოკიდებულება პქონდეს მჩუქებლის მიმართ, მაგრამ ამგვარი ვალდებულება არ მოიაზრებს დასაჩუქრებულის უფლებების და კანონით გათვალისწინებული ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას მჩუქებლის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი ეხება კორპორაციის მართვას, პარტნიორის და დირექტორის ვალდებულებებს და პირად პასუხისმგებლობას კომპანიის და კრედიტორების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩუქების ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია დასაჩუქრებულის მხრიდან ზნეობრივი ქცევის ვალდებულება, აღნიშნული არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ გამჩუქებელს დასაჩუქრებულთან ურთიერთობაში გაუჩინდეს გარკვეული იმუნიტეტი და სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში დასაჩუქრებულს შეეზღუდოს შესაბამისი უწყებისათვის მიმართვის უფლება.

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაპრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩინა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით – სარჩელი უარყოფილი იქნეს.

18. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან), მე-2 (ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციოდა საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას) და მე-3 (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც) ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის

– 300 ლარის ანაზღაურება.

19. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 აპრილის №2/7634-21 განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზე, აეკრძალა მოპასუხეს შ.პ.ს. „ჰ”-ს კაპიტალში საკუთრებაში არსებული წილიდან, 40% წილის გასხვისება და გირავნობით დატვირთვა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით,

#### **გ 1 დ 1 ნ ყ 3 ი ტ ა:**

1. ქ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის №2ბ/4287-21 გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ზ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. ზ. ჭ-ს (ბ/ნ ...) ქ. ხ-ის (ბ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს 300 (სამასი) ლარის გადახდა, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 აპრილის №2/7634-21 განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზე აეკრძალა ქ. ხ-ს (ბ/ნ ...) შ.პ.ს. „ჰ”-ს კაპიტალში (ს/ნ ...) საკუთრებაში არსებული წილიდან, 40% წილის გასხვისება და გირავნობით დატვირთვა.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. ლიზინგი

### ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა

განჩინება  
საქართველოს სახელით

№ას-96-2021

21 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 18 ივნისს სს „თ. ლ-შა“ (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „ლიზინგის გამცემი“) და შპს „ქ. ყ-შ“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მოსარჩელე კომპანია“, „ლიზინგის მიმღები“ ან „კასატორი“) შორის გაფორმდა ლიზინგის №691-1143 გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც ლიზინგის ხელშეკრულების მაქსიმალური ფასი განისაზღვრა 1 000 000 აშშ დოლარით.

2. 2014 წლის 25 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა №691-1143-11824 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე კომპანიას ლიზინგით გადაეცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნები. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა შეადგენდა 36 თვეს, ხოლო ლიზინგის მთლიანი ფასი – 62 047,88 აშშ დოლარს.

3. 2014 წლის 27 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა №691-1143-11845 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე კომპანიას ლიზინგით გადაეცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნები. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა შეადგენდა 36 თვეს, ხოლო ლიზინგის მთლიანი ფასი – 20 647,45 აშშ დოლარს.

4. 2014 წლის 27 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა №691-1143-11844 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე კომპანიას ლიზინგით გადაეცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნები. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა შეადგენდა 36 თვეს, ხოლო ლიზინგის მთლიანი ფასი – 42643,33 აშშ დოლარს.

5. ზემოაღნიშნული ლიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილია 43 012,74 აშშ დოლარი, ხოლო აღნიშნული თანხის დღგ შე-

ადგენს 6 561,27 აშშ დოლარს (43 012,74 აშშ დოლარი / 118 და \* 18 = 6 561,27 აშშ დოლარს).

6. 2015 წლის 25 აპრილიდან მოსარჩელე მუდმივად არღვევდა ლიზნების ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

7. მოპასუხებ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნება და სააღსრულებო ფურცლის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის ბრძანებით მოპასუხის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 18 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის სააღსრულებო ფურცელი აღსარულებლად გადაეცა კერძო აღმასრულებელს.

8. მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის სააღსრულებო ფურცელი გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში იმ მოტივით, რომ მოპასუხეს უკვე დაბრუნებული ჰქონდა ლიზინგის საგნები და სააღსრულებო წარმოება უსაფუძვლოდ იყო დაწყებული. მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის ბრძანება და 18 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ლიზინგის გამცემის სარჩელი ლიზინგის მიმღების მიმართ დავალიანების გადახდის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით და ამჟამად გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

10. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტით მიყენებული ზიანისა და უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ანზღლაურება, რომელიც თანხომრივად 36 451 აშშ დოლარს შეადგენს და იმავე ქმედების შედეგად მიყენებული საწარმოო ზიანის – 740 062 ლარის ანაზღლაურება.

11. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხებ კანონმდებლობისა და ხელშეკრულების პირობების დარღვევით შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულებები, რის შედეგადაც ლიზინგის საგნები იძულებით დაუბრუნდა ლიზინგის გამცემს, რომელმაც ისინი ხელშეკრულების დარღვევით (მოსარჩელის ინფორმირებისა და ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.17 პუნქტის პირობის დარღვევით) გაასხვისა. ამ მოქმედებების საფუძველზე, მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი. კერძოდ, მოსარჩელემ სამივე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მოპასუხეს გადაუხადა ლიზინგის საზღლური 43 012,74 აშშ დოლარის (მათ შორის, 6 561,27 აშშ დოლარი დღგ) ოდე-

ნობით. მას შემდეგ, რაც მოსარჩელე სრულად გადაიხდიდა ლიზინგის საგნების ღირებულებას, ისინი მას საკუთრებაში გადაეცემოდა. თუმცა, ვინაიდან მოპასუხემ უკანონოდ შეწყვიტა ხელშეკრულება, ლიზინგის საგნები დაიბრუნა და მოახდინა მათი რელიზინგი, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 36 451 აშშ დოლარის (43 012,74-6 561,27=36 451) ოდენობით. ფაქტობრივად, მოპასუხემ უსაფუძვლოდ მიიღო 36 451 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მოსარჩელეს მიადგა უშუალოდ სანარმოო პროცესის შეფერხებით გამოწვეული ზიანი, რაც არ დადგებოდა, მოპასუხეს უკანონოდ რომ არ შეეშალა ხელი მისთვის ლიზინგის საგნებით სარგებლობაში. კერძოდ, მოსარჩელეს მიადგა სამენარმეო საქმიანობის ფინანსური დანაკლისით განხორციელების შედეგად მიყენებული ზიანი, რაც გამოიწვია მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის სალიზინგო ხელშეკრულებების მიხედვით შეძენილი დანადგარების გასხვისებამ (მოსარჩელის მიერ განცდილი ზარალი, რაც გამოწვეული იყო ყურძნის პირველადი გადამუშავების შეუძლებლობით, რისთვისაც აუცილებელი იყო ლიზინგით შეძენილი დანადგარები) და რაც ჯამში 740 062 ლარს შეადგენს.

12. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, მოსარჩელე 2015 წლის 25 აპრილიდან მუდმივად არღვევდა ლიზინგის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და არ იხდიდა სალიზინგო საზღაურს, რის გამოც მოპასუხემ კანონით დადგენილი წესით შეწყვიტა ლიზინგის ხელშეკრულებები. მოპასუხემ ლიზინგის საგნების რეალიზაცია განახორციელა კანონით დადგენილი წესით, ხოლო სარეალიზაციო ფასის თაობაზე მოსარჩელე ინფორმირებული იყო.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

14. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

16. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

17. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა საკის 394.1 და 408.1 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის დაკისრების წი-

ნაპირობები. კერძოდ, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის (ხელშეკრულებიდან უკანონოდ გასვლა), ასევე, თუნდაც აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში, ამით გამოწვეული ზიანის არსებობის ფაქტი.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება შეწყვიტა სსკ-ის 580<sup>5</sup>-ე და 580<sup>6</sup>-ე მუხლების საფუძველზე.

19. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ლიზინგის ხელშეკრულებების 1.8 პუნქტზე [ლიზინგის საზღაურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დანართში მოცემული გრაფიკის შესაბამისად], ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 6.2.5 პუნქტზე [ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია, მოითხოვოს ლიზინგის საგნის დაბრუნება და ხელშეკრულების მოშლა, თუ ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს], ხელშეკრულების 6.2.6 პუნქტზე [ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს უფლება აქვს დაიბრუნოს ლიზინგის საგანი და განკარგოს ის], 14.15 პუნქტზე [წებისმიერი დარღვევის შემთხვევაში (იქნება ეს ლიზინგის მიმღების მოქმედების შედეგად თუ კანონის ძალით), ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია შეტყობინების მიწოდების გზით მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის გაფორმებული წებისმიერი ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა/ცალმხრივად შეწყვეტა, ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში დაბრუნება (ლიზინგის გამცემის მიერ დადგენილი წესით) და შეწყვეტის მომენტისთვის არსებული ვადაგადაცილებული სალიზინგო საზღაურის, პირგასამტკებლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფარვა, ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა და ლიზინგის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შედეგად ლიზინგის გამცემისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ლიზინგის საგნის დაბრუნების მომენტისთვის დაფიქსირებულ საბაზრო ფასი ნაკლებია დადისკონტირებულ სალიზინგო საზღაურზე (ძირითადი თანხა), მათ შორის სხვაობა დაეკისრება ლიზინგის მიმღებს].

20. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ლიზინგის ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს მუდმივად არღვევდა 2015 წლის 25 აპრილიდან. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად პრეი-უდიცულად დადგენილი ფაქტისა, რომ მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელის გაფრთხილების წესები (წერილობითი ფორმით არ ეცნობა, მაგ.,

შეწყვეტის თაობაზე), იმ პირობებში, როდესაც ლიზინგის მიმღების მიერადგილი ჰქონდა ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, სსკ-ის 580<sup>5</sup>-ე მუხლის თანახმად, ლიზინგის გამცემს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება ჰქონდა.

21. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიერ დაბრუნებული ლიზინგის საგნის შეფასების ღის ღირებულებიდან თანხის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 580<sup>5</sup>-ე და 580<sup>6</sup>-ე მუხლებით, ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.15 პუნქტით, 2008 წლის რომის მოდელური კანონითა და 1988 წლის 28 მაისის ოფავას კონვენციით დადგენილი წესებით მოპასუხე უფლებამოსილი იყო დაებრუნებინა ლიზინგის საგანი. სალიზინგო ურთიერთობაში ღიზინგის მიმღების მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამოლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნების მფლობელობაში დაბრუნებისას ამ უკანასკნელს ლიზინგის მიმღების მიმართ არ ეკისრება ლიზინგის საგნის ვადახდილი ღირებულების უკან დაბრუნების ვალდებულება. აღნიშნული ეწინააღმდეგება სალიზინგო ურთიერთობის არსა.

22. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საალიზინგო ურთიერთობების ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი წყაროების, რომის მოდელური კანონისა და ოტავას კონვენციის შესაბამისად, სალიზინგო ურთიერთობა ხასიათდება განსაკუთრებული სპეციფიკით, კერძოდ, ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმებისა და ლიზინგის საგნის მიღების შემდგომ ლიზინგის მიმღებს გააჩნია უპირობო და გამოუხოვადი ვალდებულება ვადაიხადოს სალიზინგო საზღაურები, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული ვალდებულება არ არის დამოკიდებული ლიზინგის გამცემის მხრიდან ვალდებულების შესრულებასა და/ან სხვა დამატებით ფაქტორებზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ლიზინგის მიმღები ახორციელებს ქონებით სარგებლობას, რომელიც არ წარმოადგენს ამ უკანასკნელის საკუთრებას, ხოლო ლიზინგის გამცემის, როგორც მესაკუთრის, ფუნდამენტური უფლებაა იყოს დაცული უკანონო ხელყოფისგან. გარდა ამისა, სალიზინგო ურთიერთობა არის ისეთი სახის მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ლიზინგის მიმღები სალიზინგო საზღაურს იხდის სწორედ ლიზინგის საგნის გამოყენების (მოხმარების/ამორტიზაციის) პროპორციულად. შესაბამისად, მის მიერ სალიზინგო საზღაურების ვადაუხდელობა ავტომატურად ანიჭებს მესაკუთრეს (ლიზინგის გამცემს) უფლებას დაიბრუნოს მის საკუთრებაში არსებული ქონებადა არ მიეცეს ლიზინგის მიმღებს სხვისი საკუთრების განადგურების (ცვეთის) შესაძლებლობა. ამდენად, სალიზინგო საზღაურის ვადაუხდელობა/დარღვევა ლიზინგის

მიმღებისთვის წარმოშობს ლიზინგის საგანზე მფლობელობის უფლების უპირობო ჩამორთმევას მასზე მფლობელობის აღდგენის მოთხოვნის უფლების გარეშე, ხოლო მის მიერ გადახდილი თანხები წარმოადგენს უკვე მიღებული მომსახურების საფასურს და ზიანად ვერ იქნება განხილული.

23. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სალიზინგო ურთიერთობა, თავისი არსით, ლიზინგის მიმღებთან მიმართებაში გულისხმობს ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომაც, რაც ლიზინგის საგნების გამცემის მფლობელობაში დაპრუნებას გულისხმობს. მოსარჩელემ აღნიშნული ვალდებულება დაარღვია. სწორედ მოსარჩელის მხრიდან ლიზინგის საგნების გამცემის მფლობელობაში დაუბრუნებლობა გადაიზარდა მოპასუხის, როგორც მესაკუთრის, ფუნდამენტური უფლების დარღვევაში.

24. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის აპელირება უპირატესი შესყიდვის უფლების წართმევასთან დაკავშირებით. პალატამ მიუთითა მხარეთა შორის გაფორმებული ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 6.2.5 და 6.2.6 პუნქტებზე, ასევე გენერალური ხელშეკრულების 14.17.4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ლიზინგის საგნის რეალიზაციის ან/და ხელახალი ლიზინგით გადაცემის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებს უნდა ეცნობოს, რა ფასად ხდება რეალიზაცია, ხელახალი ლიზინგით გაცემა და მიეცეს არანაკლებ 05 საბანკო დღე უფრო მაღალ ფასად ყიდვის მსურველის შესარჩევად. მიმღების მიერ შერჩეული ახალი მყიდველის მიერ ლიზინგის საგნის საზღაურის გადახდის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ მუხლით დადგენილ ვადას.

25. სააპელაციო პალატის განმარტებით, რეალიზაციის შესახებ შეტყუბინების მიზანი არის ის, რომ ლიზინგის მიმღებს ეცნობოს ლიზინგის საგნის საბაზრო (სარეალიზაციო) ფასი. სარჩელის შეტანით კი მოპასუხემ ლიზინგის მიმღებს მიაწოდა 14.17.4 პუნქტით გათვალისწინებული სარეალიზაციო ლირებულების შესახებ ინფორმაცია და, 05 დღის ნაცვლად, მიეცა 18-თვითან ვადა ლიზინგის საგნების შესაძენად, რომელიც უშედეგოდ გავიდა, ლიზინგის საგნების შეძენის შესაძლებლობა ლიზინგის მიმღებს არ გამოუყენებია, მას არ მიუმართავს მოპასუხისათვის ლიზინგის საგნის შეძენის მოთხოვნით, რაც ადასტურებს, რომ მოსარჩელეს ლიზინგის საგნის შეძენის ინტერესი იმ დროისათვის არ გააჩნდა.

26. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხებ №2/6830 სამოქალაქო საქმეზე სარჩელი შეიტანა 2016 წლის მარტში და მასში მიუთითა ლიზინგის საგნების სარეალიზაციო ფასი. ამასთან, ლიზინგის საგნების რელიზინგი მოპასუხებ განახორციელა 2017 წლის 13 სექტემ-

ბერს, 18 თვის შემდგომ. ამდენად, მოსარჩელეს ლიზინგის საგნების შესაძენად 18-თვიანი ვადა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს მოპასუხისათვის ლიზინგის საგნების შეძენის მოთხოვნით არ მიუმართავს და არც დაინტერესებული პირი წარუდგენია, აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება საქმეში არ მოაპოვება და არც მოსარჩელეს წარუდგენია. მოსარჩელემ ვერ მიუთითა და ვერც დაადასტურა მოპასუხის მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე, ის გარემოება, თუ რაში გამოიხატა დამდგარი ზიანი. კერძოდ, მხარის ინფორმირებულობის წესის დარღვევას მისთვის რა შესაძლო ზიანი მოჰყვა და აღნიშნულის თაობაზე მოპასუხე მხარეს რა მოლოდინი/ვარაუდი გააჩნდა. მარტომდენ თუნდაც იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენა, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.17.4 მუხლით დადგენილი ინფორმირებულობის წესის დარღვევას (მაგ. წერილობით არ ეცნობა რელიზინგის თაობაზე), თავისისავად არ ადგენს და ადასტურებს ზიანის მიყენების ფაქტს და ავტომატურად არ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ვალდებულებას არც კანონი და არც ხელშეკრულება აკისრებდა.

27. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მითითება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო №2ბ/4418-18 საქმეზე დაადგინა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, რომელსაც განსახილველი დავის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული დავის ფარგლებში ლიზინგის გამცემის სარჩელის საფუძველზე განიხილებოდა ლიზინგის მიმღების მხრიდან ლიზინგის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი დავალიანების გადახდევინების საკითხი; დავა არ ეხებოდა ზიანს, შესაბამისად, ამ დავის ფარგლებში ვერ იქნებოდა დადგენილი და არც დადგენილა მოპასუხისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

28. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვინისა თუ აუდიტორული დასკვნის შემოწება და შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი პირობაა. ექსპერტის დასკვნის უარყოფა ან მტკიცებულებად გამოიყენება არ შეიძლება, თუ იგი არ იქნება შემოწმებული და შეფასებული სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად. ექსპერტის დასკვნა კრიტიკულად უნდა შეფასდეს, როგორც ცალკე, ისე საქმეში არ-სებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში (იხ. სუსგ საქმეზე №ას-633-966-07). სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასებულიყო საქმეში წარდგენილი შეფასების ანგარიში, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე საწარმოო ზიანის ოდენობას ადგენდა.

29. სააპელაციო პალატის მითითებით, შეფასების აქტში შემფასებელი უნდა აკეთებდეს კონკრეტული ფაქტის ანალიზს. დასკვნაში შემფასებელი საუბრობს ლიზინგის საგნების შეძენის ფასებზე და უთითებს თანხებს, რომელთა შესახებაც მას ინფორმაციის მოძიება თავისივე დასკვნაში მითითებული დოკუმენტაციიდან არ შეეძლო. ამასთან, შეფასების აქტში საუბარია ყურძნის პირველადი დამუშავების ხარჯებზე, თუმცა არ განმარტავს პირველადი დამუშავების შინაარსს. ყურძნის პირველადი დამუშავება შედგება ფაზებისგან, რომელთა სრული გავლა ლიზინგის საგნებით ვერ მოხდება. შესაბამისად, წარდგენილ შეფასებაში მითითებული მონაცემები სრულად არ შეესატყვისება ლიზინგის საგნების გამოყენების შესაძლებლობებს და თავისთავად ვერ დათვლის მათი გამოყენებით მისაღები თანხების მოცულობას. ამასთან, საწარმოო ტიპის მატერიალური ზიანის მოცულობის დადგენისას უნდა დადგინდეს სუბიექტური ღირებულება. თუ მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მას მიადგა საწარმოო ზიანი, მან თავის საწარმოო შესაძლებლობებზე, ფინანსურ ანგარიშებებზე, დოკუმენტაციასა და ფინანსურ მონაცემებზე/შესაძლებლობებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს ზიანის მოცულობა. ალნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი შეფასების დოკუმენტი არ არის ალნიშნული დავის გადაწყვეტისათვის სათანადო მტკიცებულება. თუმცა, ზიანის ოდენობის დადასტურების შემთხვევაშიც, ალნიშნული დავის შედეგი არ შეიცვლებოდა, რადგან არ დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე.

30. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

31. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდევ საფუძვლებზე:

31.1. წინამდებარე საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო-ებმა დაარღვიეს კანონის მოთხოვნა „ფაქტების პრეიუდიციასთან“ დაკავშირებით. მოცემულ საქმეში სადავოდ ქცეულ სალიზინგო ურთიერთობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. განსახილველი დავა მიმდინარეობს იმავე სალიზინგო სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, იმავე მხარეებს შორის. შესაბამისად, სსსკ-ის 106-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით დადგენილ გარემოებებს გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უგულებელყოფილი იქნა;

31.2. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერების ფარგლებში მოქმედებდა, სამოქალაქო კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების უხეში დარღვევით განხორციელდა როგორც ხელშეკრულების შეწყვეტა, ისე – ლიზინგის საგნების გასხვისება, ხოლო ამ ქმედებით – „ლიზინგის მიმღებმა ის საკმაოდ სოლიდური თანხა, რაც ლიზინგის საგნის საპოლოო შესყიდვის მიზნით ეტაპობრივად გადაიხადა, დაკარგა [საუბარია წინამდებარე საქმეზე სარჩელით მოთხოვნილ ზიანზე – 36 451 აშშ დოლარზე], ასევე, უფლება სალიზინგო საგნებულებელი შეინარჩუნა“;

31.3. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინების მე-14 პუნქტში, ასევე, აღნიშნულია შემდეგი: „პალატა ადგენს, რომ ლიზინგის გამცემი კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტით არ მოქმედებდა, მან ხელშეკრულების პირობის დარღვევით არ შეატყობინა ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგნების რეალიზაციისა და ფასის შესახებ, რითაც ლიზინგის მიმღებს მოუსპონ შესაძლებლობა მოეძებნა მყიდველი, რომელიც უფრო ძვირად შეიძენდა აღნიშნულ ქონებას ან/და თავად შეესყიდა“, ხოლო, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს შემდეგს: „მიუხედავად პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტებისა...“. ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლო ამ მსჯელობით არ ცნობს პრეიუდიციულ ფაქტებს და უკვე დადგენილი ფაქტების ხელა-სალ განხილვაში შედის;

31.4. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინება აშკარა წინააღმდეგობაში მოდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილ პრეიუდიციულ ფაქტობრივ გარემოებებთან. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 106-ე და 266-ე მუხლების მოთხოვნები, ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა;

31.5. სასამართლომ არასწორი განმარტებები გააკეთა ლიზინგის ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით და ამავდროულად არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, სასამართლო არასწორად განმარტავს, რომ საქმეზე არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, მოპასუხემ სსკ-ის 580<sup>ე</sup>-ე მუხლის საფუძველზე სწორად შეწყვიტა ლიზინგის ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის/შეწყვეტის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება წარმოშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის/შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამ-

დფილი, ვადამოსული და უპრეტენზიო;

31.6. ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებას, არ შეიძლება განხორცი-ელდეს მოვალისათვის ვალებულების შესასრულებლად ხელმეორე შე-საძლებლობის მიცემის გარეშე, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ანულირება. სწორედ ამიტომ, კანონი (სსკ-ის 405-ე მუხლი) ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შე-სასრულებლად მოვალეს მიეცემა დამატებითი ვადა, ამ დროს კრედი-ტორი სარგებლობს შეზღუდული უფლებით, შეწყვიტოს ხელშეკრულე-ბა, მოვალის ინტერესები კი გარკვეულწილად დაცულია. ვალდებულე-ბის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ დამატებითი ვა-დის განსაზღვრას გაუთანაბრდეს გაფრთხილება, რომლითაც კრედი-ტორი ავალდებულებს მოვალეს შესასრულოს ხელშეკრულებით ნაკის-რი ვალდებულება. ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით. ხელშეკრულების შეწყვეტის შესა-ხებ შეტყობინება ძალაშია მას შემდეგ, რაც განსაზღვრული წინაპირო-ბები იქნება დაკმაყოფილებული;

31.7. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის გადაწ-ყვეტილებით სასამართლომ ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზო-მიერებაზე მსჯელობისას შეამოწმა, დაცული იყო თუ არა სსკ-ის 405-ე მუხლის დანაწესი მოვალისათვის ვადის დამატებით განსაზღვრასა თუ გაფრთხილებასთან დაკავშირებით. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხესა არ მიუცია მოსარჩელისათვის დამატებითი ვადა და იგი არც ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გაუფრთხილებია. შესაბამისად, დარღვეულია სსკ-ის 405-ე მუხლის მოთხოვნები;

31.8. სასამართლომ არასწორი განმარტებები გააკეთა, როდესაც უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა – 36 451 აშშ დოლარის ანზღვაურების ნაწილში, კერძოდ: ლიზინგის მარეგულირე-ბელი ნორმების გამოყენება არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ აშკარად/ მკვეთრად დაირღვეს თანაფარდობის პრინციპი ლიზინგის მიმღების საუარესოდ. საღიზინგო ურთიერთობებში, გარდა მისი მომწესრიგებე-ლი სპეციალური ნორმებისა, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიი-ღოს საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტები და სამო-ქალაქო სამართლის უზოგადესი პრინციპები (კეთილსინდისიერება, უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა, გონივრული ქცევის სტანდარტი და ა.შ). ლიზინგის ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება. კეთილსინდისიე-რების პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღიარებულია, რო-გორც რომის მოდელური კანონით (მე-4 მუხლი), ისე – ოტავას კონვენ-ციით (მუხლი 6-1). კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც მხარეთა

შორის შეთანხმებულ თუ ნაგულისხმევ პირობათა ერთგვარი ნაერთი, ლიზინგის ხელშეკრულების განმარტებისას გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. უპირველესად, გასათვალისწინებელია მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის პრობლემა. ამ თვალსაზრისით ლირებულია უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება (2013 წლის 25 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1686-1580-2012), რომელიც კომპლექსურ სამართლებრივ დავაზე დასაბუთებულ და ამომწურავ მსჯელობას ავითარებს. ხსენებულ საქმეში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის პრობლემაზე, კერძოდ, სადაც ვო სამართალურთიერთობებში ლიზინგის საგნების გამცემის მიერ უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელებაზე შედარებით „სუსტ“ მხარესთან მიმართებაში. მოცემულ შემთხვევაშიც სახეზეა მოპასუხის არაკეთილსინდისიერ ქმედებათა კასკადი. მოპასუხემ მოქმედი კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების დარღვევით შეწყვიტა ლიზინგის ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ასევე ლიზინგის ხელშეკრულების დარღვევით განახორციელა ლიზინგის საგნების რელიზინგი, რასაც 2018 წლის 27 დეკემბერს სააპელაციო სასამართლომ უკვე მისცა შეფასება;

31.9. ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგო მსჯელობა არის განვითარებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩინოებულ გადაწყვეტილებაში. სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხემ ხელშეკრულება სწორად შეწყვიტა, ხოლო სასაჩინო მოთხოვნა 36 451 აშშ დოლარის ნაწილში არის უსაფუძვლო, რადგან მოპასუხეს არ ეკისრება არავითარი ვალდებულება, დააბრუნოს მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა, ვინაიდან ეს თანხა წარმოადგენს მომსახურების საფასურს და ზიანად ვერ იქნება აღქმული. სააპელაციო სასამართლოს ეს მსჯელობა ყოველგვარ სამართლებრივ შეფასებას მოკლებულია. სასამართლო არ აფასებს და მხედველობაში არ იღებს პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტს, რომ მოპასუხეს არ წარმოეშობოდა არავითარი ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ის კანონისა და ხელშეკრულების დაცვით შეწყვეტდა მას, ასევე, ლიზინგის საგნების რელიზინგი განხორციელდებოდა ხელშეკრულების დაცვით, რასაც ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, მოპასუხეს მოსარჩელე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების პირობების დაცვით რომ გაეფრთხილებინა და დავალიანების გადასახდელად მისთვის ვადა მიეცა, მოსარჩელე მოახერხებდა ამ დავალიანების დაფარვას, რადგან მას გააჩნდა მატერიალური ინტერესი ლიზინგის საგნების მიმართ, რასაც მოწმობს მისი წინააღმდეგობა ლიზინგის საგნების წაღებასთან დაკავშირებით;

31.10. ამასთან, მოპასუხეს ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.17.4 პუნქტის შესაბამისად რომ ეცნობებინა მოსარჩელისათვის

ლიზინგის საგნების რელიზინგის სურვილისა და ფასის თაობაზე, მიეცა მისთვის არანაკლებ 05 დღე უფრო ძვირად მყიდველის მოსაქებნად, მოსარჩელე 28 000 აშშ დოლარად თავად შეიძენდა ამ საგნებს, რადგან მათი რეალური ღირებულება იყო 71 000 აშშ დოლარი. მოპასუხემ მოსარჩელეს ეს შესაძლებლობები მოუსპოარაკეთილსინდისიერი და უკანონო ქმედებით;

31.11. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხეს არ ჰქონდა ვალდებულება წერილობით შეტყობინებინა მოსარჩელისათვის, რომ აპირებდა ლიზინგის საგნების რელიზინგს. აღნიშნული მსჯელობა არის არასამართლებრივი და დაუსაბუთებელი. ამ მხრივ საყურადღებოა სამოქალაქო სამართლნარმოებაში დამკვიდრებული პრაქტიკა და მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპი. მართალია, მოცემულ შემთხვევაში კონკრეტულად წერილობითი შეტყობინების ვალდებულება მოპასუხეს არ გააჩნდა, თუმცა იმისათვის, რომ მხარემ შეძლოს მის მიერ განხორციელებული სავალდებულო ქმედების შესრულების დამტკიცება, რაც მხარის მტკიცების ტვირთია, აუცილებელია წარდგენილი იყოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს მიერ არ ყოფილა წარდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან მოსარჩელეს შეატყობინა სარეალიზაციო ფასი, ასევე, იმის შესახებ, რომ აპირებდნენ ლიზინგის საგნის რელიზინგს. თავის მხრივ, ყველა ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე აცხადებდა, რომ მისთვის აღნიშნულის შესახებ არ შეუტყობინებითათ არც ზეპირად, არც წერილობით და არც სხვა რაიმე ფორმით;

31.12. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ლიზინგის ტრანზაქციაში კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულება ნათლად ვლინდება მისი ე.წ. „უპირობო ვალდებულებებთან“ მიმართებით ანალიზისას. ლიზინგის საერთაშორისო დოქტრინა და პრაქტიკა იცნობს ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებების კონცეფციას (Hell or high water clauses), თუმცა აღნიშნული ტიპის ვალდებულებების ლიზინგის მიმღებისათვის დაკისრებით არ უნდა დაირღვეს მხარეთა ორმხრივი ინტერესების დაცვის პრინციპი. თითოეულ ასეთ ვალდებულებას გააჩნია შესაბამისი წინაპირობები და გამონაკლისები. ამ თვალსაზრისით კეთილსინდისიერების პრინციპი უპირობო ვალდებულებების განმსაზღვრელი პირობების სამართლიანობის საზომად განიხილება. ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერების შეფასებით განსახილველი პრინციპი გამოკვეთილად ლიზინგის მიმღების დაცვის ფუნქციას იძენს. აშშ-ს სასამართლოები არაერთ საქმეზე განმარტებისას ცხადად უთითებენ ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერებაზე, როგორც ლიზინგის მიმღებისთვის უპირობო ვალდებულებების დაკისრების წინაპირობაზე. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე (Recent Cases and Legal De-

velopments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Harte-Hanks Direct Marketing/Baltimore, Inc. v. Varilease Technology Finance Group, Inc., 299 F.Supp.2d 505 (D. Md. 2004)) აშშ-ს სასამართლომ განმარტა, რომ ლიზინგის მიმღებს შეუძლია ამტკიცოს ლიზინგის გამცემის არაკეთილსინდისიერება და აღნიშნული ხელშეკრულების ბათოლობის მოთხოვნის საფუძვლად აქციოს;

31.13. ლიზინგის გამცემის უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ასევე, როგორც ოტავას კონვენციისა და მოდელური კანონის მოწესრიგება, ისე შიდა სახელმწიფო ორგანიზაციის კანონმდებლობა. მოცემულ შემთხვევაში დადგა ისეთი რეალობა, რომ, ერთი მხრივ, მოპასუხის უკანონო ქმედებით მას დარჩა, როგორც ლიზინგის საგნები, ისე მის შესაძენად მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემის უკანონო ქმედებით დაკარგა საკუთრების უფლება ლიზინგის საგნებზე და გადახდილი თანხა;

31.14. მოპასუხის არაკეთილსინდისიერების ფარგლები გასცდა სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროს და მოსარჩელების მიმართ განხორციელებული ქმედების გამო. კერძოდ, როდესაც იხილებოდა მოპასუხის სარჩელი მოსარჩელის მიმართ, აღნიშნულ საქმეზე მოპასუხემ მტკიცებულების სახით წარადგინა დოკუმენტაცია, რომელიც შეეხებოდა ზემოაღნიშნული ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს და რომელზეც თითქოს იყო მოსარჩელე კომპანიის დირექტორის ხელმოწერა. ხელმოწერა (არც პირადი ნომერი) სინამდვილეში არ ეკუთვნოდა მოსარჩელე კომპანიის დირექტორს, რის გამოც დაიწყო გამოძიება. საქმის განხილვის ეტაპზე მოსარჩელემ მოითხოვა ამ დოკუმენტების დედნების წარდგენა, რათა ჩატარებულიყო ექსპერტიზა, თუმცა მოპასუხემ მიზანმიმართულად არ წარადგინა დედნები, რომელიც შემდგომ გამოძიების ორგანოებმა ამოიღეს და ჩაუტარეს ექსპერტიზა. ფაქტობრივად, მოპასუხის ინტერესს წარმოადგენდა მოსარჩელისათვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენება. მიუხედავად მოსარჩელე კომპანიის არაერთი განცხადებისა, რომ ამ დოკუმენტებზე არ იყო მისი დირექტორის ხელმოწერა და ისინი სავარაუდოდ იყო გაყალბებული, მოპასუხე მაინც იყენებდა მათ მტკიცებულების სახით სასამართლოში;

31.15. სასამართლომ არასწორი განმარტებები გააკეთა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით და ამავდროულად არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით დადასტურებულია, რომ მოპასუხის ქმედებამ მოსარჩელეს მიაყენა 36 451 აშშ დოლარისა

და 740 062 ლარის ოდენობის ზიანი;

31.16. საწარმოო ანაცდენი ზიანის მოცულობა დაანგარიშებულია 2019 წლის 17 ივნისის საშემფუასებლო დასკვნით. ეს დასკვნა შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კვლევის მეთოდად გამოყენებულია აკრედიტებული მეთოდი და ჩატარებულია აკრედიტებული უმაღლესი რანგის სპეციალისტის მიერ. აღსანიშნავია, რომ სასამართლო არაფურს განმარტავს იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტი ბი ბ. დ. დაკითხა სასამართლო სხდომაზე და მისცა ძალიან ამომწურავი განმარტება ყველა საკითხზე. ექსპერტიზის მიერ შეფასებულია მოსარჩევისათვის მიყენებული ზიანი 2017 წლის 13 სექტემბრიდან (ზიანის ოდენობა დაანგარიშებულია იმ პერიოდიდან, როდესაც მოპასუხებ კანონდარღვევით მოახდინა ლიზინგის საგნების რელიზინგი), პერიოდების მითითებით, რეალიზებული ღვინიდან გამომდინარე. ერთოდ, სარეალიზაციო ღვინოების შემქნა ხდებოდა მზა სახით, ხოლო ლიზინგის საგნების ქონის შემთხვევაში ქარხანა შეიძენდა ყურძენს და მას გადამუშავებდა ღვინოდ (რასაც აკეთებდა, როდესაც გააჩნდა ლიზინგის საგნები), რაც თავისთავად თვითლირებულებათა შორის სხვაობას მისცემდა. სწორედ ეს სხვაობაა დათვლილი ანაცდენი ზიანის სახით, რომელიც 740 062 ლარს შეადგენს;

31.17. რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას, თითქოს ყურძნის პირველადი დამუშავება ლიზინგის საგნების გამოყენებით ვერ მოხდებოდა, არასწორი და ფაქტობრივ შეფასებას მოკლებულია, ვინაიდან სასამართლოზე დაკითხვისას ექსპერტმა დაადასტურა, რომ ზიანი დაანგარიშებულია ლიზინგის საგნების ქონის შემთხვევაში მოსარჩელე კომპანიის საწარმოო შესაძლებლობების გათვალისწინებით. დაკითხვისას ექსპერტმა ასევე თვალზათლივ დაადასტურა, რომ ზარალის დათვლისას მან მხედველობაში მიიღო მოსარჩელის ტექნიკური შესაძლებლობები ლიზინგის საგნების გათვალისწინებით და მის გარეშე. აქ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ზიანი არის კონკრეტულად ლიზინგის საგნების უკანონოდ რელიზინგის შემდეგ მოსარჩელის მიერ განხორციელებული ექსპორტიდან გამომდინარე ანუ სათუო არაა, მოსარჩელე გაყიდვა თუ არა ღვინოს, ექნებოდა თუ არა ამდენი შეკვეთა და ა.შ., აქ საუბარია იმაზე, რაც მან გაყიდა და რა ექნებოდა მოგება გაყიდული ღვინო, რაც მზა სახით შეიძინა, ლიზინგის საგნების ქონის შემთხვევაში თავის ქარხანაში რომ ეწარმოებინა. მოსარჩელემ სწორედ ღვინის საწარმოებლად შეიძინა 125 000 აშშ დოლარად ლიზინგის საგნები. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა თითქოს მოსარჩელის მხრიდან არ ყოფილა წარდგენილი დოკუმენტი, რომლითაც ზიანის მიყენების ფაქტი დადასტურდებოდა, არის უსაფუძვლო;

31.18. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.17.4პუნქტის მიზანი არის ლიზინგის მიმღებისთვის სარეალიზაციო ლირებულების შეტყობინება. აღნიშნული პუნქტის შინაარსში ნათლად არის განმარტებული, რომ ლიზინგის მიმღებს უნდა ეცნობოს ორი ფაქტის შესახებ – პირველი, ლიზინგის გამცემის ნება, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს ლიზინგის საგნების რეალიზაცია/ხელახლი რელიზინგი და მეორე, სარეალზაციო/ხელახლი რელიზინგის ლირებულება. მოსარჩელემ არაერთხელ დააფიქსირა, რომ მოპასუხეს არ შეუტყობინებია აღნიშნულის თაობაზე. მოპასუხეს ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია. ამასთან, ეს ფაქტი უკვე პრეიუდიციულად არის დადგენილი;

31.19. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხემ ლიზინგის საგნების სარეალიზაციო ლირებულების შესახებ მოსარჩელეს აცნობა მაშინ, როდესაც 2016 წლის მარტში მოპასუხემ სარჩელით მიმართა სასამართლოს. მოპასუხემ 2016 წელს მართლაც მიმართა სარჩელით სასამართლოს ლიზინგის მიმღების წინააღმდეგ ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო. სარჩელს ერთვოდა მოპასუხე კომპანიის თანამშრომლის – აქტივებისა და შეფასების მენეჯერის აუდიტორული დასკვნა, რომლითაც ლიზინგის საგნების საბაზრო ლირებულება შეფასებული იყო 38 000 აშშ დოლარად. მოსარჩელემ არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ ეს იყო საბაზრო ლირებულების შეფასება და არა – სარეალიზაციო ფასი, რაც დასტურდება, ასევე, ციფრებს შორის სხვაობითაც. კერძოდ, დასახელებული აუდიტორული დასკვნით ლიზინგის საგნების საბაზრო ლირებულებად განისაზღვრა 38 000 აშშ დოლარი, ხოლო რეალიზინგი კი განხორციელდა 28 000 აშშ დოლარად. მოპასუხის აქტივებისა და შეფასების მენეჯერის მიერ ლიზინგის საგნების საბაზრო ლირებულების შეფასება შემდეგი მიზნით განხორციელდა: ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.15 პუნქტში განსაზღვრულია, რომ ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია მოითხოვოს „ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა და ლიზინგის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შედეგად ლიზინგის გამცემისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ლიზინგის საგნის დაბრუნების მომენტისათვის დაფიქსირებულ საბაზრო ფასასა და დარჩენილ სალიზინგო საზღაურის დისკონტირებულ მოცულობას შორის ფასთა სხვაობა“. სწორედ ამ ოდენობის გამოთვლა იყო აუდიტორული დასკვნის ჩატარების მიზანი, რომლითაც განისაზღვრა ლიზინგის საგნის საბაზრო და არა სარეა-

ლიზაციონ ლირებულება. უფრო მეტიც, პრეიუდიციულად დადგენილი გარემოებაა, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს არ შეატყობინა ლიზინგის საგნების ხელახალი რელიზინგისა და სარეალიზაციო ფასის შესახებ;

31.20. მოსარჩელემ არაერთხელ განაცხადა, რომ მოპასუხის მიერ ლიზინგის საგნების ხელახალი რელიზინგის შესახებ გაიგო 2017 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე, როდესაც მიმდინარეობდა მოპასუხის სარჩელის განხილვა. სწორედ ამ სხდომაზე წარადგინა მოპასუხემ №4261/17 წერილი. ამდენად, მოსარჩელისათვის რელიზინგის შესახებ (ცნობილი გახდა რელიზინგიდან (13.09.2017წ.) სამითვის შემდეგ (18.12.2017წ.). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ლიზინგის საგნების რელიზინგი განხორციელდა იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა დავა მოპასუხის სარჩელიდან გამომდინარე;

31.21. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელე მუდმივად არღვევდა ხელშეკრულებას და 2015 წლის 25 აპრილის შემდეგ არ იხდიდა ლიზინგის საფასურს. მოსარჩელეს პერიოდულად ჰქონდა ვადაგადაცილება, თუმცა მოგვიანებით ახდენდა მის ანაზღაურებას. მოსარჩელეს 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით აქვს განხორციელებული ჩარიცხვები, ეს ფაქტი ასევე პრეიუდიციულად დადგენილია;

31.22. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოპასუხეს შეეძლო ლიზინგის საგნების დაბრუნება. მართალია, სსკ-ის 580<sup>6</sup>-ე და 580<sup>5</sup>-ე მუხლებიდან გამომდინარე, ლიზინგის გამცემს აქვს უფლება, მოითხოვოს ლიზინგის საგნების უკან დაბრუნება, მაგრამ ეს არ არის უპირობო უფლება. კერძოდ, ამისათვის საჭიროა ხელშეკრულების კანონის მოთხოვნების შესაბამისად შეწყვეტა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და ეს პრეიუდიციულად დადგენილი გარემოებაა;

31.23. უსაფუძვლოა სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი 36 451 აშშ დოლარი ლიზინგის საგნების მფლობელობისა და სარგებლობის გამოუნდა გაიქვითოს. აღნიშნული თანხა არის ლიზინგის საგნის საფასური, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულების ლირებულებაში ჩაითვლება და რომელიც მოპასუხის უკანონო ქმედებების შედეგად დაკარგა მოსარჩელებ;

31.24. დაუსაბუთებელია სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩელეს ლიზინგის საგნების ინტერესი არ გააჩნდა. მოსარჩელე არის ღვინის მნარმოებელი კომპანია, რომელმაც ქარხნის გადაიარაღების მიზნით, ღვინის წარმოებისათვის 125 000 აშშ დოლარის სპეციალური დანიშნულების დანადგარები შეიძინა (ლიზინგის საგნები, რომლებიც მათი ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე, მხოლოდ ღვინის წარმოებისთვის არის გამოსადეგ). სანამ მოპასუხე ლიზინგის გენერალურ ხელშეკრულებას გააფორმებდა, ლიზინგის მიზნობრიობიდან გამომდინარე, ქარხნის მონიტორინგი და სანარმოო მდგომარეობა შეს-

წავლილი ჰქონდა. შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ ღიზინგის საგნების წალებითა და შემდგომი რელიზინგით მოსარჩელე ღვინის წარმოებას ვერ განახორციელებდა;

31.25. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხებ 71 000 აშშ დოლარის ღირებულების ლიზინგის საგნები 28 000 აშშ დოლარად გაყიდა. ამ ფონზე დაუსაბუთებელია სასამართლოს შეფასება, რომ მოსარჩელემ დაკარგა 71 000 დოლარიანი ნივთის 28 000 დოლარად შექნის ინტერესი. მით უფრო იმ პირობებში, რომ მოსარჩელე მზად იყო ამ საგნების შესაძენად 125 000 აშშ დოლარი გადაეხადა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოსარჩელეს მისი საქმიანობის განსახორციელებლად ჰქონდა მოთხოვნილებაც და ფინანსური რესურსიც, რასაც მოწმობს საქმეზე წარდგენილი დოკუმენტაცია: 2017-2018წწ ექსპორტზე გატანილი ღვინის შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მოპოვებული დეკლარაციები და ღვინომასალის შემქანზე სასაქონლო ზედნადებები. ლიზინგის საგნების მიმართ მოსარჩელის ინტერესს ისიც ადასტურებს, რომ მოსარჩელე, მართალია, გრაფიკით გათვალისწინებული კონკრეტული გადახდის ვადის გადაცილებით, თუმცა მაინც იხდიდა ლიზინგის საფასურს.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნადა-საშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

33. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

34. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ სებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას [სსსკ-ის 410-ე მუხლი].

35. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მი-

ღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერდამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

36. წინამდებარე საქმეში სარჩელით მოთხოვნილია ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტით მიყენებული ზიანისა და უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ანაზღაურება, რომელიც თანხობრივად 36 451 აშშ დოლარს შეადგენს და იმავე ქმედების შედეგად მიყენებული საწარმოო ზიანის – 740 062 ლარის ანაზღაურება.

37. კასატორი აპელირებს იმაზე, რომ მოპასუხემ ლიზინგის ხელშეკრულება უკანონოდ შეწყვიტა და ამასთან, არც აცნობა რელიზინგისთაობაზე.

38. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები.

39. ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის, უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში იგულისხმება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დაწესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება.

40. სსკ-ის 580<sup>ე</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ლიზინგის გამცემს შეუძლია მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს. ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 6.2.5 პუნქტის თანახმად, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია, მოითხოვოს ლიზინგის საგნის დაბრუნება და

ხელშეკრულების მოშლა, თუ ლიზინგის მიმღები არ ასრულებს ხელ-შეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

41. განსახილველ შემთხვევაში კასატორს დასაბუთებული შედავე-ბა არ წარმოუდგენია იმ დადგენილი ფაქტოპრივი გარემოების საწინა-აღმდეგოდ, რომ 2015 წლის 25 აპრილიდან მოსარჩელე მუდმივად არ-ლვევდა ლიზინგის ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს (იხ. წი-ნამდებარე განჩინების მე-6 პუნქტი).

42. გამომდინარე აქედან, სადაც არ არის, რომ ლიზინგის გამცემს წარმოეშვა ხელშეკრულებიდან გასვლის მატერიალური საფუძველი, რასაც საკუთრებული 580<sup>6</sup>. 1 მუხლის თანახმად [ლიზინგის ხელშეკრულების ვა-დის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს უფ-ლება აქვს, ქონება დაიბრუნოს მფლობელობაში და განკარგოს იგი] ამ უკანასკნელის მიერ ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნებისა და განკარგვის უფლების წარმოშობა უკავშირდება.

43. რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმალურ საფუძ-ველს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით დადგენი-ლია ხელშეკრულებიდან გასვლის წესი [თუ ხელშეკრულების ერთი მხა-რე არლვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულე-ბას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელ-შეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატე-ბით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებუ-ლების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამა-ტებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაპირება გაფრთხილება], რომლის დარღვევაც ლიზინგის გამცემის მხრიდან ლი-ზინგის მიმღებს საკუთრებული 580<sup>6</sup>.2 მუხლის შესაბამისად ზიანის ანაზღაუ-რების მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს [ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, მოსთხოვოს ლიზინგის გამცემს მისი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, თუ ლიზინგის გამცემი ქონებას მფლობელობაში დაიბრუნებს ლიზინგის მიმღების მფლობელობის არამართლზომიერი ხელშეშლის გზით, ან თუ ლიზინგის გამცემს არ დაუწესებია დამატები-თი ვადა ამ კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ვადის დაწესება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ არის საჭირო. ამასთანავე, ლიზინგის მიმ-ღებს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ლიზინგის საგანზე მფლობელობის აღდგენს].

44. განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დადგენილია, რომ 2015 წლის 10 ივნისს, ლიზინგის მიმღების მიერ ლი-ზინგის ხელშეკრულების დარღვევის, დავალიანების ოდენობისა და მო-სალოდნელი პროცედურების თაობაზე ლიზინგის მიმღები კომპანიისა

და თავდებებისა: ე. ზ-ის, გ. ზ-შა და ნ. ზ-ის მისამართით გაფრთხილების წერილებია შედგენილი. წერილები ჩაბარებული აქვს გ. ზ-ს, პირადი ნომრით ..., რაც ლიზინგის მიმღები კომპანიის დირექტორის გ. ზ-ს პირად ნომერს ... არ ემთხვევა (იხ. მითითებული განჩინების მე-9 პუნქტი). სააპელაციო პალატის განმარტებით, მოდავე მხარეთა შორის 2014 წლის 25 და 27 აგვისტოს სამი (№691-1143-11824; №691-1143-11844, №691-114-11845) ლიზინგის ხელშეკრულება გაფორმდა. აღნიშნული ლიზინგის ხელშეკრულებების უზრუნველყოფის მიზნით ლიზინგის გამცემსა და გ. ზ-ს, ნ. ზ-სა და ე. ზ-ს შორის სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებები დაიდო. საქმის მასალებში არსებული - ლიზინგის გამცემის მიერ 2015 წლის 10 ივნისის ლიზინგის მიმღებისა და თავდებებისთვის გაგზავნილი წერილით დგინდება, რომ ლიზინგის მიმღების დავალიანება 2015 წლის 08 ივნისის მდგომარეობით 6 435,41 აშშ დოლარს შეადგენდა. დავალიანების 15 დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი მათ ხელშეკრულების შეწყვეტისა და ლიზინგის საგნების სასამართლო წესით გამოთხოვის შესახებ ატყობინებდა. სააპელაციო პალატის შეფასებით, ეს წერილი სსკ-ის 405-ე მუხლის მიზნებისთვის ხელშეკრულების მოშლამდე მოვალის გაფრთხილების ვალდებულების შესრულების ფარგლებშია გაგზავნილი, თუმცა იგი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას წარმოადგენს და ნამდვილია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვალე აღნიშნულ ნებას მიიღებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხე მხარემ სადავონ გახადა გზავნილების ჩაბარება. ამ მიმართებით სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ გაგზავნილი კორესპონდენცია მოვალეს და თავდებ პირებს არ ჩაბარებიათ. აღნიშნული დასკვნა ემყარება იმ გარემოებას, რომ წერილები ჩაბარებული აქვს გ. ზ-ს, პირადი ნომრით ..., რაც არ ემთხვევა ლიზინგის მიმღების დირექტორის გ. ზ-ს პირად ნომერს - ..., ხოლო თავდები პირებისთვის კორესპონდენციის გაგზავნის შესახებ მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. იდენტური მდგომარეობა 2015 წლის 09 სექტემბერს გაგზავნილი გაფრთხილების წერილების მიმართაც. საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილა ლიზინგის გამცემის მიერ 2015 წლის 12 ნოემბერს გაგზავნილი წერილი, სადაც ლიზინგის მიმღებს აცნობებდნენ, რომ 2015 წლის 20 ნოემბრამდე დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ამავე დღიდან სალიზინგო ხელშეკრულებები ცალმხრივად შეწყვეტილად ჩაითვლებოდა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული კორესპონდენციაც ჩაბარებული აქვს არა საწარმოს დირექტორ გ. ზ-ს, რომლის პირადი ნომერია ..., არამედ გ. ზ-ს, პირადი ნომრით ... ფაქტობრივ გარემოებას, რომ ლიზინგის მიმღებს აღნიშნული წერილები არ მიუღია, ადასტურებს ლიზინგის გამცემის ამონაწერიც, საიდანაც დგინდება, რომ ლიზინგის მიმ-

ღებძალიზნგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესასრულებლად 2015 წლის 30 ივნისს – 6 500 ლარი, 2015 წლის 07 ოქტომბერს – 4 366,08 ლარი, ხოლო 2015 წლის 16 ნოემბერს 10 000 ლარი ჩარიცხა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ გაფრთხილების წერილების გაგზავნისას ლიზინგის გამცემმა დაარღვია ელემენტარული წინდახედულობისა და გულმოდგინე ქცევის სტანდარტი, სათანადო არ შეამონმა წერილის ადრესატის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რასაც წერილის სრულიად სხვა პირისთვის ჩაბარება მოჰყვა შედეგად, ხოლო თავდებებისთვის შეტყობინება საერთოდ არ გაუგზავნია, რაც კეთილსინდისიერი ბიზნესმენის ქცევის სტანდარტად ვერ იქნება მიჩნეული.

45. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებრნ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ [სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი]. წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედონ გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ისე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (იხ. სუსგ საქმე №ას-58-56-2016, 26 ოქტომბერი, 2016 წელი).

46. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავონ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით

დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი [სსსკ-ის 266-ე მუხლი]. აღნიშნული მუხლით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

47. მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით პრეიუდიციულად დადგენილია ლიზინგის გამცემის მიერ სსკ-ის 405.1. მუხლის შესაბამისად მოვალის გაფრთხილების წესის დარღვევა.

48. კასატორი ასევე უთითებს, რომ ლიზინგის გამცემმა ლიზინგის ხელშეკრულების დარღვევით განახორციელა ლიზინგის საგნების რელიზინგი.

49. ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების 14.17.4 პუნქტის თანახმად, ლიზინგის საგნის რეალიზაციის ან/და ხელახალი ლიზინგით გადაცემის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებს უნდა ეცნობოს, რა ფასად ხდება რეალიზაცია, ხელახალი ლიზინგით გაცემა და მიეცეს არანაკლებ 05 საბანკო დღე უფრო მაღალ ფასად ყიდვის მსურველის შესარჩევად. მიმღების მიერ შერჩეული ახალი მყიდველის მიერ ლიზინგის საგნის საზღაურის გადახდის ვადა არ შეიძლება აღმატებოდეს ამ მუხლით დადგენილ ვადას (იხ. წინამდებარე განჩინების 24-ე პუნქტი).

50. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ რეალიზაციის შესახებ შეტყობინების მიზანი არის ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინგის საგნის საბაზრო (სარეალიზაციო) ფასის შეტყობინება, სარჩელის შეტანით კი მოპასუხებ ლიზინგის მიმღებს მიაწოდა 14.17.4 პუნქტით გათვალისწინებული სარეალიზაციო ლირებულების შესახებ ინფორმაცია და, შედეგად, 05 დღის ნაცვლად, მას მიეცა 18-თვიანი ვადა ლიზინგის საგნების შესაძენად, რომელიც უშედეგოდ გავიდა.

51. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეთანხმება ემსახურება ლიზინგის მიმღების უფლების დაცვას, კერძოდ, ამ დათქმით ხელშეკრულების სუსტ მხარეს ექლევა შესაძლებლობა, მიუხედავად ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისა, მოიძიოს მყიდველი, რომელიც ლიზინგის საგანს იმ ფასად შეიძენს, რომელიც ლიზინგის მიმწოდებელს ლიზინგის მიმღებისგან დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნას მოუსპობს. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინების თანახმად, ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგნის რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია ლიზინგის მიმღებისთვის წერილობით არ მიუწოდებია, თუმცა, ლიზინგის გამცემი აღნიშნავდა, რომ ამგვარ ვალდებულებას მას კანონი არ აკის-რებდა, მოპასუხისთვის ცნობილი იყო ლიზინგის საგნის ლირებულების

შესახებ და მას არცერთხელ არ მიუმართავს ლიზინგის საგნის შეძენის თაობაზე. ასევე სააპელაციო საჩივარში მითითებულია, რომ ლიზინგის მიმღებს ზეპირი ფორმით არაერთხელ ეცნობა ლიზინგის საგნის ხელა-ხალი რეალიზაციის თაობაზე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნას კი მას არც კანონი და არც ხელშეკრულება ავალდებულებდა. აღნიშნუ-ლი განმარტება სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაშიც ლიზინგის გამცემი კეთილსინდისიერი ქცევის სტან-დარტით არ მოქმედებდა, მან ხელშეკრულების პირობის დარღვევით არ შეატყობინა ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგნის რეალიზაციისა და ფასის შესახებ, რითიც ლიზინგის მიმღებს მოუსპო შესაძლებლობა მო-ექცენა მყიდველი, რომელიც უფრო ძვირად შეიძენდა აღნიშნულ ქონე-ბას ან/და თავად შეესყიდა იგი. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ლიზინგის გამცემის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების 14.17.4პუნ-ქტის პირობა, კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ლი-ზინგის საგნის რეალიზინგის დროს მოპასუხისთვის შესაბამისი ინფორ-მაციის მიწოდების თაობაზე, რამაც მოპასუხეს არ მისცა საშუალება, ეპოვნა ქონების უფრო მაღალ ფასად შემძენი და ამ გზით შეემცირები-ნა ან გაექვითა ის დავალიანება, რომელიც ლიზინგის გამცემის მიმართ გააჩნდა.

52. ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით პრეიუდიციულად დადგენილია, რომ ლიზინგის გამცემმა დაარღვია როგორც ხელშეკრუ-ლებიდან გასვლის პროცედურული წესი, ასევე ხელშეკრულებით გათ-ვალისწინებული რეალიზინგის განხორციელების პირობები.

53. რაც შეეხება ზემოაღნიშნული დარღვევების შედეგად მოსარჩე-ლისთვის მიყენებულ ზიანს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელ-შეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზ-ღაურების დაკისრების ცენტრალურ და უზოგადეს ნორმას წარმოად-გენს სსკ-ის 394. 1. მუხლი [მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევი-სას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზ-ღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის], რომელიც კრე-დიტორს მოვალის მიერ სახელშეკრულების ვალდებულების დარღვე-ვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლე-ბას ანიჭებს. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის გა-მოყენების წინაპირობებია: 1) ზიანი; 2) ქმედების მართლწინააღმდე-გობა; 3) მიზეზობრივი კავშირი; 4) ბრალი. ამრიგად, სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ მოვალეს ნაკისრი ჰქონდა ის ვალდებულება, რომლის დარღვევა-საც ედავება კრედიტორი, ასევე სახეზე უნდა იყო აღნიშნული ვალდე-

ბულების დარღვევა, რაც კრედიტორისთვის ზიანის მიყენების პირდაპირი და უშუალო საფუძველი გახდა.

54. როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომლის არსებობის ფაქტი მოსარჩელისაგან დადასტურებულია.

55. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძლო გამდიდრების არდაშვება; ადეკვატურობა; სავარაუდოობა (იხ. სუსგ საქმე №ას-1069-2021, 23 დეკემბერი, 2021 წელი).

56. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.

57. საკასაციო პალატა მიუთითებს ასევე 408.1. მუხლზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. საკასაციო პალატის განმარტებით, ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის პაროთეზა). სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი) (იხ. სუსგ საქმე №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი).

58. მოსარჩეულე ითხოვს მოპასუხისტვის მის მიერ გადახდილი ლიზინგის საზღაურის – 36 451 აშშ დოლარის დაკისრებას. მისი განმარტებით, მან ეს თანხა გადაიხდა იმ პირობით, რომ მას, გარდა სარგებლობისა, საკუთრებით გადაეცემოდა ქონება. იმის გამო, რომ მოპასუხე კომპანიამ უკანონოდ შეწყვიტა ხელშეკრულება და ხელშეკრულების დარღვევით განახორციელა რელიზინგი, ამით ფაქტიურად მოსარჩეულე კომპანიის მიერ გადახდილი 36 451 აშშ დოლარი ზიანის სახით წარმოშვა.

59. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მიუთითებს ხელშეკრულების დადების დროს მოქმედ სსკ-ის 576-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ: а) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება; ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.

60. იურიდიული დოქტრინის თანახმად, ლიზინგის საგნის შესყიდვა ლიზინგის ხელშეკრულების არსებით პირობას არ წარმოადგენს. თუმცა, როგორც წესი, ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის ამონურვის შედეგად გადადის ლიზინგის მიმღებზე დამატებითი საზღაურის გარეშე. აღნიშნულის წინაპირობაა ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის მოლიანი ფასის სრულად დაფარვა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ლიზინგის კონცეფციის მიხედვით, მოგების მისაღებად არ არის აუცილებელი ქონებაზე საკუთრების უფლების ფლობა. შესაბამისად, ლიზინგის ხელშეკრულების მიზანილიზინგის საგნით სარგებლობის უფლების რეალიზაციით გამოიხატება (იხ. <https://gccc.tsu.ge/>, ქეთევან ირჩემაშვილი, სსკ-ის 576-ე მუხლის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 14 მარტი, 2016).

61. სალიზინგო ურთიერთობის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ლიზინგის საგანი წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის ძირითად უზრუნველყოფას ანუ ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ლიზინგის საგანი უბრუნდება ლიზინგის გამცემს და რჩება მის საკუთრებაში/მფლობელობაში, ხოლო ლიზინგის მიმღებს არ აქვს მასზე მფლობელობის აღდგენის მოთხოვნის უფლება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მოსარჩეულის მტკიცება, თითქოს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებ-

ში მის მიერ გადახდილი თანხებით მოსარჩევის საკუთრებაში გადადი-ოდა სახელშეკრულებო ქონება, სამართლებრივ საფუძველს არის მოკ-ლებული. სახელშეკრულებო ქონების ლიზინგის მიმღების საკუთრება-ში გადასვლის ერთადერთ პირობას სალიზინგო საზღაურების სრულად და ჯეროვნად შესრულება წარმოადგენს. ხოლო, ლიზინგის მიმღების-თვის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე ლიზინგის საგანზე მფლობელობის/ლიზინგის მიმღების უფლების დაკარგვა არის, რაც არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც არათანაბარი სანქცია ლიზინგის მიმღების მიმართ, რადგან ლიზინგის მიმღებს, როგორც სალიზინგო ურთიერთობის მონა-წილეს, ლიზინგის გამცემის მხრიდან, გადახდილი სალიზინგო საზღაუ-რის საპირონე მომსახურება უკვე მიღებული აქვს ლიზინგის საგნის მფლობელობის პერიოდში. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გადახდი-ლი თანხა ვერ ჩაითვლება ლიზინგის მიმღების ზიანად, რადგან აღნიშ-ნულ პერიოდში მოსარჩელე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სრული-ად თავისუფლად ფლობდა ლიზინგის საგანს და იღებდა შესაბამის სარ-გებელს. საკასაციონ პალატა იზიარებს ასევე საპელაციო პალატის მსჯე-ლობას, რომ ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმებისა და ლიზინგის საგნის მიღების შემდგომ ლიზინგის მიმღებს გააჩნია უპირობო და გა-მოუთხოვადი ვალდებულება გადაიხადოს სალიზინგო საზღაურები, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული ვალდებულება არ არის დამოკი-დებული ლიზინგის გამცემის მხრიდან ვალდებულების შესრულებასა და/ან სხვა დამატებით ფაქტორებზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ლიზინგის მიმღები ახორციელებს ქონებით სარგებლობას, რომელიც არ წარმოადგენს ამ უკანასკნელის საკუთრებას, ხოლო ლი-ზინგის გამცემის, როგორც მესაკუთრის, ფუნდამენტური უფლებაა იყოს დაცული უკანონო ხელყოფისგან. გარდა ამისა, სალიზინგო ურ-თიერთობა არის ისეთი სახის მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ლი-ზინგის მიმღები სალიზინგო საზღაურს იხდის სწორედ ლიზინგის საგ-ნის გამოყენების (მოხმარების/ამორტიზაციის) პროპორციულად. შესა-ბამისად, მის მიერ სალიზინგო საზღაურების გადაუხდელობა ავტომა-ტურად ანიჭებს მესაკუთრეს (ლიზინგის გამცემს) უფლებას დაიბრუ-ნოს მის საკუთრებაში არსებული ქონება და არ მიეცეს ლიზინგის მიმ-ღებს სხვისი საკუთრების განადგურების (ცვეთის) შესაძლებლობა. ამ-დენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სალიზინგო საზღაურის გა-დაუხდელობა/დარღვევა წარმოშობს ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინ-გის საგანზე მფლობელობის უფლების უპირობო ჩამორთმევის უფლე-ბას მასზე მფლობელობის აღდგენის მოთხოვნის უფლების გარეშე, ხო-ლო ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი თანხები წარმოადგენს უკვე მიღებული მომსახურების საფასურს და ზიანად ვერ იქნება განხილუ-

ლი. შესაბამისად, ლიზინგის გამცემისთვის ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი ლიზინგის საზღაურის – 36 451 აშშ დოლარის დაკისრება, იმ პირობებში, როდესაც ლიზინგის მიმღები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სარგებლობდა ლიზინგის საგნებით, არსობრივად ენინააღმდეგება თავად ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას.

62. რაც შეეხება ლიზინგის გამცემის მიერ მოსარჩევლისთვის მიყენებული სანარმოო ზიანის – 740 062 ლარის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც ზიანის მიყენების ფაქტი მოსარჩელემ კვალიფიციურად ვერ დაადასტურა.

63. მოსარჩევლის განმარტებით, ლიზინგის გამცემის ქმედებებით მას მიადგა ფინანსური ზარალი, რაც მან განიცადა სანარმოო პერიოდში. აღნიშნული გამოწვეული იყო ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისთვის სალიზინგო ხელშეკრულებების მიხედვით შეძენილი დანადგარების გასხვისების შედეგად (ლიზინგის მიმღების მიერ განცდილი ზარალი, რაც გამოწვეული იყო ყურძნის პირველადი გადამუშავების შეუძლებლობით, რისთვისაც აუცილებელი იყო ლიზინგით შეძენილი დანადგარები). საკასაციო საჩივრის თანახმად, სარეალიზაციო ღვინოების შეძენა ხდებოდა მზა სახით, ხოლო ლიზინგის საგნების ქონის შემთხვევაში, ქარხანა შეიძენდა ყურძნებს და მას გადაამუშავებდა ღვინოდ (რასაც აკეთებდა, როდესაც გააჩნდა ლიზინგის საგნები), რაც თავისთავად თვითლირებულებათა შორის სხვაობას მისცემდა. სწორედ ეს სხვაობა დათვლილი ანაცდენი ზიანის სახით, რომელიც 740 062 ლარს შეადგენს (იხ. წინამდებარე განჩინების 31.16 ქვეპუნქტი).

64. მოსარჩევეს ზიანის მიყენების ფაქტისადა ოდენობის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი შპს „ვ-ის“ ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმად, მოსარჩელე კომპანიის მიერ განცდილმა ზარალმა, რაც გამოწვეული იყო სალიზინგო საგნების არქონის შედეგად, ყურძნის პირველადი დამუშავების ნაცვლად უკვე მზა ღვინომასასალის შეძენით, 2017 წლის 13 სექტემბრიდან დღემდე 740062,90 ლარი შეადგინა.

65. საკასაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული დასკვნის შესწავლით ვერ დგინდება ის აუცილებელი გარემოებები, რაც მსგავსი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მისცემდა ექსპერტს, კერძოდ, ის გარემოებები, რომ ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტამდე მოსარჩელე კომპანია ნამდვილად ახორციელებდა ღვინის წარმოებას ლიზინგის საგნების გამოყენების გზით; არ არის განსაზღვრული, რა მოცულობის სამუშაო სრულდებოდა ლიზინგის საგნებით, შესაბამისად, არ არის დადგენილი აღნიშნული საგნებით შესასრულებელი სამუშაოს ღვემოცულობის სამუშაოსთან მიმართებით გაზრდილი ხარჯის ოდენო-

ბა. კასასაცორის მიერ წარმოდგენილი დასკვნა არ შეიცავს მსგავს გარე-მოებებს. თუ მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მას მიადგა საწარმოო ზიანი, მან თავის საწარმოო შესაძლებლობებზე, ფინანსურ ანგარიშების, დოკუმენტაციასა და ფინანსურ მონაცემებზე/შესაძლებლობებზე დაყ-რდნობით უნდა განსაზღვროს ზიანის მოცულობა.

66. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა და-ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-ნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქ-ტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკი-ცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოები, რომ-ლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკი-ცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულე-ბებით.

67. საკასაციო პალატის განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნის შე-ფასებისას (იმდენად რამდენადაც იგი სპეციალური ციფნით აღჭურვი-ლი პირის კომპიუტერციას ეფუძნება), ყურადღება უნდა მიექცეს რამ-დენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილია ასახული სა-ბოლოო დასკვნაში. მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გუ-ლისხმობს მისი მინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემ-დეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნობის) შე-მოწმებას (იხ. სუსკ საქმე №ას-406-383-2014, 17 აპრილი, 2015 წელი).

68. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მხრი-დან წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის ზიანის მიყენებისა და მისი ოდენობის დასადგენად სათანადო მტკიცებულება. მოსარჩელემ ვერ მოახდინა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, რის გამოც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მას მართებულად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

69. სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სა-სამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ სებითად სწორია, მიუხედავად იმი-სა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბა-მის დასაბუთებას.

70. საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალის-წინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ სე-ბითად სწორია, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

71. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-

ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ქ. ყ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 25 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. სესხი

#### სესხის ხელშეკრულებიდან გამოვლინარეთანის დაკისრება

##### გადაცემის დღე საქართველოს სახელით

№ას-71-2023

24 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** სესხის დაბრუნება

##### აღნერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 სექტემბრის გა-  
დაწყვეტილებით – თ. ს-ძის (შემდეგში: მოსარჩევე, გამსესხებელი ან  
კასატორი) სარჩევლი ხ. გ-ძის (შემდეგში: მოპასუხე, მსესხებელი ან პე-  
ლანტი) მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, დაკმაყოფილდა ნაწი-  
ლობრივ;

1.1. მოსარჩევლის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 3000 (სამიათა-  
სი) ევროს გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხაა 2000 ევრო, სარგებე-  
ლი – 1000 ევრო.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელა-  
ციონ წესით გასაჩივრების შედეგად, დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპე-  
ლაციონ პრეტენზია და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-  
ლაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით  
გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სარ-  
ჩელი არ დაემაყოფილდა.

3. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემ-  
დეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. გამსესხებელი სარჩევლით ითხოვს, მის სასარგებლოდ, მსესხე-  
ბელს (მოპასუხეს) დაეკისროს სასესხო ურთიერთობიდან გამომდინა-  
რე თანხის გადახდა;

3.2. სარჩევლს ერთვის ხელწერილის ასლი. მასში მითითებულია, რომ  
მოპასუხემ (პ/ნ..., პასპორტის ნომერი ...) მოსარჩევისაგან (პ/ნ ...) ისეს-  
ხა 2000 (ორი ათასი) ევრო, თვეში 5% სარგებლით, მაქსიმუმ 5 წლით.

**ხელნერილი თარიღდება 2011 წლის 10 ოქტომბრით;**

3.3. სარჩელს ასევე ერთვის ფაქტების კონსტატაციის მასალები – სოციალური ქსელის მეშვეობით ელექტრონული მიმოწერა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. მოსარჩელის მტკიცებით, სწორედ ფაქტების კონსტატაციის ოქმით წარდგენილი მტკიცებულება (სოციალურ ქსელში მიმოწერა) ადასტურებს მოპასუხის ვალდებულებას.

4. სააპელაციო სასამართლომ შეესწავლა მოსარჩელის მიერ მითითებული მასალები და განმარტა, რომ მათი შინაარსი არ არის იდენტიფიცირებადი, ანუ არ ირკვევა კონკრეტურად რა ვალდებულებაზეა საუბარი, მით უფრო, ვერ დგინდება ამ მიმოწერის კავშირი ხელნერილის ასლში მითითებულ და სარჩელით მოთხოვნილ ვალდებულებასთან;

5. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხებ პირველი ინსტანციის სასამართლოში 2018 წლის 22 მარტს წარდგენილი შესაგებლით იმთავითვე სადაცო გახადა ხელნერილი და ეჭვევებ დააყენა მისი ნამდვილობა;

6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 მაისის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა – ბ. კ-ქემ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელნერილი არ არის ნამდვილი (არ არსებობს) და მის მარწმუნებელს არ მოუწერია მასზე ხელი. ხელნერილში არ ფიქსირდება მოპასუხის მხრიდან ნების გამოვლენა, შესაბამისად, მოპასუხის წარმომადგენელმა იშუამდგომლა, რომ მოსარჩელეს წარმოედგინა ხელნერილის დედანი და დანიშნულიყო კალიგრაფიული ექსპერტიზა;

7. სააპელაციო სასამართლომ დაასკენა, რომ მოპასუხებ, როგორც წერილობით წარდგენილი შესაგებლით, ისე მოსამზადებელ სხდომაზეც სადაცო გახდა მოსარჩელის მტკიცებულება – ხელნერილის ასლი და მასში მოპასუხის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობა. ამასთან, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2021 წლის 14 ივნისს მოპასუხის წარმომადგენლისათვის – ბ. კ-ძისათვის გაგზავნილი წერილით დასტურდება, რომ ხელნერილზე კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა დაბრუნდა შეუსრულებლად ხელნერილის ასლის და არა დენის წარდგენის გამო;

8. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, სააპელაციო სასამართლოშიც მოპასუხის მთავარი შედავება ეფუძნებოდა საქმეში წარმოდგენილი ხელნერილის სიყალბეს, რაც, ასევე, შედავებულია სააპელაციო საჩივრითაც. მოპასუხის მიერ სარჩელის გამორიცხვა ეფუძნება სწორედ ხელნერილის სიყალბეს.

9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებაზე და გან-

მარტა, რომ ეს უფლება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულის-ხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

10. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალნარმობაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარებს შერჩის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისნით განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნებულონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები;

11. სსსკ ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე, სსსკ-ის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტორივი გარემოებისა და მტკიცებულებების სფეროში. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშვნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის

თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინა-აღმდეგ. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რო-მელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თა-ვიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მო-სარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესა-გებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიც-დეს ეს გარემოებები (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითი-თებული გარემოებები). ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მსარეთა (შესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქ-ტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკი-ცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით;

12. ზემოთ დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პრო-ცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარ-დგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითე-ბული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვე-ვების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო გან-ცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალნარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათ-ვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებისათვის, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერია-ლურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტი-ლების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშ-ვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაუწმუ-ნებლობა კი მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ – მოთ-ხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მა-შინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღია-რებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხა-რის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცე-ბის ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, რო-გორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები, სსკ-ის მე-4 მუხ-

ლის თანახმად, სრულიად თავისუფალი არიან, მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

13. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხებ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ., ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64). კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარე მუნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო, დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარუდგინა სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს;

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაზე, სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ძირითადი ვალდებულების წარმომშობი დოკუმენტი – ხელწერილი (რომლითაც მოთხოვნილია მოპასუხისათვის თანხის დაკისრება), საქმეში მოთავსებულია არა დედნის, არამედ ასლის სახით. სსსკ-ის 135-ე მუხლის თანახმად, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, დედნის სახით უნდა იქნეს წარდგენილი. აღნიშნული მუხლი იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ სასამართლოს დასაბუთებული მოსაზრებით დოკუმენტის ასლსაც მტკიცებულებით ძალა მიენიჭოს, რაც არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის გარემოება ცალსახად დადგენილია და მტკიცებულებაში მითითებული ცნობები არ საჭიროებს შეფასებას. კანონის ეს დანაწესი იძლევა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ წერილობითი საბუთის ასლიც მტკიცებულებითი ძალის მქონედ იქნეს მიჩნეული. დოკუმენტის ასლისათვის ამგვარი

სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცებულების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის სტანდარტს. კანონის მითითებული დანაწესი არ გულისხმობს მტკიცებულების შეფასებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მტკიცებულებათა ერთპიროვნულ, ინტუიციურ შეფასებას, არამედ მტკიცებულებათა ინდივიდუალურად და ერთობლივად განხილვას. (ცალკეული მტკიცებულების გამოკვლევისას მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი საეჭვოობა და დიდი აღბათობით უნდა დადგინდეს მისი უტყუარობა (იხ. სუსკ №ას-1103-1258-2018, 2.06. 2009წ.);

15. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხელწერილის ასლს იურიდიულ ძალას ვერ მიანიჭებს იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელემ სადავოდ გახადა, როგორც ხელწერილის ნამდვილობა (ხელმოწერა), ისე – მასში დაფიქსირებული ჩანაცერი. ამასთან, როგორც მოსარჩელე უთითებს, მოპასუხეს არ დაუსახელებია დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი. მოსარჩელის მტკიცება, რომ იმ დოკუმენტის დედანი, რომლითაც მოსარჩელემ მოპასუხეს მისცა სარგებლიანი სესხი, მსესხებელმა (მოპასუხემ) დაიტოვა, არ წარმოადგენს დოკუმენტის დედნის წარმოუდგენლობის საპატიო გარემოებას. ამასთან მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მის მიერ დასახელებული ვერც ერთი მოწმე, რომლებიც დაადასტურებდნენ მსარეთა მიერ სადავო ხელწერილის შედგენას და მასზე მოწმეთა თანდასწრებით ხელმოწერას, რაც ასევე წარმოქმნის დოკუმენტის სანდოობის მიმართ ეჭვის საფუძველს და კიდევ უფრო ამცირებს მის მტკიცებულებით ღირებულებას (სადავო ხელწერილი არის ასლი, დედნის წარმოუდგენლობის გამო მასზე ვერ ჩატარდა კალიგრაფიული ექსპერტიზა). იმის დადგენა, დაწერილია თუ არა იგი მოპასუხის მიერ, შეუძლებელია, რის გამოც მას ვერ მიენიჭება მტკიცებულებითი ძალა. ამ პირობებში, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმეში არსებული ხელწერილი მოსარჩელის ძირითად მტკიცებულებას წარმოადგინს და მის საფუძველზე ითხოვს თანხის დაკირებას მოპასუხისათვის. მითითებული გარემოების გამო მოსარჩელის ამ მოთხოვნას მოპასუხის მიმართ, გამოეცალა ძირითადი ფაქტობრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ რადგან მოპასუხემსაბუთის სიყალბის თაობაზე განაცხადა, სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მისი წარმდგენი პირი, ანუ მოსარჩელე – გამსესხებელი ვალდებული იყო, საბუთის ნამდვილობა დაემტკიცებინა, რაც ვერ შეძლო. საბუთის ნამდვილობის დამადასტურებელი მტკიცებულება იმ თვალსაზრისით რა თვალსაზრისითაც მოპასუხე მას სადავოდ ხდიდა, მო-

სარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილ „ხელწერილს“ უტ-ყუარ მტკიცებულებით ძალას ვერ მიანიჭებს და მის საფუძველზე მო-ბასუხეს თანხის გადახდას ვერ დაკისრებს;

16. რაც შეეხება ფაქტის კონსტატაციის მასალებს, მისი შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კონსტატაციის მა-სალებით, მასში არსებული მიმოწერით არ იკვეთება კონკრეტულად რა ვალდებულებაზე საუბრობენ მხარეები და რამდენია მისი მოცულობა. შესაბამისად, ვერ დგინდება კავშირი ხელწერილში ასახულ ფულად ვალ-დებულებასთან და მიმოწერა ვერ ქმნის მტკიცებულებათა ერთობლი-ობის უტყუარ ჯაჭვს.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებ-რივი შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად. უნ-და გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 სექ-ტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარ-გებლოდ 3 000 ევროს გადახდა დაეკისრა და სარჩელი არ უნდა დაკმა-ყოფილდეს.

## 18. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

18.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების გაუქმებითა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩე-ლის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ ძირითად საკასაციო პრეტენ-ზიებზე მითითებით:

18.1.1. მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობა დადასტურებუ-ლია არა მხოლოდ ხელწერილით, არამედ სოციალურ ქსელში მიმოწე-რით, მხარეები დღემდე იყენებენ ამ ელექტრონული კომუნიკაციის სა-შუალებას. სასამართლოს არ გამოუკვლევია ეს მიმოწერა და მარტოო-დენ ზოგადად მიუთითა, რომ ფაქტების კონსტატაციის მასალებით მი-მოწერის შინაარსი არაიდენტიფიცირებადია და არ დგინდება, კონკრე-ტულად რა ვალდებულებაზეა საუბარი. სააპელაციო სასამართლოსა-გან განსხვავებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოაქვეყნა მხარეთა მიმოწერა და ვრცლად იმსჯელა მასზე;

18.1.2. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ თით-ქოს 2021 წლის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელ-მა წერილობითი შუამდგომლობის წარდგენით სადავო გახადა ხელწერი-ლის ნამდვილობა, რადგან მოსარჩელემ ჯერ კიდევ გამარტივებული აღ-სრულების დროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაწყებისას მოით-ხოვა მოპასუხისაგან ხელწერილის დედნის გადაცემა, ამ უკანასკნელმა

კი მისი ასლი გადასცადა მოატყუა. მხარეთა შორის კეთილგანწყობასა და ნდობაზე დაფუქნებული ურთიერთობის შესახებ დეტალურად ისა-უბრა მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში და განმარტა, რომ ისინი 2007 წლიდან იცნობენ ერთმანეთს, ხოლო რადგან მოპასუხებ მოსარჩელე დაასაქმა იტალიაში, ეს უკანასკნელი ნდობით იყო განწყო-ბილი მოპასუხისადმი. მოსარჩელემ მტკიცებულების დაცვა – ხელწერი-ლის დენის განადგურების არიდებაც მოთხოვა შუამდგომლობით;

18.1.3. მოპასუხე ფორმალურად შეედავა სარჩელში მითითებულ გა-რემოებებს, ჯერ სარჩელის განუხილველად დატოვება მოითხოვა მოთ-ხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით, რითაც ირიბად აღიარა ვალდე-ბულების არსებობა, ხოლო შემდეგ დააყენა შუამდგომლობა ხელწერილ-ზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის თაობაზე. მოსარჩელემ დეტალუ-რად განუმარტა სასამართლოს მოპასუხის მხრიდან ხელწერილზე ხელ-მოწერასთან დაკავშირებული გარემოები და ისიც კი აღნიშნა, რომ უჯრედებიან („კლეტკიან“) ფურცელზე მოუწერა ხელი მოპასუხემ, რაც დადასტურდა კიდეც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მა-სალებისა და მტკიცებულებების გამოკვლევა-გამოქვეყნების დროს;

18.1.4. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა ერთობლივი შეფასების გზით არ იმსჯელა, რასაც საქმეზე არასაწორი გადაწყვეტი-ლების მიღება მოჰყვა, რის გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყო-ფილდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი დაკმაყოფილ-დეს ისე, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა.

18.2. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 1 მარტის განჩინებით, ამავე სასამართლოს 2023 წლის 21 აპ-რილის განჩინებით კი დასაშვებად იქნა ცნობილის არსებითად განსა-ხილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნანილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძ-ველზე, „სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/ და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რა-საც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე“.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაა-ნალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკა-საციო განაცხადი დასაბუთებულია და სარჩელი უნდა დაკმაყოფილ-დეს ნანილობრივ, ანუ საკასაციო საჩივრით მოთხოვნილ ფარგლებში.

19. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კო-

დექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმ-სჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საკალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს ნარმოდენილი, ამასთან, საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკარისია სადაც სამართალურთიერთობის შეფასებისათვის, არ ქმნის საქმის ხელახლა განსახილველად (ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ან სხვა მტკიცებულებების ხელახლა გამოსაკვლევად) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ საფუძველს და, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების გზით, შესაძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სამართლწარმოების ეტაპზე.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს სავსებით მართებულად აქვს მითითებული სამოქალაქო სამართლა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში დამკვიდრებული მტკიცების ტვირთის ზოგად სტანდარტზე, შესაბამისად, მათზე მიუთითებს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10-13 პუნქტები), თუმცა, მოცემულ საქმეზე არასწორად არის განახილებული მტკიცების ტვირთი, რამაც საქმეზე დადგენილი გარემოებების არასწორი შეფასება გამოიწვია.

21. სარჩელით მოთხოვნილია სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და მსესხებლისათვის სესხად მიცემული თანხის დაბრუნების დაკისრება. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა, რომ ის პერიოდულად ითხოვდა და შეახსენებდა ხოლმე მოგალეს ყოველთვიური სარგებლისა და სესხის გადახდას. ამის თაობაზე სატელეფონო და ელექტრონული მიმოწერა მოსარჩელემ შეინახა მას შემდეგ, რაც გადახდის გაჭიანურება დაიწყო მოპასუხემ და გამსესხებელს უთხრა, რომ ამ უკანასკნელს მხოლოდ ხელწერილის ასლი ჰქონდა, ხოლო დედანი მასთან ინახებოდა, რასაც გაანადგურებდა, ამით კი ასლს ძალა დაეკარგებოდა. ამის შემდეგ გამსესხებელმა მსესხებელთან მიმოწერის აღნუსხვა-დადასტურება გააკეთა, რაც სასამართლოს წარუდგინა ფაქტების კონსტატაციის ოქმით. 2018 წლის 22 მარტის წერილობით შესაგებლით, სარჩელის პირველი ფაქტობრივი გარემოების პასუხად, მოპასუხემ მხოლოდ ის მიუთითა, რომ მხარეთა შორის არ ყო-

ფილა არანაირი ხელწერილი და საეჭვოა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელწერილი, შესაბამისად, მე-2 ფაქტობრივი გარემოების პასუხად მოპასუხებ მხოლოდ ფორმალური მონიშვნა „არ ვეთანხმები“ გამოიყენა, ხოლო სარჩელის მე-3 და მე-4 ფაქტობრივი გარემოების პასუხად, სადაც მოსარჩელე უთითებს მისთვის განეულ იურიდიულ კონსულტაციასა და 2018 წლის 26 თებერვლის მონაცემებით საქართველოს ეროვნული პანკის ოფიციალური გაცვლით კურსზე, რომლის მიხედვით 1 ევრო 3.03 ლარია, რა გაანგარიშებითაც არის მოთხოვნილი ვალდებულების შესრულება, მოპასუხებ შესაგებელში იყენებს ფორმალურ მონიშვნას „ვეთანხმები“. ამის შემდეგ მოპასუხებ 2021 წლის 14 მაისს წარადგინა წერილობით შუამდგომლობა სასამართლოში, სადაც მიუთითა, რომ სარჩელზე საქმისნარმოება უნდა შეწყვეტილიყო ხანდაზმულობის გამო, რადგან, მხარისათვის უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი იყო უკვე 2011 წლის 11 აპრილს, მან თავდაპირველად გამარტივებული წარმოება დაიწყო 2017 წლის 2 ნოემბერს, 2017 წლის 5 დეკემბერს კი განცხადებით თავად მიმართა თ. ს-ძემ ალსრულების ეროვნულ ბიუროს, რის საფუძველზეც შეწყდა წარმოება“.

22. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასება. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებმ (გამსესხებელმა) სარჩელშივე მიუთითა, რის გამო არ ჰქონდა მას სესხის ხელწერილის დედანი, ხოლო მოპასუხებ მხოლოდ ის დაუპირისპირა, რომ მხარეთა შორის არანაირი ხელწერილი არ ყოფილა, ხოლო შემდეგ წარდგენილ შუამდგომლობაში განმარტა, რომ მსესხებლისათვის უფლების დარღვევის შესახებ ჯერ კიდევ 2011 წლის 11 აპრილს იყო ცნობილი და საქმისნარმოება სარჩელზე ხანდაზმულობის საფუძვლით უნდა შეწყვეტილიყო, საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასების შედეგად განმარტავს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობს, თუმცა, გასარკვევი და შესამოწმებელია, ხომ არ არის მოთხოვნა ხანდაზმული, რადგან ამ მიმართებით მოპასუხებს (მსესხებელს) პრეტენზია გაცხადებული აქვს.

23. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დასადგენად, მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ რეალიზებული მტკიცების ტვირთის შეფასება. მოსარჩელემ საკუთარ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად სესხის ურთიერთობიდან გამომდინარე არა მხოლოდ მასთან შემონახული ხელწერილის ასლი წარადგინა (ამ მიმართებით არ არის გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები) და სარჩელშივე განმარტა, თუ რატომ არ შეეძლო მტკიცებულების დედის წარდგენა, არამედ ფაქტების კონსტატაციის ოქმი წარადგინა, რას-

თან დაკავშირებითაც არავითარი პრეტენზია, განმარტება არ წარუდგენია მოპასუხეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ საესებით სწორად აღნიშნა, რომ მოპასუხებ ფორმალური შესაგებელი წარადგინა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ არ არის გასაზიარებელი ფაქტების კონსტატაციის ოქმით წარმოდგენილი მხარეთა ელექტრონული მიმოწერა, მისი შინაარსის გაურკვევლობისა და ვალდებულების არაიდენტიფიცირებადობის, მათ შორის, მისი მოცულობის გამო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 და მე-16 პუნქტები), საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და განმარტავს, ამ შემთხვევაში იმის დამტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელის მიერ სესხად გადაცემული თანხის (მისი სარგებელი) დაბრუნების თაობაზე „ფეისბუქის“ მეშვეობით მიმოწერა, რომ არ ეხებოდა სარჩელით მოთხოვნილი ვალდებულების შესარულებას, მთლიანად მოპასუხეს ეკისრებოდა.

24. საკასაციო სასამართლომ მხარეთა მტკიცების ტვირთის ფარგლებში, შეამოწმა მოსარჩელის (კასატორი) მიერ წარდგენილი მტკიცებულება-ფაქტების კონსტატაციის ოქმი, რომლის მიხედვითაც მოდავე მხარები ერთმანეთს უკავშირდებიან და მათ შორის ახლობლური ურთიერთობა ჩანს იმ მიმოწერიდანაც, სადაც მოპასუხე მოსარჩელეს უდასტურებს, რომ უნდა გაისტუმროს ვალი. მხარეთა მიმოწერა სოციალურ ქსელში, რომელიც მათ შორის სადავო არ გამხდარა და საპელაციო სასამართლომ სესხის ურთიერთობის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიიჩნია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-16 პუნქტი), შემდეგი შინაარსის მიმოწერას ასახავს: „ვიცი თ. რომ დამეხმარე, ვიცი, რომ უნდა გავისტუმრო, მაგრამ რადგან ამდენი გამიკეთე, უნდა მომცე საშუალება, რაღაც რომ ავანყო. ერთ სამსახურზე ვარ და ვერ ვახერხებ, მაქვს რაღაც ვარიანტები და როგორც დავიწყებ, ცოტ-ცოტას მოგაწოდებ, მეგონა უფრო მაღლე ავენტობოდით, ამდენი პატივი მეცი და ცოტაც დამაცადე“; „ხ., უმუშევარი დავრჩიდა რაღაც მომიხერხე... 200 ევრო როგორმე გამომიგზავნე“; „თ., მოგწერე რომ მეც ვმუშაობ ცოტას და სანამ მეორეს არ ვნახავ, არ შემიძლია, ნუ გეშინია, დავიწყებ მუშაობას და გამოგიგზავნი“; „მჯერა ხ., მაგრამ ბანკი მაქვს კიდევ უმუშევარს გადასახდელი, თორემ ვიცი, რომ გადამიხდი“; „დამირეე ხ., ვარ უმუშევარი 10 მარტის შემდეგ, დამირეე და რაღაცა თანხა მომანოდე, 50 ევროც ეხლა ჩემთვის ფულია“; „თ., ძნ გთხოვ, ცოტა ხანს კიდევ მაცადო საოპერაციო ვარ, ვერ ვმუშაობ ვერც მე, ექიმთან დავდივარ, ნუ გეშინია მოგცემ“; „2 თვეა უმუშევარი ვარ და ძალიან მიჭირს! დამირეე და რაღაც თანხა გამომიგზავნე!“; „ვერაფერს გამოგიგზავნი ახლათ, მე არ ვარ კარგად, რასაც ვმუშაობ, გაჭირვებით ჩემს ფიზიოთერაპიებს უნდება, მერე უნდა გავიკეთო ინფილტრაცია და თუ ამანაც არ მიშველა ოპერაცია, უნდა დამაცადო“; „უკვე მესამე თვე მი-

დის და ისევ უმუშევარი ვარ! მამა მყავს სასწრაფოდ საოპერაციო, ებლა სხვა ვინმეს თხოვე დახმარება, უკვე ძალიან გავიჭედე, გთხოვ ნუ მანერვიულებ, დამირეკე”; „თ., გითხარი რომ ცუდად ვარ, ვერ ვმუშაობ, ცოტა ხანს უნდა მაცადო, არ მუშაობს არც ანა და ძნ კარგად იცი, სანამ მქონდა და შემექლო, ყველას ვუხდიდი პროცენტს. ახლა კიდევ პროცენტებს ვეღარ ვისესხებ. დამაცადე და ნელ-ნელა გადაგიხდი, არსად გავრბივარ, უპრალოდ უნდა გამოვჯანმრთელდე. ჩემი საქმეების რჩევას თავი დაანებეთ, ჯერ მკვდარი არ ვარ და თუ ფულს მიიღებ, უნდა დამელოდო. ისე ჩემზე რომ ლაპარაკობთ რაღაცეებს თქვენიც გაიხსენეთ, სხვებსაც ასე გადაეცი”; „შენი საქმეები ვერ გეტყვი სად ირჩევა და რა ირჩევა, მე ის ვიცი, რომ მაქსიმალურად დაგეხმარე! ის ვინც ამბები მოგიტანა, იმას ჰკითხე ზუსტად ვინ არჩევს ამბებს და რას არჩევს, ვინც შენ ამბები მოგიტანა, მას აინტერესებს შენი ამბები ალბათ, მე ფული გამისტუმრე და შენი სხვა პირადად მე არაფერი მაინტერესებს”; „გაგისტუმრებ, მაგრამ ახლა არ მაქვს...”; „ხ., რაღაც უნდა მომიხერხო! მეტი რა გიყო! ლომბარდი გაგისტუმრე! მამა მყავს საოპერაციო და ფული მჭირდება, სხვა ვინმეს თხოვე დახმარება!!!!!!!”; „თ., გაიგე რომ ცუდად ვარ!“; „ახლა არ მაქვს, თ. და ისე 5%-იანი ვისესხე და მერე თურმე ჩამინაცვლე 3%-იანი. ვიცი, ბოლოს არ მახდევინებდი ვერ ვიხდიდი და მადლობელი ვარ. ახლა არაფერი მაქვს, ვერაფერს მოგცემ, ცუდად ვარ, საოპერაციო და წადი ახლა ვინც გინდა მოიყვანე, დაგიდებ წინ ჩემს ექიმის პასუხებს და ექიმი ხომ ხარ, მითხარი მერე მოკვდი, მაგრამ მომიტანე თქ. ექიმი ხარ წამდვილად?“; „რომ შემეცოდე იმიტომ დაგეხმარე. გამხდარი იყავი ავადმყოფურად! მე მართლა შემეცოდე, მაგრამ მე ეხლა მიჭირს და შენ ჩემთვის უცხო ადამიანს ძალიან დაგეხმარე. კი არ გაშინებ რომ მაქვს. დარეკვის ღირსადაც არ მთვლი...“; „თ., ვიცი არაფერი დამივინყია. გთხოვ ნუ იფიქრებ ცუდად, მაცადე. ცუდად ვარ. მოგცემ!“; „რაც შეეხება პროცენტების გადახდას, სანამ მქონდა თავანიც მოგაწოდე და როცა მოვახერხებ, დანარჩენსაც მოგაწოდებ კიდევ. კიდევ ერთხელ არ მომწვდეს შენი ენა, თორემ ვალი კი არა, სადაც საჭიროა, იქ მიგაბრძანებ..“; (იხ. ფაქტების კონსტატაციის ოქმი). მოსარჩელებ სარჩელში მიუთითა, რომ მის მიერ მოპასუხისათვის სესხის გადაცემას ამ უკანასკნელის და – ნ. გ-ძე ესწრებოდა. გამსესხებელი მსესხებელს პერიოდულად ახსენებდა გადასახდელი სარგებლის შესახებ, რაზედაც მოპასუხე პეირდებოდა, რომ ძირითად თანხას და სარგებელსაც ერთად გადაუხდიდა, ბოლოს კი უარი განაცხადა გადახდაზე, თანაც მსესხებელს უთხრა, რომ სესხის მსესხებლისათვის გადაცემის ხელნერილის მხოლოდ ასლით, რომელიც გამსესხებელს ჰქონდა, ვერაფერს გახდებოდა, ხოლო ხელწერილის ორიგინალს (დედანს) გაანადგურებდა. მას შემდეგ, რაც მსესხებელმა დაინყო სეს-

ხად გადაცემული თანხის სარგებლის გადახდის გაჭიანურება, გამსეს-ხებელმა შეინახა სატელეფონო და ელექტრონული მიმოწერა, რომე-ლიც ფაქტების კონსტატაციის ოქმის სახით წარუდგინა სასამართლოს. ამის პასუხად, შესაგებელში მოპასუხეს არავითარი შედავება არ წა-რუდგენია, გარდა ფორმალური მითითებისა „არ ვეთანხმები“;

24.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვა-ლისნინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუ-ალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპ-როცესო თავდაცვის საშუალება, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქა-ლაქო სამართალნარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრები-თობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციუ-რობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა. საპროცესო ავტონომიის ფარ-გლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრუ-ლებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულიღილ დავაში შესვლს და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან;

24.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა (საქმეზე №ას-664-635-2016) 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითე-ბენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთე-ბისა ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცები-თი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადე-ბის მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლო-სათვის სარჩელ ზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოი-ხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვე-ვისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (დიდი პა-ლატის გადაწყვეტილების 206-ე პუნქტი);

24.3. ფორმალური გამართულობის მოთხოვნა ვრცელდება არამარ-ტო სარჩელზე, არამედ შესაგებელ ზეც, რა დროსაც მოწმდება, თუ რა ტიპის შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შე-მაფერხებელი, გამომრიცხავი და ა.შ.). შესაგებლის კლასიფიკაციას არ ვხვდებით საპროცესო ნორმებში, თუმცა ამას გვთავაზობს იურიდიუ-ლი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა. შესაგებლის ზოგადი კლასი-

ფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბ-სტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვა-ლიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკნელის ნების ავტონომიის ფარ-გლებში. გენერალური მიდგომაა, რომ აბსტრაქტული შესაგებლის წარ-დგენა დაუშვებელია (აღნიშნული უტოლდება შესაგებლის წარუდგენ-ლობას), ასეთივე მიდგომა შესაგებლის შეუვსებელი (ცარიელი) ფორ-მის მიმართაც. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუ-დება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნე-ლოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქ-ტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას, წინააღმდეგ შემ-თხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები დამტკიცებულად ითვლება)- სხვა მრავალთა შორის შეად. სუსგ-ებს: №ას-590-2023, 20.07.2023წ; №ას-541-2023. 5.07.2023წ; №ას-424-2023, 22.06.2023წ; №ას-1167-2021, 15.03.2023წ;

24.4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზ-ლვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპი-რობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თი-თეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონმებს, რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ. თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენი-ლი კვალიფიციური (არსებითი) შედავება და მხოლოდ სამართლებრი-ვად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამარ-თლე გადადის მტკიცების სტადიაზე. შესაგებლის სახეებიდან განსა-კუთრებული დატვირთვა აქვს კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიცი-ური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაი-რად: მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვ-ლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოდ ხდის მოსარჩელის მოხსენებას. კვა-ლიფიციური შედავებისას, მოსამართლემ უნდა შეამონმოს, რას პასუ-ხობს მოპასუხების ვერსიას მოსარჩელე და ეს პროცესი გრძელდება, ვიდ-რე არ დასრულდება მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე გა-დასვლა და პირიქით (შეად. სუსგ-ებს: №ას-613-2020, 17.06.2021წ; №ას-790-2020, 20.05.2021წ.);

24.5. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით იმ პი-რობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარე-მოებებს და მათ დასამტკიცებლად წარდგენილ მტკიცებულებებს მო-პასუხემ ფორმალური შესაგებელი დაუპირისპირა და არათუ მოვლენე-ბის განვითარების მისეული ვერსია წარადგინა, არამედ საერთოდ არ

შეედავა კონკრეტულ ფაქტებს, ამასთან, არც ფაქტების კონსტატაციის იქმით წარდგენილი მიმოწერის ნამდვილობა გაუხდია სადავოდ, მტკიცებულებათა ერთობლივი შეჯერებით და იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა მიერ წარდგენილ თითოეულ მტკიცებულებას თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია და სასამართლოსათვის არც ერთ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა არ აქვს, სარჩელის სტადიაზე წარდგენილი მტკიცების საწინააღმდეგო მსჯელობის არარსებობის პირობებში, საკასაციო სასამართლოსათვის სრულად ცხადია, რომ მხარეთა მიმოწერა სწორედ არსებული სესხის ვალდებულებას ეხებოდა. როგორც ეს უკვე აღინიშნა, მოსარჩელის მიერ სესხად გადაცემული თანხის (მისი სარგებლის) დაბრუნების თაობაზე „ფეისბუქის“ მეშვეობით მიმოწერა, რომ არ ეხებოდა სარჩელით მოთხოვნილი ვალდებულების შესრულებას და სხვა ვალდებულებიდან გამომდინარეობდა, მთლიანად მოპასუხეს ეკისრებოდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 23-ე პუნქტი). რაც შეეხება საქმის მასალებში წარდგენილი წერილობითი მტკიცებულების ასლს, რომელშიც დაფიქსირებულია მხარეთა (და გამსესხებლის) პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები, კერძოდ, მსესხებლის პირადი ნომერი და პასპორტის ნომერი, ასევე, გამსესხებლის პირადი ნომერი, სესხის 2000 ევროს მსესხებლისათვის გადაცემისა და ამ უკანასკნელის მიერ მიღების ფაქტი, ამასთან, 2011 წლის 10 ოქტომბრის ხელნერილის მიხედვით, სესხი სარგებლიანია და ყოველთვიურად 5 პროცენტს შეადგენს და გაცემულია მაქსიმუმ 5 წლით, ფაქტების კონსტატაციის ოქტან, მოსარჩელის მიერ წერილობით წარდგენილ სარჩელსა და ზეპირი განმარტების დროს მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებით, ადასტურებს მსესხებლისათვის სესხის გადაცემას;

24.6. სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დაბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი“. ამდენად, დასახელებული ნორმის მიხედვით, სესხის ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას, ანუ იგი დადებულად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (იხ. სუსგ-ები: №ას-361-343-2015, 14.12.2015წ; №ას- 662-2022, 11.11.2022წ.). ამავე კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სესხი რეალურ

ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელ-შეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხა-რეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის საკუთრებაში გადაცემის მო-მენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გა-რემოებაც, უპირველესად ხელშეკრულების საგნის გადაცემაა (ხელ-შეკრულების დადება). ხელშეკრულების ფორმისა არჩევის საკითხი მტკი-ცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს და სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტის სასკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, კანონისმიერი ჩა-ნაწერის მიხედვით, ზეპირი სესხის ხელშეკრულების არსებობის პირო-ბებში, თანხის გადაცემის ფაქტი მარტოდენ მოწმეთა ჩვენებაზე დაყ-რდნობით არ მტკიცდება. ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო გა-სესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტუ-რებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად ისეთ წერილობით სა-ბუთს მიიჩნევს, როგორიცაა მაგალითად, სავალო საბუთი, გადარიც-ხვის ქვითარი, სალარო შემოსავლის ორდერი და ა.შ. (იხ. სუსგ №ას-398-371-2017, 6 ივნისი, 2017 წელი). სსკ-ის 135-ე მუხლის თანახმადაც, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია სპუთის ასლი, სასამართლოს მხარე-თა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგე-ნისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუ-თის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძ-ვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასალისთვის მტკიცებულე-ბითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედუ-ლებაზე. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ სადაცო გახადა „სუს-ხის ხელწერილის“ წამდვილობა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, წე-რილობითი შესაგებლით და არც შემდეგ არ შედავებია მოსარჩელის მი-ერ ხელწერილის დედნის წარუდგენლობის მიზეზის განმარტებას და სესხის წამდვილობის დასადასტურებლად მის მიერ წარდგენილ კიდევ ერთ მტკიცებულებას – ფაქტების კონსტატაციის ოქმს. კანონი არ გა-მორიცხავს წერილობითი დოკუმენტის დედნის წარდგენის შეუძლებ-ლობას და იგი შეიძლება გამოწვეული იყოს მხარისგან დამოუკიდებე-ლი სხვადასხვა ყოფითი მიზეზის რეალურად არსებობით, თუმცა ეს გა-რემოება მხარემ დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, რაც მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით მოსარჩელემ სარწმუნოდ დაამტკიცა. იმისათვის, რომ ხელწერილის ასლს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სასამართლომ ნამდვილი და

სარწმუნო მტკიცებულების მნიშვნელობა მიანიჭოს, მასში მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონით დადგენილი „მინიმალური მინარსი“, ანუ სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთერთი მხარის მოთხოვნით მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომ არ დადასტურდა მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა, დადგენილი იყო, რომ წარდგენილ დოკუმენტზე მხარის ხელმოწერა, სხვადასხვა თარიღები და თანხა იკითხებოდა, ხოლო თუ რა სამართლურთივერთობას ეხებოდა იგი, ვერ ირკვეოდა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, „ხელწერილი ვერ პასუხობს კანონის მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ხელშეკრულების ნამდვილობას. აქედან გამომდინარე, რომც დადგინდეს მოპასუხის ხელმოწერის ნამდვილობა, დოკუმენტიდან არ ირკვევა ვალდებულების არსებობა“ (იხ. სუსგ №ას-662-2022, 11.11.2022წ.). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც თავისუფალია და იმავდროულად კანონის დანაწესითაა შეზღუდული. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი) (შდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.2017წ.). მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული (შდრ. სუსგ-ებს: №ას-895-2021, 23.12.2022წ; №ას-441-2020, 20.02.2022წ; №ას-52-2022, 19.10.2022წ; №ას-1142-2022, 23.03.2023წ; №ას-183-2023, 11.05.2020წ; №ას-266-2023, 25.05.2023წ.).

25. მოპასუხის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე წარდგენილი პრეტენზის პასუხად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებით, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დადასტურებულია მსესხებლისათვის სესხის გადაცემა 2000 ევროს ოდენობით 2011 წლის 10 ოქტომბერს, რომლის დაბ-

რუნების ვადა განსაზღვრული იყო არა უგვიანეს 2016 წლის 10 ოქტომბრისა, ხოლო გამსესხებლის მიერ სარჩელი აღძრულია 2018 წლის 28 თებერვალს, რაც საგვებით აკმაყოფილებს სსსპ-ის 129.1 მუხლით განსაზღვრულ სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას, რომლის გასვლის შემდეგ, სარჩელი განუხორციელებადია სწორედ მისი ხანდაზმულობის მოტივით.

26. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების გზით, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე იმ ფარგლებში და მოცულობით, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდნა სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სწორედ კასატორის მოთხოვნის ფარგლებში (სსსპ-ის 248-ე მუხლი) დაკმაყოფილდა წინამდებარე საკასაციო განაცხადი და, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, მოპასუხეს (მოვალეს, მსესხებელს) კრედიტორის (გამსესხებლის) სასარგებლოდ დაეკისრა სულ 3000 (სამი ათასი) ევრო, საიდანაც 2000 (ორი ათასი) ევრო სესხის ძირითადი თანხაა, ხოლო 1000 (ათასი) ევრო მხარეთა შორის შეთანხმებული სარგებელი.

27. კასატორის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება (იხ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

### **გ ა დ ა ნ დ ა ფ ი რ ა ტ ა:**

1. თ. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ს-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ბ. გ-ძეს, თ. ს-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხაა 2000 ევრო, სარგებელი – 1000 ევრო;
5. ბ. გ-ძეს, თ. ს-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 693,87 ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. ნარდობა

### მიახლოებითი სარჩევალიცხვის გადაჭარბება

გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით

№ას- 1084-2022

24 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება (ძირითად სარჩელში), ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 13 ივნისს შპს „L. C. L.“-ს (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მოსარჩელე კომპანია“, „შემსრულებელი“, „მოპასუხე შეგებებულ სარჩელში“ ან „კასატორი“) და შპს „ი-ი“-ს (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოპასუხე კომპანია“, „დამკვეთი“ ან „მოსარჩელე შეგებებულ სარჩელში“) შორის დაიდო ხელშეკრულება №19/011. აღნიშნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებით, მოპასუხე, თავად როგორც ქვეკონტრაქტორი, ასრულებდა მასზე ნაკისრ ვალდებულებას.

2. 2019 წლის 02 აპრილს მოპასუხესა და შპს „ბ.ს.გ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება „ქუთაისის შემოვლითი გზა სამტრედიის მონაკვეთების 4-ზოლიან ავტომაგისტრალად მოდერნიზების სამუშაოების ლოგი 4 კვ.მ. 30+300 – კმ +354“. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხემ იკისრა ქუთაისის შემოვლითი გზის სამტრედიის მონაკვეთის ოთხზოლიანი ავტომაგისტრალის სამუშაოების ფარგლებში მიწის სამუშაოებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის ვალდებულება; ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის ნაწილში შედიოდა მოსარჩელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ნაწილი (13.06.2019 წლის ხელშეკრულება), კერძოდ, ნაბურღ-ნატენი რკინაბეტონის ხიმინჯის მოწყობა სამაგრი (გარსაცმის) მიღების გამოყენებით, ჯამურად 4151 გრძივი მეტრი.

3. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2019 წლის 13 ივნისის ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა ვალდებულებები, კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთი გრძივი მეტრი ნაბურღ-ნატენი ხიმინ-

ჯის მოწყობის ღირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს. მოცემულ ფასში შედის შემდეგი სამუშაოს შესრულება: გაბურღვა სამაგრი მიღების საშუალებით, ხიმინჯის არმატურის ჩინჩხის ჩალაგება და ბეტონის ჩასხმა, აგრეთვე, საწვავის ღირებულება დღგ-ს გარეშე, მიწოდებულიდამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის, სამუშაოს შესასრულებლად.

4. 2019 წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელეს მოპასუხებ მიაწოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი პროექტი და ის მახასიათებლები, რისი გათვალისწინებითაც უნდა შესრულებულიყო სამუშაო.

#### **5. მხარეთა შორის გაფორმდა 2019 წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დამატუსტებელი ოთხი შეთანხმება:**

5.1. 21.06.2019 წლის შეთანხმების მე-7 პუნქტის შესაბამისად, 13.06.2019 წლის ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, არა უმეტეს 20გ გარსაცმის მქონე საბურღ-სატენი ხიმინჯის 1 წრფივი მეტრის დაყენების ღირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს. თუ ნიადაგის გეოლოგიური თავისებურებების გამო, სამშენებლო მოედანზე გარსაცმი მიღების გამოყენებით რკინაბეტონის საბურღ-სატენი ხიმინჯების დაყენებისას საჭირო გახდება მათი დამაგრება 20გ სილრმეზე მეტად, ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას და მხარეები დამატებით შეთანხმდებიან ახალ ფასზე;

5.2. 27.06.2019 წელს, 03.07.2019 წელს და 30.07.2019 წელს გაფორმდა დამატებითი შეთანხმებები;

5.3. მეოთხე დამატებითი შეთანხმების (30.07.2019 წლის) მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბურღ-სატენი ხიმინჯის 1 წრფივი მეტრის დაყენების ღირებულება შეადგენს 83 აშშ დოლარს. ამასთან, მხარეები გასაანგარიშებლად გაითვალისწინებენ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივ მოცემულობას. ამავე შეთანხმებით, სამშენებლო აღჭურვილობის უწყვეტად მუშაობისათვის, დამკვეთი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს სამშენებლო მოედანზე 40 ტონა დიზელის საწვავი თავისი ხარჯებით. დიზელის საწვავის დარჩენილი მოთხოვნილება, მისი ღირებულებიდან დღგ-ს გამოკლებით, უზრუნველყოფილი იქნება შემსრულებლის ხარჯზე;

5.4. 30.07.2019 წლის შეთანხმების მე-3 პუნქტის თანახმად, დამკვეთი იღებს ვალდებულებას შესასრულოს შემდეგი პირობები: სამშენებლო მოედანი უწყვეტად (შეფერხების გარეშე) უზრუნველყოს ბეტონის ტუმბოთი; მუდმივად იქონიოს სამშენებლო მოედანზე ამწეკრანი არანაკლებ 25-ტონიანი ტვირთამნებით, აღჭურვილობის გადმოსატვირთად და დასატვირთად, მისი მონტაჟისა და დემონტაჟისა და ხიმინჯებისათვის არმატურის მზა კარკასების დასაყენებლად. მხარეები, სამუშაოთა ცხადი სირთულის გათვალისწინებით, თანხმდებიან სა-

მუშაოების შესრულების ვადის გახანგრძლივებაზე 2019 წლის 30 ნოემბრამდე.

6. მოსარჩელემ 2019 წლის ნოემბრის ბოლოსთვის სამშენებლო მოედანზე შეაჩერა სამუშაოები. იგი სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების შემაფერხებელ გარემოებებად ასახელებდა: 1. შესაბამისი სამშენებლო ტექნიკის (25 ტ. ამწევრანის) არარსებობას; 2. სამშენებლო მოედანზე სათანადო მდგრადობისა და ფორმის პლატფორმის არარსებობას; 3. სამშენებლო მოედანზე ბეტონის შეფერხებებით მიწოდების ფაქტს, რაც აფერხებდა დადგენილ დროსა და პირობებში სამუშაოების შესრულებას და 4. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობას.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ:

7.1. შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 40 879.43 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება;

7.2. ზიანისა და პირგასამტებლოს სახით, ჯამში 34 453.30 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

**8. მოპასუხება სარჩელი არ ცნო და აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:**

8.1. მხარეთა შორის 2019 წლის 13 ივნისის № 19/011 ხელშეკრულების დამაზუსტებელი მე-4 შეთანხმების ბათილად ცნობა;

8.2. შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ:

8.2.1. 68 033.94 აშშ დოლარისა და 21 702.86 ლარის გადახდის დაკისრება;

8.2.2. 5 896.28 აშშ დოლარისა და 1 880.97 ლარის და შეგებებული სარჩელის შეტანის დღიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 453.56 აშშ დოლარისა და 144.69 ლარის გადახდის დაკისრება;

8.2.3. 70 980 აშშ დოლარისა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიური 218.40 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება;

8.2.4. 20 389.3 აშშ დოლარისა და 68 419.99 ლარის გადახდის დაკისრება;

8.2.5. 18 299.40 ლარის გადახდის დაკისრება.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე კომპანიის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე კომპანიას მოსარჩელე კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 40 879.43 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს სახით, 4578 აშშ დოლარის გადახდა; მოსარჩელის მოთხოვნა ზიანისა და პირგასამტებლოს სახით, 29 875.30 აშშ დოლა-

რის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხება.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება; მოპასუხის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის 2019 წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დამაზუსტებელი მე-4 შეთანხმება, ხოლო სხვა ნაწილში მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტები.

13. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოპასუხეს სამშენებლო მოედნის მოწყობისა და პეტონის მიწოდების ვალდებულება არ დაურღვევია. შესაბამისად, პალატა არ დაეთანხმა მოსარჩელეს, რომ სამუშაო ობიექტზე პლატფორმა არ იყო სათანადოდ გამართული; სამუშაო ობიექტი მუდმივად არ მარაგდებოდა ბეტონით; სამუშაო ობიექტზე მუდმივად არ იმყოფებოდა მძიმე ტექნიკა.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც გარემოება ეხება მომსახურების გაზრდილ საფასურს, რის დაკისრებასაც სარჩელით ითხოვს მოსარჩელე მხარე. მოპასუხე აცხადებს, რომ გაზრდილი საფასურის გადახდის ვალდებულება მას არ გააჩნდა, ხოლო შეგებებული სარჩელით ითხოვს ფასის გაზრდის შესახებ დამატებითი შეთანხმების ბათილად ცნობას.

15. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 50-ე, 327-ე, 629.1, 81-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელე ხელშეკრულების ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით მიუთითებდა ნიადაგის მდგომარეობაზე. მოპასუხე არ ეთანხმება მითითებულ გარემოებას და თავის შეგებებულ სარჩელს ამყარებს იმ ფაქტზე, რომ ნიადაგის მდგომარეობა რეალურად იყო ის, რაც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მხარეებისთვის იყო ცნობილი.

16. პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილია ხიმინჯის მოწყობის შესახებ მხარეთა შორის 2019 წლის 13 ივნისს დადებული ხელშეკრულება, რომლის 2.2. პუნქტის თანახმად, შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები შეასრულოს მკაც-

რი და განუხრელი დაცვით; ამასთან, შემსრულებელი აცხადებს, რომ მას სრულად აქვს წარმოდგენილი, განსაზღვრული და შესწავლილი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, მასშტაბი, სირთულე და სპეციფიკა და მომსახურებისადმი წაყენებული მოთხოვნები; მისთვის ცნობილია ყველა გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს გასაწევი მომსახურების ხარისხსა და შესრულების ვადებზე; ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებან, რომ 1 გრძივი მეტრი ნაბურღ-ნატენი ხიმინჯის მოწყობის ღირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს; ხოლო 3.2. პუნქტის მიხედვით, მოცემულ ფასში შედის შემდეგი სამუშაოს შესრულება: გაბურღვა სამაგრი მილების სამუალებით, ხიმინჯის არმატურის ჩრნჩხის ჩალაგება და ბეტონის ჩასხმა, აგრეთვე საწვავის ღირებულება დღგ-ს გარეშე.

17. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, დგინდება, რომ შეკვეთს შემსრულებლისთვის გადაცემული ჰქონდა ყველანაირი დოკუმენტი, რაც საჭირო იყო ნიადაგის ნიშან-თვის შეძების დასადგენად. ამასთან, შემსრულებელს გააჩნდა ცოდნა და გამოცდილება, რათა მისთვის ყველა გარემოების გათვალისწინებით ხელშეკრულების დადებამდე ცნობილი ყოფილიყო, თუ რა პირობებში მოუწევდა სამუშაოს შესრულება. შესაბამისად, ითვალისწინებდა ყველა გარემოებას შემკვეთისთვის ხელშეკრულების ფასის წარდგენისთვის.

18. სააპელაციო პალატამ ყურადღება გააძახვილა საქმეში წარდგენილ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №000638520 დასკვნაზე, სადაც ექსპერტისგან ითხოვენ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევასა და მიღებული შედეგების შედარებას დანართი N2-ში წარმოდგენილ X=286098.05; Y=4671062.06 კოორდინატებზე გაბურღული ჭაბურღლილის BH-SB1-4-ზე შედგენილ საპროექტო დოკუმენტაციასთან. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: აღნიშნულ გრუნტებს რა სიღრმემდე ახასიათებს ჩამოშლა და შესაბამისად – 7,85მ აბსოლუტურ ნიშნულამდე (30 გრ.მ) 1200მ ხიმინჯების ბურღვისას რა სიღრმემდე გათვალისწინებული გარსაცმი მიღების გამოყენება. დასკვნის თანახმად, E- 60 ავტომაგისტრალის ქ. ქუთაისის შემოვლითი გზის სამტრედიამდე მონაკვეთზე მოპასუხის მიერ გადმოცემულ გეოგრაფიულ კოორდინატებზე ჩატარებული ბურღვითი სამუშაოებისა და გრუნტების ლაბორატიული კვლევის მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღლილის ლითოლოგიური სვეტი. ჭაბურღლილი გრუნტის წყალი გამოვლინდა 0,6მ სიღრმეზე, დამყარების დონე 0,5 მეტრზეა. მოხდა გაბურღული ჭაბურღლილის ლითოლოგიური სვეტის შედარება შპს „ჯ-ის“ ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილ BH SB1-4-ის ლითოლოგიურ სვეტთან. გაბურღული ჭაბურღლილის და შპს „ჯ-ის“ მიერ ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილი BH SB1-4-ის ლითოლოგიური

სვეტები ძირითადად იდენტურია, მათ შორის სხვაობა უმნიშვნელოა და განპირობებულია გრუნტების გენეზისით. გაბურღული ჭაბურღლი-ლის ლითოლოგიური ჭრილიდან გამომდინარე დასკვნის თანახმად, 308 სილრმებდე ბურჯებისთვის ჭაბურღლილების ბურღვა უნდა განხორციელდეს საცავი მიღების გამოყენებით.

19. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ წიადაგის მდგომარეობა შესაბამება შპს „ჯ-ის“ მიერ მომზადებულ ტექნიკურ ანგარიშს. ამასთან, მოსარჩელეს ხელშეკრულებით წაკისრი ჰქონდა ვალდებულება, შეესწავლა არსებული სიტუაცია მოპასუხის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე და, შესაბამისად, დაეფგინა ხელშეკრულების ლირებულება. ვინაიდან ირკვევა, რომ წიადაგის ნიშან-თვისებები იყო იდენტური და მისი ცვლილება არ დადგინდა, შემსრულებლისთვის, როგორც აღნიშნულ სფეროში მოქმედი ოურიდიული პირისთვის, ცნობილი უნდა ყოფილიყო წიადაგის მდგომარეობა და, შესაბამისად შეეთავაზებინა ფასი შემკვეთისთვის, რის შემდეგადაც შემკვეთი გადაწყვეტდა, რამდენად შეესაბამებოდა მის ნებას აღნიშნული პირობებით გარიგების დადება.

20. ამდენად, ხელშეკრულების დადებიდან მოკლე დროში შესასრულებელი სამუშაოს ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით პალატამ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან არსებობს შეცილების საფუძველი. შეცილების უფლების გამოყენება კი გარიგების (ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების) ბათილად (ცნობის საფუძველია).

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ბათილად მიიჩნია 2019 წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დამაზუსტებელი მე-4 შეთანხმება და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი ხელშეკრულების გაზრდილი ფასის, ზიანისა და პირგასამტებლოს მოპასუხისთვის დაკისრების თაობაზე.

22. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი შეგებებული სარჩელით მოპასუხე (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) ითხოვს თანხის დაკისრებას მოსარჩელისთვის (შეგებებული სარჩელით მოპასუხისთვის). მისი პოზიციით, მოსარჩელის მიერ სამუშაოების მიტოვებით მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოპასუხეს მოუწინა სხვა კონტრაქტორის დაქირავება. ზიანის ოდენობაში მხარე უთითებს საწვავის ლირებულებას, დანადგარის ტრანსპორტირებს ხარჯს. მოპასუხე ითხოვს მოსარჩელეს დაკისროს პირგასამტებლო და ფულად ვალზე გადასახდელი პროცენტი.

23. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 394.1, 408.1, 412-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის (შეგებებული სარჩელით მოპასუხისთვის) თანხის დაკისრების სამარ-

თლებრივი საფუძველი, ვინაიდან არ დგინდებოდა პირდაპირი და უშუალო ზიანი. საწვავის ღირებულება, საბურღი დანადგარების ტრანსპორტირების ხარჯი შემკვეთის გასაწევი იყო, ხოლო სხვა კონქტრაქტორის მოძიება და მასთან ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება – მოპასუხის პრეროგატივა. შესასრულებელი სამუშაოს ახალი ფასი შესაძლებელია ყოფილი ყოველი როგორც მოსარჩელესთან შეთანხმებულ ფასზე მაღალი, ასევე – დაბალი. ალიშტულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის თანხის დაკისრების შესახებ შეგებებული სარჩელი და სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

24. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელებშეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## 25. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

25.1. მხარეთა შორის 2019 წლის 13 ივნისის № 19/011 ხელშეკრულების პირობებზე 30.07.2019 წლის დამატებითი შეთანხმება დადგებულია მხარეთა მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების საფუძველზე და ადგილი არ ჰქონია მოსარჩელის მხრიდან მოპასუხის მოტყუებას;

25.2. მოსარჩელის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის სრული დაცვით მოხდა სამუშაოების ადგილზე შესწავლა და დამკვეთისთვის დაუყოვნებლივ იმ ინფორმაციის გაზიარება, რომ შეთანხმებული ფასი – 73 აშშ დოლარი ვერ დარჩებოდა ძალაში, იმის გათვალისწინებით, რომ შემსრულებელს ადგილზე დახვდა იმისგან განსხვავებული მდგომარეობა, ვიდრე მას დამკვეთისგან მიეწოდა ინფორმაცია. კერძოდ, გრუნტის ჩამოშლის ტენდენციისა და არასიმყარის გამო, შესრულებული სამუშაოების სიმყარისა და მედეგობისთვის აუცილებელი გახდა საბურღი სამუშაოებით 20 მეტრზე მეტ სიღრმეზე ჩასვლა, რაც არსებითად ცვლიდა სურათს საჭირო ბეტონის, საწვავის, სამუშაო რესურსისა და შესაბამისად, ფასის გათვალისწინებით;

25.3. ხელშეკრულებაში ცვლილებას გააჩნდა წინაპირობები. კერძოდ, 21.06.2019 წლის შეთანხმების მე-7 პუნქტის შესაბამისად, 13.06.2019 წლის 3.1. პუნქტის მიხედვით, არაუმეტეს 20მ გარსაცმის მქონე საბურღ-სატენი ხიმინჯის 1 ნრფივი მეტრის დაყენების ლირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს. თუ ნიადაგის გეოლოგიური თავისებურებების გამო, სამშენებლო მოედანზე გარსაცმი მიღების გამოყენებით რკინა-ბეტონის საბურღ-სატენი ხიმინჯების დაყენებისას საჭირო გახდება მათი დამაგრება 20მ სიღრმეზე მეტად, ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ლირებულების გაზრდას და მხარეები დამატებით შეთანხმდებიან ახალ ფასზე. დამკვეთის თანხმობა ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ

თავად დარწმუნდა შემსრულებლის კეთილსინდისიერებაში, უშუალოდ და თავისი უფლებამოსილი, კვალიფიციური წარმომადგენლების მეშვეობით აკვირდებოდა (ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჰქონდა სრული ბერკეტი და ვალდებულებაც) აღნიშნულ პროცესს და მისთვის დამატებით სიღრმეზე საბურლი სამუშაოების წარმოების საჭიროება ეჭვქვეშ არ დამდგარა. შესაბამისად, ეს არ ყოფილა არც წაჩქარევი გადაწყვეტილება, რომელიც შემსრულებლის ზემოქმედებით მიღობად კვეთმა, რადგან არანაირი ხელშემშლელი გარემოება არ არსებობდა იმისათვის, რომ დამკვეთს თავად, მათ შორის, დამატებითი კვლევების/ შესწავლის გზით დაედგინა სანინააღმდეგო. თუმცა აღნიშნული არ მომხდარა, რადგან დამკვეთი თავად დარწმუნდა შემსრულებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეში;

25.4. მოსარჩელე კომპანია სპეციალიზირდება მიწის სამუშაოებზე და ყველა სახის გრუნტის გამაგრების სამუშაოზე, თუმცა მისი ლიცენზია არ მოიცავს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების შესრულებას. მოპასუხის მიერ მხარისთვის თავდაპირველად გადაცემული შპს „ჯ-ის“ გეოლოგიური დასკვნა არ მოიცავდა სრულყოფილ მონაცემებს გრუნტის გეოლოგიური თავისებურებების შესახებ. გრძივ კვეთებზე გრუნტების აღწერის დოკუმენტების თანახმად, ადგილის ძირითად გრუნტს წარმოადგენს ხრეში ამვესტით, მტვრიანი ქვიშის სახით. მტვრიანი ქვიშის შემადგენლობაში მტვრის შემადგენლობისა და პროცენტული შეფარდების მიხედვით, ჭაბურლილის ბურღვის დროს ეს გრუნტები უნდა იქცეოდნენ სტაბილურად და არ იშლებოდნენ. ვინაიდან კომპანიას არ წარედგინა ლაბორატორიული მონაცემები მტვრიანი ქვიშის შემადგენლობის შესახებ, რომელიც განისაზღვრება აეროდინამიკური მეთოდებით, გრუნტი ჩაითვალა სტაბილურად, რომელიც არ არის მიღრეკილი ჩამოშლისკენ. სამუშაოს დაწყების პროცესშივე, შემსრულებელი განმარტავდა, რომ თითოეული ხიმინჯის დაყენებას სჭირდება დაგეგმილზე გაცილებით მეტი დრო იმ მიზეზით, რომ ჭაბურლილში სამაგრი მიღების დამონტაჟების დროს ხდება ხრეშისა და ქვიშის ნარევის ჩამოშლა მიღებს მიღმა სივრცეში, რაც დიდ პრობლემას ქმნის ჭაბურლილში სამაგრი მიღების დაყენებისას და ჩაბეტონების შემდეგ მათი ხიმინჯებიდან ამოღებისას. ამგვარ არასასურველ გეოლოგიურ პირობებში ხიმინჯების სამუშაოების შესრულება კი იწვევდა საბურლი აღჭურვილობისა და საბურლი ინსტრუმენტების სწრაფ ცვეთას, სამუშაოების დასრულების დროის გაზრდას, დიზელის საწვავის ხარჯების გაზრდას, რის გამოც წარმოიშვარკინა ბეტონის საბურლ-სატენი ხიმინჯების დაყენებისას მათი 20 მეტრზე მეტ სიღრმეზე გამაგრების საჭიროება. მოპასუხე შემსრულებელთან არსებული მიმოწერის შედეგად, დათანხმდა მითითებული საჭიროების გამო ხიმინჯის 20 მეტრზე მეტ სიღ-

რმეზედაყენების მიზნით შეთანხმებული ფასის გაზრდას, რის შემდეგაც ერთი წრფივი მეტრის დაყენების ღირებულება შეადგენს 83 აშშ დოლარს;

25.5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №000638520 დასკვნა არ მიუთითებს იმის შესახებ, რომ შემსრულებელი ცდება ან განზრას არასწორ ინფორმაციას აწვდის დამკვეთს გრუნტის თავისებურების შეფასებისას. დასკვნის თანახმად, მოპასუხის მიერ გადმოცემულ გეოგრაფიულ კოორდინატებზე ჩატარებული ბურღვითი სამუშაოებისა და გრუნტების ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღლილის ლითოლოგიური სვეტი და გაკეთებულია გრუნტების კლასიფიკაცია. ჭაბურღლილში გრუნტის წყალი გამოვლინდა 0.6მ სიღრმეზე, დამყარების დონე 0.5 მეტრზეა. მოხდა გაბურღლული ჭაბურღლილის ლითოლოგიური სვეტის შედარება შპს „ჯ-ის“ ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილ ლითოლოგიურ სვეტთან. ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაბურღლული ჭაბურღლილის და შპს „ჯ-ის“ მიერ ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილი ლითოლოგიური სვეტები ძირითადად იდენტურია, მათ შორის სხვაობა უმნიშვნელოა და განპირობებულია გრუნტების გენეზისით;

25.6. დასკვნიდან არ გამომდინარეობს, რომ გრუნტების გენეზისით განპირობებული თუნდაც უმნიშვნელო სხვაობები ვერ გამოიწვევდა იმ გარემოებებს, რაც შემსრულებელს ადგილზე დახვდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ქვიშის აეროდინამიკური კვლევა მისი ზუსტი შემადგენლობის დასადგენად არ ყოფილა ჩატარებული. მოპასუხე იმგვარად, რომ არანაირი დამატებითი, ჩალრმავებული კვლევა არ ჩაუტარებია, სასამართლოს წინაშე ამტკიცებს, რომ შემსრულებელმა „გამოსტყუა“ ნება. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც კვალიფიციური წინააღმდეგობა გაუწია დამკვეთმა შემსრულებელს გრუნტის თავისებურების თაობაზე წამოჭრილ საკითხზე. იგივე დასკვნა სიტყვასიტყვით მიუთითებს, რომ გაბურღლული ჭაბურღლილის ლითოლოგიური ჭრილიდან გამომდინარე, 30მ სიღრმემდე ბურჯვებისთვის ჭაბურღლილების ბურღვა უნდა განხორციელდეს საცავი მილების გამოყენებით. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ უთითებს იმის საწინააღმდეგოს, რაზეც შემსრულებელმა დაამყარა თავისი პოზიცია ნიადაგის თავისებურებიდან გამომდინარე გარსაცმის მილების 20მ-ზე მეტ სიღრმეზე დაყენების აუცილებლობაზე. ექსპერტიზის დასკვნა მიუთითებს ზუსტად იმავე გარემოებაზე, რასაც 2019 წლის 15 ივლისის №40/19 ნერილით მოსარჩელე კომპანია ატყობინებს დამკვეთს, კერძოდ, რადგან პროექტით შეთანხმებული სიღრმე წარმოადგენს 31.5მ-ს (და ეს ცნობილია დამკვეთისთვის), აღნიშნული სამუშაო აუცილებელია განხორციელდეს გარსაცმი მილების მეშვეობით. იმავეს იმეორებს

ექსპერტიზის დასკვნა, რომ 20მ-ზე მეტი ჩაღრმავებით ბურღვისას აუცილებელია ბურღვა მოხდეს გარსაცმი მიღების გამოყენებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ დასკვნაზე აპელირებით, რომ არ დასტურდება 20მ-ზე მეტ სიღრმეზე სამუშაოების შესრულების საჭიროება, უხეში შეცდომაა;

25.7. დამკვეთმა მიწოდებული ინფორმაციის შემდგომ, თან იმ პირობებში, როდესაც სამშენებლო მოედანზე ჰყავდა თავისი ნარმომადგენლები და აკვირდებოდა უშუალოდ მუშაობის პროცესს, 30.07.2019 წელს გამოავლინა ნება დამატებითი №4 შეთანხმებით ხელშეკრულების პირობების (მათ შორის, ფასის) დაზუსტების თაობაზე. თუკი დამკვეთი არ ეთანხმებოდა ან საეჭვოდ მიიჩნევდა სამშენებლო მოედანზე არსებული ნიადაგის გეოლოგიური თავისებურებების გამო ხიმინჯის მოსაწყობად გარსაცმის მიღლის შეთანხმებულზე უფრო მეტ სიღრმეზე ჩაყენების საჭიროებას, მას შეეძლო შეთანხმების დადებამდე უზრუნველყოფილი კვალიფიციური სპეციალისტებისა და ინჟინრების მონაწილეობა გეოლოგიური ფაქტობრივი მდგომარეობის უკეთ შესასწავლად და ობიექტური დასკვნის მისაღებად, რასაც წერილობით მოსარჩელეც სთავაზობდა (იხ. 2019 წლის 18 ივლისის №42/19 წერილი);

25.8. დამკვეთი ნარმოადგენს საწარმო ორგანიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, არის ქვეკონტრაქტორი და ახორციელებს მსგავსი ტიპის არაერთ სამშენებლო თუ გამაგრებით სამუშაოს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამუშაო მოედანზე პროცესის დაწყებიდანვე რამდენიმე დღეში დამკვეთი გაფრთხილებულ იქნა ფაქტობრივად არსებული გეოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით შეთანხმებული ფასის გაზრდის შესახებ;

25.9. საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად ჰქონდა შემსრულებელს მიზანი, შეცდომაში შეეყვანა დამკვეთი და რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად კეთილსინდისიერი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, დროული რეაგირება, თანაც იმ პირობებში, როდესაც ამ პროცესს უშუალოდ სამუშაოს შესრულების ადგილზე აკვირდებოდა დამკვეთის ნარმომადგენელი და დამკვეთის გააჩნდა საკმარისი დრო რეაგირებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნდა ვარაუდის საფუძველი, რომ შესაძლოა მიწოდებული ინფორმაცია გრუნტის გეოლოგიური თავისებურების შესახებ მცდარი ყოფილიყო;

25.10. სასამართლოს მხრიდან შეფასების თვალსაზრისით ნიშანდობლივია მე-4 დამატებითი შეთანხმების პრეამბულა, სადაც მხარეები, მათ შორის, დამკვეთი ერთმნიშვნელოვნად, როგორც დადგენილ გარემოებაზე უთითებენ, რომ გრუნტის თავისებურებიდან გამომდინარე, შემსრულებელი „იძულებულია“ საბურლი სამუშაოები დაგეგმილისგან განსხვავებულად ანარმოოს;

25.11. ხელშეკრულების 2.2 პუნქტის დათქმა არ გულისხმობს ნებისმიერ ცოდნას. ამგვარ ცოდნას აქვს ფარგლები და ის ეყრდნობა მეორემხარის მიერ მიცემულ გარანტის – ამ შემთხვევაში გრუნტის კვლევის შედეგს და მხარის აქცეპტი ხელშეკრულების დასადებად მისი არსებითი პირობების, მათ შორის ფასისადმი, სწორედ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაიცემა, რაც შემსრულებელს ხელშეკრულების დასადებად გადაეცა;

25.12. ის გარემოება, რომ მოტყუების შესახებ მოპასუხემ მხოლოდ მას შემდეგ განაცხადა, რაც შემსრულებელმა სარჩელი წარადგინა, ასევე ის გარემოება, რომ მას ჰქონდა რეალური დრო და შესაძლებლობა დამატებითი შეთანხმების ხელმოწერამდე გამოეკვლია რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს შემსრულებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ნათლად ადასტურებს, რომ ის დარწმუნებული იყო შემსრულებლის მიერ მიწოდებული გარემოებების სისწორეში და მისი მხრიდან შეგებებული სარჩელის წარდგენა საპროცესო შესაძლებლობის ინსტრუმენტალიზებას წარმოადგენს კონტრაქტორისთვის გადასახდელი საფასურის გადახდის თავიდან არიდების მიზნით;

25.13. მნიშვნელოვანია შეფასდეს, მხარეთა შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ახალი კონტრაქტორის მიერ რა წესით დასრულდა სამუშაო. საქმეში არ არის წარდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ახალი კონტრაქტორის მიერ საბურღატენი სამუშაოები ხიმინჯების 20მ-ზე მეტ სიღრმეზე დამაგრებით არ მომხდარა.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391.5. მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

27. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს.

28. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი წარმოების „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებუ-

ლად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაცება) [სსკ-ის 407-ე მუხლი]. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომელიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

29. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროვატივადა რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

30. განსახილებულ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს [სსკ-ის 629.1 მუხლი: ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შესასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური].

31. ნარდობა თავისი ბუნებით ორმხრივ მავალდებულებელი, სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სსკ-ის 361.2. მუხლი), ხოლო შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოად-

გენს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შე-  
თანხმებული საზღაური.

32. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს  
სწორედ შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 40 879,43 აშშ დო-  
ლარის ანაზღაურებას. მოპასუხემ კი აღნიშნულ მოთხოვნას დაუპირის-  
პირა შესაგებელი, რომლის თანახმად, მოსარჩელეს ხელშეკრულების  
დადგებამდე ჰქონდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების  
შესახებ აუცილებელი ინფორმაცია. მხარეთა შორის გაფორმებული 2019  
წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დამაზუსტებელი შეთან-  
ხმებების დადგება გამოწვეული იყო მოსარჩელის მხრიდან გამოვლენი-  
ლი არაკეთილსინდისიერი ქმედებებით. მან სამუშაოების დაწყების პირ-  
ველივე დღიდან დააყენა მოთხოვნა, რომ საბურღ-სატენი ხიმინჯის 1  
(გრძივი) მეტრის დაყენებისათვის საჭირო იყო შეთანხმებულზე მეტი  
სამუშაოს შესრულება, რის გამოც 2019 წლის 13 ივნისის ხელშეკრულე-  
ბით გათვალისწინებული ფასი უნდა გადახედილიყო. მოსარჩელე სამუ-  
შაოების დაწყების დღიდანვე ცდილობდა მისთვის ხელსაყრელ პირო-  
ბებზე დამკვეთის დაყიდვისას, რასაც მიაღწია კიდეც არასწორი და  
შეცდომაში შემყვანი ცნობების მიწოდებითა და მხარეებს შორის და-  
დებული მე-4 შეთანხმებით, რომლითაც შესასრულებელი სამუშაოე-  
ბის – 1 გრძივი მეტრი ხიმინჯის განთავსების ღირებულება განისაზ-  
ღვრა 83 აშშ დოლარით, ნაცვლად 70 აშშ დოლარისა. მოპასუხებ აღძრა  
კიდეც შეგებებული სარჩელი აღნიშნული მე-4 შეთანხმების, როგორც  
მოტყუებით დადებული გარიგების, ბათილად ცნობის მოთხოვნით [სკ-  
ის 81-ე მუხლი: თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი  
უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ,  
როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ  
ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დრო-  
საც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს  
შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებუ-  
ლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილ-  
სინდისიერად].

33. კანონის მითითებული დანაწესის შესაბამისად, მოტყუების სა-  
ფუძვლით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუე-  
ბას ნების გამომვლენში ისეთი შეცდომის გამოწვევა შეეძლოს, რომე-  
ლიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს პირს შექ-  
მნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს  
შეუშლის ნების გამომვლენს ნამდვილი, ანუ მისთვის სასურველი ნე-  
ბის გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურ მოაზ-  
როვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ  
ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამ-

დვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა. შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი სამუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი (იხ. სუსგ საქმე №ას-620-592-2016, 6 მარტი, 2017 წელი; სუსგ №ას-182-171-2014, 16 ივნისი, 2014 წელი; №ას-1117-1051-2015, 20 იანვარი, 2016 წელი).

34. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხის შედავებას, რომ სახეზეა შემსრულებლის არაკეთილსინდისერი ქცევა და მის მიერ დამკვეთისთვის გარიგების დადების მიზნით არასწორი და შეცდომაში შემყვანი ცნობების მიწოდება ანუ მოტყუება. აღნიშნულ დასკვნამდე საკასაციო პალატა მივიდა დადგენილი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე.

35. დადგენილია, რომ 2019 წლის 13 ივნისს მხარეთა შორის დაიდო №19/011 ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთი გრძივი მეტრი ნაბურღ-ნატენი ხიმინჯის მოწყობის ღირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს. მოცუემულ ფასში შედის შემდეგი სამუშაოს შესრულება: გაბურღვა სამაგრი მილების საშუალებით, ხიმინჯის არმატურის ჩრდილის ჩასხმა, აგრეთვე, საწვავის ღირებულება დღგ-ს გარეშე, მიწოდებული დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის, სამუშაოს შესასრულებლად (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-ლი და მე-3 პუნქტები).

36. დადგენილია ასევე, რომ 2019 წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დადებამდე მოსარჩელეს მოპასუხემ მიაწოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი პროექტი და ის მახასიათებლები, რისი გათვალისწინებითაც უნდა შესრულებულიყო სამუშაო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი).

37. დადგენილია, რომ მხარეთა შორის გაფორმდა 2019 წლის 13 ივნისის №19/011 ხელშეკრულების დამაზუსტებელი ოთხი შეთანხმება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი).

38. 21.06.2019 წლის შეთანხმების მე-7 პუნქტის შესაბამისად, 13.06.2019 წლის ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, არა უმეტეს 20მ გარსაცმის მქონე საბურღ-სატენი ხიმინჯის 1 წრფივი მეტრის დაყენების ღირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს. თუ ნიადაგის გეოლოგიური თავისებურებების გამო, სამშენებლო მოედანზე გარსაცმი მიღების გამოყენებით რკინაბეტონის საბურღ-სატენი ხიმინჯების დაყენებისას საჭირო გახდება მათი დამაგრება 20მ სიღრმეზე მეტად, ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას და მხარეები დამატებით შეთანხმდებიან ახალ ფასზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტი-

ლების 5.1. ქვეპუნქტი).

39. მეოთხე დამატებითი შეთანხმების (30.07.2019 წლის) მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საბურღ-სატენი ხიმინჯის 1 წრფივი მეტ-რის დაყენების ღირებულება შეადგენს 83 აშშ დოლარს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.3. ქვეპუნქტი).

40. საქმეში განთავსებულია მხარეთა წერილობითი კომუნიკაცია, რომლის შედეგად მხარეები მივიდნენ ზემოაღნიშნული მე-4 დამატებითი შეთანხმების დადებამდე.

41. მოპასუხე კომპანიისადმი გაგზავნილი მოსარჩელე კომპანიის 2019 წლის 15 ივლისის №40/19 წერილის თანახმად: ხელშეკრულების დადების და სამუშაოების ღირებულების შეთანხმებისას, მოსარჩელე დაეყრდნო მოპასუხის მიერ მინოდებულ ხიდების გრძივი კვეთების შედეგებს, გრუნტების გეოლოგიური მონაცემების მითითებით. გრძივ კვეთებზე გრუნტების აღწერის დოკუმენტების თანახმად, ადგილის ძირითად გრუნტს წარმოადგენს ხრეში ამვსებით, მტკრიანი ქვიშის სახით. მტკრიანი ქვიშის შემადგენლობაში მტკრის შემადგენლობისა და პროცენტული შეფარდების მიხედვით, ჭაბურლილის ბურლვის დროს ეს გრუნტები უნდა იქცეოდნენ სტაბილურად და არ იშლებოდნენ. ვინაიდან კომპანიას არ წარედგინა ლაბორატორიული მონაცემები მტკრიანი ქვიშის შემადგენლობის შესახებ, რომელიც განისაზღვრება აეროდინამიკური მეთოდებით, გრუნტი ჩაითვალა სტაბილურად, რომელიც არ არის მიდრეკილი ჩამოშლისკენ. ამრიგად, მოპასუხის მონაცემებიდან და აღწერილობებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შედგენისას, მოსარჩელის მიერ გაანგარიშდა და შეთანხმდა არა უმეტეს 20მ სამაგრი მილების მქონე საბურღ-სატენი ხიმინჯების ღირებულება. 2019 წლის 8 ივლისს, მე-9 ფუძის ფუნდამენტთან ხიმინჯების სამუშაოების ჩატარებისას, ჭაბურლილის კედლების ჩამოშლის გამო, შეთანხმებული 20-მეტრიანი სამაგრი მილების ნაცვლად, მოსარჩელე კომპანია იძულებული გახდა დაეყენებინა სამაგრი მილები მთელ საპროექტო სიღრმეზე (31.5მ). 2019 წლის 10 ივლისს, მე-7 ფუძის ფუნდამენტთან ხიმინჯის სამუშაოების ჩატარებისას, მოსარჩელე კომპანია იძულებული გახდა გამოყენებინა სამაგრი მილები 25მ სიღრმემდე, არმოკარკასის დაყენებით და ბეტონის ჩასხმით. ამრიგად, მე-9 ფუძის ფუნდამენტთან მოსარჩელემ დააყენა ხიმინჯები 24 საათის განმავლობაში, ხოლო მე-7 ფუძის ფუნდამენტთან 18 საათის განმავლობაში. მიზეზს, რის გამოცხდება საჭირო ასეთი დიდი დრო ყოველი ამ ხიმინჯის დასაყენებლად, წარმოადგენს ის, რომ ჭაბურლილი სამაგრი მილების დამონტაჟების დროს ხდება ხრეშის და ქვიშის ნარევის ჩამოშლა მილებს მიღმა სივრცეში, რასაც თან მოსდევს მისი მხრიდან მილების შევიწროვება. ეს კი, თავის მხრივ, დიდ პრობლემებს უქმნის ჭაბურლიში სამაგრი მი-

ლების დაყენებას და შემდგომში მათი ხიმინჯებიდან ამოღებას ჩაბეტონების შემდეგ (ჭაბურლილის კიდეების ჩამოშლის და სამაგრი მიღების შევიწროვების პროცესის ფოტო და ვიდეომასალები თან ერთვის მოცემულ წერილს). გარემოს ამგვარ არასასურველ გეოლოგიურ პირობებში ხიმინჯების სამუშაოების შესრულება იწვევს საბურლი აღჭურვილობისა და საბურლი ინსტრუმენტების სწრაფ ცვეთას და გათვალისწინებელ მოშლას, ჭაბურლილებშისამაგრი მიღების გაჭედვის რისკს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადის 3-ჯერ გაზრდას და, შესაბამისად, დიზენის საწვავის ხარჯების სამჯერად გაზრდას, რაც საბოლოოდ იწვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ლირებულების ზრდას. წერილში მოსარჩევე კომპანიამ მიუთითა ხელშეკრულების 21.06.2019 წლის №1 დანართის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დებულებაზე და წერილის ბოლოს მოპასუხეს შესთავაზა ახალი ფასები ხიმინჯების სიღრმეების გათვალისწინებით.

42. ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, დამკვეთმა 2019 წლის 17 ივნისის წერილით შემსრულებელს აცნობა შემდეგი: ვინაიდან თქვენს წერილში მითითებულია, რომ გრუნტის ფაქტობრივი გეოლოგიური მდგომარეობა განსხვავდება პროექტში წარმოდგენილ მონაცემებთან და აღნერილობებთან, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ გეოლოგიური დასკვნა და ტექნიკურ-ინჟინირული დოკუმენტაციური დასაბუთება, სადაც მკაფიოდ იქნება დაფიქსირებული, რომ პროექტში მოცემული გეოლოგიური ჭრილები და გრუნტის თვისებები განსხვავდება არსებულისგან და საჭიროებს გარსაცმი მიღების დაყენებას სრულ საპროექტო სიღრმეზე. დამკვეთმა შემსრულებელს ასევე გაუგზავნა მეორე წერილიც, რომელშიც შემსრულებელს სთხოვდა წარმოედგინა 1 წრფივი მეტრის ლირებულების დეტალური განაწილება, რათა საშუალება მისცემოდა შეესნავლა და შეეფასებინა საკითხი, გაეკეთებინა დასკვნები, რამდენად პროპორციულად შეესაბამება განახლებული ფასები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საწყის ფასებს.

43. საქმეში განთავსებულია მოპასუხე კომპანიისადმი მოსარჩევე კომპანიის 2019 წლის 18 ივნისის №42/19 წერილი, რომელშიც მოსარჩევე აღნიშნავს შემდეგს: შემსრულებელი კომპანია სპეციალიზირდება მიწის სამუშაოებზე და ყველა სახის გრუნტის გამაგრების სამუშაოებზე (საყრდენ-სამაგრი სამუშაოები (ხიმინჯები), ანკერების მიწაში დამაგრება და მშენებლობა „კედელი მიწაში“ მეთოდით და ა.შ.), რაზედაც გააჩნია შესაბამისი ლიცენზია უვადოდ (ლიცენზიის ასლი თან ერთვის). სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებისთვისაც გაიცა ეს ლიცენზია, არ შეიცავს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების შესრულებას. ამრიგად, ჩვენი კომპანია, რომელსაც მრავალნლი-

ანი გამოცდილება აქვს აზერბაიჯანში და მის ფარგლებს გარეთ ხიმინჯების და გათხრითი სამუშაოების შესრულებაში, არასოდეს ყოფილა დაკავებული გეოლოგიური დასკვნის და მისი ტექნიკურ-საინჟინრო დოკუმენტაციური დასაბუთების წარმოდგენით, რასაც თქვენ ითხოვთ თქვენს წერილში. წინა წერილში ჩვენ შეგატყობინეთ შექმნილი ვითარების შესახებ და წერილს დავურთეთ შესაბამისი მატერიალური მტკიცებულებები. როგორც ქვეყნის ტრაქტორი, რომელსაც ეკისრება მხოლოდ ამ ხელშეკრულების ვალდებულებები და რომელსაც გააჩნია შეზღუდული ხარჯთაღრიცხვა ამ სამუშაოების შესრულებაზე, ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვაქვს შესაძლებლობა განვახორციელოთ საინჟინრო გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები და წარმოვადგინოთ გეოლოგიური დასკვნა და ტექნიკურ-საინჟინრო დასაბუთება. ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ, როგორც ქვეყნის ტრაქტორები, გირჩევთ, რომ ენვიოთ სამშენებლო ობიექტს დამკვეთის შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად და დაესწროთ ბურღვის და ხიმინჯების დაყენების პროცესს, გაეცნოთ არსებულ ვითარებას ადგილზე, ასევე მოისმინოთ ჩვენი წარმომადგენლების მოსაზრებები და შეხედულებები. მიგვაჩნია მოცემულ პროცესში დამოუკიდებელი კვალიფიციური სპეციალისტების და ინჟინერების მონაწილეობა უფრო ობიექტური დასკვნის მიღების და პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარების მიზნით, რადგან ამგვარ პირობებში მუშაობის გაგრძელება ჩვენთვის წარმოადგენს არამიზანშეწონილს.

44. მოსარჩევე კომპანია მოპასუხე კომპანიის 2019 წლის 17 ივლის მეორე წერილის საპასუხოდ 2019 წლის 26 ივლისს გაგზავნილ წერილში დამკვეთს სთავაზობს ახალ ფასს – 90 აშშ დოლარს/გრძ.მ. საწვავის გათვალისწინების გარეშე, რაც, შემსრულებლის განმარტებით, არ ითვალისწინებს არც კომპანიის მოგებას და არც აღჭურვილობის სრულ ამორტიზაციას. ასევე წერილის ბოლოს შემსრულებელი დასტენს: როგორც აღტერნატივა, ამგვარი სამუშაოების ბაზრის შესასწავლად და ფასების შესადარებლად, გთავაზობთ, რომ გამოითხოვოთ შემოთავაზებები სხვა კომპანიებისგან, მოთხოვნაში თითოეული ხიმინჯის სიღრმის ბოლომდე გამაგრების და გაანგარიშების წერტილის 0,5 მ-დან 2,5 მ-მდე გადაჭარბების გამო ბურღვის სიღრმის გადაჭარბების საჭიროების სავალდებულო მითითებით.

45. ამდენად, მხარეთა შორის არსებული ზემოაღნიშნული წერილობითი კომუნიკაციით, რომელიც წინ უძღვდა 2019 წლის 30 ივლისს მე-4 შეთანხმების დადებას, რომლითაც, თავის მხრივ, საბურღ-სატენი ხიმინჯის 1 წრფივი მეტრის დაყენების ღირებულება განისაზღვრა 83 აშშ დოლარით, ირკვევა, რომ მოსარჩევე კომპანია მოქმედებდა კეთილ-სინდისიერად და გულისხმიერად. ვინაიდან თავად ვერ უზრუნველყოფ-

და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების შესრულებას ლი-ცენტრის არარსებობისა და შეზღუდული ხარჯთაღრიცხვის გამო, მო-პასუხეს სთავაზობდა დამოუკიდებელი კვალიფიციური სპეციალისტე-ბისა და ინჟინრების საქმეში ჩართვას ობიექტური დასკვნის მისაღე-ბად და პრობლემის გადაჭრის მიზნით, ასევე სთავაზობდა დამკვეთს ადგილზე ვითარების გაცნობასა და ბურღვისა და ხიმინჯების დაყენე-ბის პროცესზე დასწრებას, შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენ-ლებთან ერთად.

46. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის 2019 წლის 13 ივნისს გაფორმებული № 19/011 ხელშეკრულების 4.1.8 ქვეპუნქტის თა-ნახმად, დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გეოდეზიური სამუშა-ოების ჩატარება ობიექტზე (ხიმინჯის გაბურღვის ადგილმდებარეო-ბის კოორდინატების მონიშვნა და გაბურღული სიღრმეების გადამოწ-მება) და კვალიფიცირებული წარმომადგენლის დასწრება, სამუშაოე-ბის მიმდინარეობის შემონმება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მო-წერა. შესაბამისად, თუ დამკვეთი არ ეთანხმებოდა ან საეჭვოდ მიიჩ-ნევდა სამშენებლო მოედანზე არსებულ წიადაგის გეოლოგიური თავი-სებურებების გამო ხიმინჯის მოსაწყობად გარსაცმი მიღლის შეთანხმე-ბულზე უფრო მეტ სიღრმეზე ჩაყენების საჭიროებას, მას შეეძლო შე-თანხმების დადებამდე უზრუნველეყო კვალიფიციური სპეციალისტე-ბისა და ინჟინრების მონაწილეობა გეოლოგიური ფაქტობრივი მდგომა-რეობის უკეთ შესასწავლად და ობიექტური დასკვნის მისაღებად.

47. საკასაციო პალატა მიუთითებს ასევე საქმეში წარდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნუ-ლი ბიუროს № 000638520 დასკვნაზე, სადაც ექსპერტისგან ითხოვენ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევასა და მიღებული შედეგების შედარე-ბას დანართი № 2-ში წარმოდგენილ  $X=286098.05$ ;  $Y=4671062.06$  კოორ-დინატებზე გაბურღული ჭაბურღლილის BH-SB1-4-ზე შედგენილ საპრო-ექტო დოკუმენტაციასთან. კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: აღნიშ-ნულ გრუნტებს რა სიღრმემდე ახასიათებს ჩამოშლა და შესაბამისად – 7,85მ აბსოლუტურ ნიშნულამდე (30 გრძ.მ) 1200მ ხიმინჯების ბურღვი-სას რა სიღრმემდე გათვალისწინებული გარსაცმი მიღების გამოყენე-ბა. დასკვნის თანახმად, E-60 ავტომაგისტრალის ქ. ქუთაისის შემოვ-ლითი გზის სამტრედიამდე მონაკვეთზე მოპასუხის მიერ გადმოცემულ გეოგრაფიულ კოორდინატებზე ჩატარებული ბურღვითი სამუშაოები-სა და გრუნტების ლაბორატიული კვლევის მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღლილის ლითოლოგიური სვეტი. ჭაბურღლილში გრუნ-ტის წყალი გამოვლინდა 0,6მ სიღრმეზე, დამყარების დონე 0,5 მეტ-რზეა. მოხდა გაბურღული ჭაბურღლილის ლითოლოგიური სვეტის შედა-რება შპს „ჯ-ის“ ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილ BH SB1-4-ის ლი-

თოლლოგიურ სვეტთან. გაბურღული ჭაბურღლილის და შპს „ჯ-ის“ მიერ ტექნიკურ ანგარიშში წარმოდგენილი BH SB1-4-ის ლითოლოგიური სვეტები ძირითადად იდენტურია, მათ შორის სხვაობა უმნიშვნელოა და განპირობებულია გრუნტების გენეზისით. გაბურღული ჭაბურღლილის ლითოლოგიური ჭრილიდან გამომდინარე დასკვნის თანახმად, 30მ სიღრმემდე ბურჯებისთვის ჭაბურღლილების ბურღვა უნდა განხორციელდეს საცავი მილების გამოყენებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-18 პუნქტი).

48. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება გარსაცმი მილების 20მ-ზე მეტ სიღრმეზე დაყენების აუცილებლობა, რომელზეც მიუთითებდა შემსრულებელი და რაც გახდა სწორედ მხარეთა შორის დადებული მე-4 შეთანხმებით ფასის გაზრდის საფუძველი. შესაბამისად, აღნიშნული დასკვნა აქარწყლებს მოპასუხის შედავებას, რომ იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახეზეა მოპასუხისთვის მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების საფუძველი.

50. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს რთული და მოცულობითი ხასიათის სამუშაოს შესრულებაც. ასეთ შემთხვევაში ნარდობის ხელშეკრულებას თან ერთვის სამუშაოთა წარმოების ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია (წარდობის საგნის ტექნიკური დახასიათება – ხარჯთაღრიცხვა). ხარჯთაღრიცხვა მოიცავს სამუშაოების (ცალკეული ეტაპების, სახეებისა და დანახარჯების მიხედვით, ანაზღაურების რაოდენობის ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასებას (ჯამს). ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს ორი სახის: 1) მყარი, როცა ზუსტადაა განსაზღვრული ხარჯებისა და საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის და 2) მიახლოებითი, რომელიც სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

51. სსკ-ის 631-ე მუხლის თანახმად, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

52. მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადაჭარბა; გ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს.

53. სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს. ამასთან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. საერთოდ, ხარჯთაღრიცხვა არის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადაჭარბებს, აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. ასეთი ვალდებულების მენარდისათვის დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მენარდისაგან მიიღებს შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, მას შეუძლია, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა, გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მოისურვებს გაზრდილი ანაზღაურების გადახდას, მას შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო. მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (იხ. სუსგ საქმე №ას-888-834-2012, 30 დეკემბერი,

2013 წელი).

54. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის 21.06.2019 წლის შეთანხმების მე-7 პუნქტით [13.06.2019 წლის ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიხედვით, არა უმეტეს 20მ გარსაცმის მქონე საბურღ-სატენი ხი-მინჯის 1 წრფივი მეტრის დაყენების ღირებულება შეადგენს 70 აშშ დოლარს. თუ ნიადაგის გეოლოგიური თავისებურებების გამო, სამშენებლო მოედანზე გარსაცმი მიღების გამოყენებით რკინაპეტონის საბურღ-სატენი ხიმინჯების დაყენებისას საჭირო გახდება მათი დამაგრება 20მ სიღრმეზე მეტად, ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას და მხარები დამატებით შეთანხმდებიან ახალ ფასზე] გათვალისწინებული იყო სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვით სამუშაოების წარმოება 20მ-ზე მეტ სიღრმეზე ხიმინჯების დაყენებისას. როგორც მოსარჩელე კომპანიის 2019 წლის 15 ივლისის წერილიდან ირკვევა, 2019 წლის 8 ივლისს მე-9 ფუძის ფუნდამენტთან ხიმინჯების სამუშაოების ჩატარებისას, ჭაბურღილის კედლების ჩამოშლის გამო, შეთანხმებული 20-მეტრიანი სამაგრი მიღების ნაცვლად, მოსარჩელე კომპანია იძულებული გახდა დაეყენებინა სამაგრი მიღები მთელ საპროექტო სიღრმეზე (31.5მ), ხოლო 2019 წლის 10 ივლისს, მე-7 ფუძის ფუნდამენტთან ხიმინჯის სამუშაოების ჩატარებისას, მოსარჩელე კომპანია იძულებული გახდა გამოყენებინა სამაგრი მიღები 25მ სიღრმეზე, არმოკარკასის დაყენებით და ბეტონის ჩასხმით. ამდენად, 20მ-ზე მეტ სიღრმეზე გარსაცმი მიღების გამოყენების თაობაზე ანუ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების თაობაზე მოსარჩელე კომპანიამ დაიცვა სსკ-ის 631.2 მუხლით გათვალისწინებული პირობა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ – 2019 წლის 15 ივლისს აცნობა დამკვეთს.

55. დამკვეთს, ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო, სსკ-ის 631.2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა არ მოუთხოვია, პირიქით, მხარეები 2019 წლის 30 ივლისს შეთანხმდნენ გაზრდილ ფასზე.

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობა, როგორც კონსენსუალური ხელშეკრულება, მოიცავს არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობის პროცესს, რომელშიც ორივე მხარე თანაბარი პასუხისმგებლობით უნდა მონაწილეობდეს იმ უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განსახორციელებლად, რაც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ერთმანეთის მიმართ აკისრიათ.

57. გამომდინარე იქნედან, რომ არ დასტურდება მხარეთა შორის დადებული გარიგების ბათილობის საფუძველი, ხოლო მოსარჩელეს დაცული აქვს სსკ-ის 631-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ შესრულებული სამუშაოს

ღირებულება 40 879,43 აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხეს ასევე უნდა დაეკისროს პირგასასამტებლო 4578 აშშ დოლარის ოდენობით (შესრულებული სამუშაოს გადაუხდელი ღირებულებიდან ყოველ ვადაგა-დაცილებულ დღეზე 81,75 აშშ დოლარი x 56 დღეზე).

58. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

59. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები. ამავე კოდექსის 412.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიღოს გადაწყვეტილება.

60. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 40 879,43 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს სახით, 4 578 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო შეგძებული სარჩელი ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი.

61. სსსკ-ის 53.1. მუხლის პირველი და მე-2 ნინადადებების საფუძველზე [იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელ-

ზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა], მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 9 334 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსადა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ი ტ ა:**

1. შპს „L. C. L.“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „L. C. L.“-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შპს „ი-ის“ შპს „L. C. L.“-ის სასარგებლოდ დაეკისროს 40 879,43 აშშ დოლარის გადახდა;
5. შპს „ი-ის“ შპს „L. C. L.“-ის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტებლოს სახით, 4 578 აშშ დოლარის გადახდა;
6. შპს „ი-ის“ შეგებებული სარჩელი ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
7. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
8. შპს „ი-ის“ (ს.კ. ...) შპს „L. C. L.“-ის (ს.კ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს 9 334 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. გადაზიდვა-გადაყვანა

### გადაზიდვის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის დაკისრება

#### გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ას-750-2022

6 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე,  
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

**აღნერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. შპს „ს. ფ-ამ“ (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი ადრძრა სასამართლოში გ. ც-ის (შემდგომ – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა 4 416.79 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის განმარტებით, თურქეთიდან ტრანსპორტირებული პროდუქცია მოპასუხემ განაბაჟა მოსარჩელის ტერმინალში და გაიტანა 29.12.2016 წლს, რაც დასტურდება სასაქონლო დეკლარაციითა და ინვოისით. ადრესატი (მიმღები) ვალდებული იყო ტვირთვის გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების ღირებულება მოპასუხისათვის გადაეხადა. მას ბოლო გადახდის ვადა ჰქონდა 2016 წლის 30 დეკემბერს, თუმცა, მოპასუხეს ამ დრომდე ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

**მოპასუხის პოზიცია:**

3. მოპასუხებ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოპასუხის ტერმინალიდან მას არანაირი პროდუქცია არ გაუტანია. სასაქონლო დეკლარაცია, რომელიც ერთვის სარჩელს, მისთვის უცნობია, მისი შევსების დროს გამოყენებულია მისი პირადობის ნომერი. მოპასუხის განძარტებით 18.11.2019 წლს დაბეჭდილ „ინვოისზე“ მისი ხელმოწერა არ არის. ამასთან, არანაირი შეტყობინება დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით, 19.11.2019 წლს არ მიუღია. მოპა-

სუხის მტკიცებით, ვიდეო ჩანაწერის მოპოვება შეუძლებელია, ასევე, ელ. ხელმოწერის კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება მოსარჩევე მხარის მიზეზით ვერ მოხერხდა.

### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

### **სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:**

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის განჩინებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ტვირთი მოპასუხის სასარგებლოდ გადაზიდა და 2016 წლის 29 დეკემბერს ამ უკანასკნელმა ტერმინალიდან გაიტანა კუთვნილი პროდუქცია. პალატის განმარტებით, საქმის მასალებით უტყუარად და უცილოდ არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელის ტერმინალიდან წივთების/პროდუქციის გატანის ფაქტი, კერძოდ, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი „ინვოისზე“ ელექტრონული ხელმოწერის მოპასუხის მიერ შესრულების დასადასტურებლად სასამართლოს მიერ დანიშნული კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა, რაც არ იყო გამოწვეული მოპასუხის მიზეზით; შემოსავლების სამსახურში გაგზავნილი/არსებული დოკუმენტები, თავად მოსარჩელის მხრიდან იყო შევსებული; საგადახდო დავალებით და მოპასუხის სახელზე შევსებული საშემოსავლო დოკუმენტაციის საფუძველზე გაფორმებული და გადმოზიდული საქონლის ღირებულების საფასური გადაიხადა სხვა პირმა, კერძოდ, ხ. ბ-მა 2016 წლის 30 დეკემბერს; შემოსავლების სამსახურის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ დოკუმენტებში მოპასუხის წაცვლად, მითითებულია სხვადასხვა სახელი და გვარი; საქმეზე არ მოიპოვება პროდუქციის გატანის ან/და ელ. ხელმოწერის დასმის დასადასტურებლად რამე ვიდეო ჩანაწერი.

8. ამ ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, რაკი მოპასუხემ სადავო გახადა მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა და ნების გამოვლენის ნამდვილობის ფაქტი, სწორედ მოსარჩელე იყო ვალდებული ემტკიცებინა, რომ მან მოპასუხის შეკვეთით და მის სასარგებლოდ ტვირთი გადაზიდა. მოსარჩელემ კი, სასარჩელო მოთ-

ხოვნის საფუძვლიანობის დასტურად წარმოდგენილი „ინვოისით“, საგადასახადო დეკლარაციითა და დავალიანების შესახებ ცნობით, რომელსაც მოპასუხე შეედავა, ვერ დაადასტურა, სადაცო ფაქტი. შესაბამისად, პალატამ დაასკვნა, რომ მოპასუხე ვალდებული არ იყო გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების ღირებულება გადაეხადა.

### **კასატორის მოთხოვნა:**

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩევემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. კასატორის პრეტენზის მიხედვით, იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია ხელმონერილი დოკუმენტი, სწორედ მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა მასზე ხელმონერის ნამდვილობის გაქარწყლება. ამ უკანასკნელს, გარდა საკუთარი განმარტებისა, სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც გააბათილებდა საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებას. შესაბამისად, პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ არ არის შესრულებული ხელმონერა სადაცო დოკუმენტზე, დაუსაბუთებელია. რეალურად, თბილისის საქალაქო სასამართლომ და შემდეგ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს მხოლოდ იმიტომ უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომ მოპასუხე მსადაცო გახადა ხელმონერის ნამდვილობა ინვოისზე. სსიპ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ ტექნიკურად ვერ შეძლო ექსპერტიზის ჩატარება. თბილისის საქალაქო სასამართლომ, იმის გამო რომ ექსპერტიზა ვერ ჩატარდა, ინვოისზე არსებული ხელმონერა მიიჩნია არავალიდურად, რაც არის სრული უგულებელყოფა მტკიცების ტვირთის განაწილების არსებული სტანდარტის.

11. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ინვოისის გარდა, მოპასუხე ადრესატად მითითებულა სსიპ შემოსავლების სამსახურის არაერთ დოკუმენტში. ასევე, მოპასუხე მ გადაიხადა გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში. შემოსავლების სამსახურის დეკლარაციაში იმპორტირად მითითებულია მოპასუხე, მისი პირადი ნომერი და მისამართი. ამ დეკლარაციაში მითითებულია შემოტანილი ტვირთის სახეობები და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახდელი თანხების ოდენობა. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახდელი თანხა 8075 ლარია. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების გადახდა ადასტურებს სწორედ იმ ფაქტს, რომ ტვირთი ნამდვილად გადაიზიდა – შემოვიდა საქართველოში, განპაჟდა და ტვირთის მიმღები სწორედ მოპასუხე იყო. ის თუ მოპასუხის დავალებით და მასთან შეთანხმებით, გადასახადი უშუალოდ სხვა პირმა გადაიხადა, ეს არ ცვლის ფაქტს, რომ ტვირთი მოპა-

სუხის სასარგებლოდ გადაიზიდა.

12. სსიპ შემოსავლების სამსახურის გამარტივებულ დეკლარაციაში დაფიქსირებულია გადაზიდვების საფასურის ოდენობა, რასაც მოსარჩელე ედავება მოპასუხეს. დეკლარაციაში მითითებულია, რომ გადაზიდვის ღირებულება არის 4356.79 ლარი. ეს თანხა მითითებულია ინვოისშიც. ინვოისი ერთვის სარჩელს. როგორც აღინიშნა, გამარტივებული დეკლარაცია არის სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადა. გარდა შემოსავლების სამსახურის დეკლარაციისა, მოპასუხე დაფიქსირებულია არაერთ სხვა დოკუმენტში, მაგალითად, საქმეს ერთვის სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხვილი ინფორმაცია მოპასუხის მიერ საქართველოში ტვირთების შემოტანის შესახებ.

13. სასამართლომ არასათანადო ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მოპასუხე მითითებული არის არამხოლოდ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შექმნილ დოკუმენტებში, არამედ თურქეთის რესპუბლიკაში შექმნილ თურქულენოვან დოკუმენტებშიც. შესაბამისად, მოპასუხე ადრესატად მითითებული იყო ჯერ კიდევ თურქეთში, სანამ ტვირთი გამოიგზავნებოდა საქართველოში. მისი ხელმოწერაა საბაჟო დეპარტამენტში საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადზეც. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით დასტურდებოდა სადავო ფაქტი, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

14. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ის დაუსაბუთებელია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საფალებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ

დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების საზღაურის დაკისრების მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 668-ე (გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტივიროს მგზავრი დანიშნულების ადგილზე) და 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) მუხლებს ეფუძნება.

17. ამ სამართლებრივი შედეგის მისაღებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულება; ბ) მოსარჩელეს განცეული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება; გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებული შესრულებული სამუშაო.

18. შესაგებლით მოპასუხემ სადაც გახადა პირველი და მეორე გარემოება, კერძოდ, მოპასუხე უარყოფს მოსარჩელესთან სახელშეკრულების ურთიერთობას. მისი მტკიცებით, მოსარჩელეს მისთვის არც გადაზიდვის მომსახურება გაუწევია და არც ტერმინალიდან გაუტანია მოპასუხეს გზავნილი.

19. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოპასუხის ამ მტკიცებას და მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ სათანადო და განკუთვნადი მტკიცებულებებით დაადასტურა სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები, კერძოდ, მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობასა და მომსახურების განცევას ადასტურებს მომსახურების საფასურის გადასახდელად გამოწერილ ინვოისზე მოპასუხის ხელმოწერა (ინვოისზევეა მითითებული მოპასუხის პირადი ნომერი), გარდა ამისა, შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილია დოკუმენტები, მათ შორის, სასაქონლო საბაზო დეკლარაცია (№ 11115/A24024) და საბაზო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია, სადაც დეტალურადაა განცერილი ტვირთის დასახელება, ფასი და ა.შ., ხოლო ტრანსპორტირების ხარჯად მითითებულია სწორედ 4356.79 ლარი, დეკლარაციის ხელს აწერს მოპასუხე. გარდა ამისა, წარმოდგენილია ტვირთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც, მართალია, გადახდას ასრულებს მესამე პირი (ხ. ბ-ი), თუმცა საგადახდო დავალებაში მითითებულია, რომ გადახდა სრულდება მოპასუხის სასარგებლოდ, დოკუმენტში მითითებულია მოპასუხის პირადი ნომერიც. საქმეში წარმოდგენილია საბაზო დეპარტამენტში საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ მოპასუხის განაცხა-

დი, რომელსაც თავად აწერს ხელს. უფრო მეტიც, მოპასუხის მტკიცებას, რომ ის მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ შესულა და არც ტვირთი არ მიუღია, აქარნყლებს საქმეში წარმოდგენილი ტვირთის გამოგზავნამდე თურქეთის რესპუბლიკაში შექმნილი თურქულენოვანი დოკუმენტები, სადაც ადრესატად სწორედ მოპასუხეა მითითებული (იხ. 121-126). მოპასუხის შედავების მიხედვით, ამ დოკუმენტების წანილზე მოპასუხის სახელი და გვარი შეცდომით არის დაფიქსირებული (გ. ც-ის წაცვლად მითითებულია გ. ც-ლი, გ. ს-ლი და სხვა). საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ, რაკი დოკუმენტებზე სახელი და გვარი თურქულ ენაზეა მითითებული, ქართული სახელისა და გვარის დაწერისას, შესაძლოა, გარკვეული ასოები შეცდომით იყოს მითითებული, თუმცა ეჭვს, რომ დოკუმენტები სწორედ მოპასუხის სახელზეა შევსებული ამყარებს ის ფაქტიც, რომ მათში სახელის და გვარის გარდა, მოპასუხის პირადი წომერიცაა მითითებული.

20. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოპასუხის შედავებას „ინვოისზე“ თავისი ხელმოწერის არანამდვილობასთან დაკავშირებით. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი წანილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული წორმა წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად, პროცესუალურ სტანდარტს და ადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი სათანადო გარემოებებზე მითითებითა და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა მოპასუხის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები. მოპასუხის მტკიცებით, წარმოდგენილ საბუთებზე ხელმოწერა მას არ შეუსრულება. შესაბამისად, სწორედ მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა სადავო დოკუმენტებზე მოპასუხის ხელმოწერის ნამდვილობის გაქარნყლება (იხ. სუსგ №ას-1207-1127-2017, 19.09.2018.; №ას-1061-2019, 25.02.2021 წელი). საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ, ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის მიუხედავად, აღნიშნული ფაქტი სასამართლოს მოპასუხის პოზიციის დამადასტურებელ გარემოებად არ უნდა მიეჩნია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს პასუხის თანახმად, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას ჩატაროს სასამართლოს მიერ 2021 წლის 22 აპრილის განჩინებით დანიშნული ხელწერის ექსპერტიზა ელექტრონულ ხელმოწერა. იმ პირობებში, როდესაც კასატორის მოწინააღმდეგი მხარეს, გარდა საკუთარი განმარტებისა, სასამართლოსთვის არ წარუდ-

გენიარაიმე მტკიცებულება, რომელიც გააპათილებდა საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ არ არის შესრულებული ხელმოწერა სადაც დოკუმენტებზე, გასაზიარებელი არ არის.

21. საკასაციო პალატა, კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის გადანაწილებაზე და განმარტავს, რომ სსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელ-საყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან ალიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებრ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საქმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული

და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს და-  
ვასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარე-  
მოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს,  
ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთ-  
ხოვნის და კმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინ-  
გი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მი-  
ლების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64; ასევე შტრ: სუსგ-ებს №ას-1298-  
2018; 22.03.2019წ.; №ას-1329-2018, 22.02.2019წ.; №ას-1610-2019,  
07.02.2020წ.).

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალა-  
ტა ასკვნის, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა თავისი სასარჩელო მოთხოვ-  
ნის წარმოშობის წინაპირობები, ხოლო მოპასუხემ ვერ დაამტკიცა მოთ-  
ხოვნის და კმაყოფილებაზე უარის თქმის შესაგებელში მითითებული გა-  
რემოებები.

23. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თა-  
ვად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექ-  
სის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა  
და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბ-  
რუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსა-  
ხილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლო-  
ში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭი-  
რო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, სა-  
კასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტი-  
ლება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივა-  
რი უნდა და კმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება უნდა  
გაუქმდეს და სარჩელი და კმაყოფილდეს – მოპასუხეს უნდა დაეკის-  
როს 4 416.79 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

24. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის  
მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გა-  
მოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე  
განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარ-  
ჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი და კმაყოფილებულია ნაწილობრივ,  
მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩე-  
ლის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტი-  
ლებით და კმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ  
ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამა-  
ვე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეე-  
ხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაწი-  
ეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმო-  
ებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწ-

ყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

25. განსახილველ შემთხვევაში, სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შე-საბამისად, მოპასუხეს დაეკისრება 304.6 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ დ ვ ი ს ტ ა:**

1. შპს „ს. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახა-ლი ადაწყვეტილება;
3. შპს „ს. ფ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. გ. ც-შ დაეკისროს 4 416.79 ლარის გადახდა შპს „ს. ფ-ის“ სასარ-გებლოდ;
5. გ. ც-შ დაეკისროს 304.6 ლარის გადახდა შპს „ს. ფ-ის“ სასარგებ-ლოდ;
6. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. დავალება

რეგულარულის მიერ უფლება-ეოვალებათა  
კეთილსინდისიერად განხორციელების ვალიდებულება

განჩინება  
საქართველოს სახელით

№ას-734-2021

26 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. მიქაელიაძე,

რ. ნადარაია

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთ-  
რედ ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასამართლო მოთხოვნა:**

1. ა. ა-ნმა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „პირველი მოსარჩევე“) და ი. ა-ნმა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე მოსარჩევე“, პირველ მოსარჩევესთან ერთად მოხსენიებული, როგორც „მოსარჩევები“ ან „კასატორები“) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ა-ნის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვეს მოსარჩევებსა და მოპასუხეს შორის 14.06.2017 წელს უძრავ ქონებაზე, ს/კ: ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „უძრავი ქონება“), დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების 128400 კვ.მ-ის 1/7 ნაწილის მესაკუთრედ – პირველი მოსარჩელის, 1/7 ნაწილის მესაკუთრედ კი – მეორე მოსარჩელის ცნობა.

**2. სარჩელის საფუძვლები:**

2.1. ბ. კ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხის შვილი“) არის მოსარჩელეთა ნათესავი. პირველ მოსარჩელეს მასთან ჰქონდა მამაშვილური ურთიერთობა. მოპასუხის შვილს აძლევდნენ ყველა სახის მინდობილობას, თუმცა ერთ წელზე მეტია, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა. როდესაც პირველ მოსარჩელესა და მოპასუხის შვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, პირველმა ბოსარჩელმა თავისი კუთვნილი მინის ნაკვეთები, რომლებიც შეიძინა, პირდაპირ მის სახელზე გააფორმა. პირველ მოსარჩელესა და მოპასუხის შვილს შორის არა-

ერთი დავა არსებობს. ერთ-ერთი სარჩელი უკვე რამდენიმე თვეება გან-  
სახილველად იმყოფება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. სარჩელის  
უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებულია მოპასუხის შვილის საკუთ-  
რებაში არსებული ქონება.

2.2. ვინაიდან პირველ მოსარჩელესა და მოპასუხის შვილს შორის  
ურთიერთობის დაძაბვას მოჰყვა სასამართლოში სარჩელის წარდგენა,  
პირველია მოსარჩელემ მოპასუხის შვილს მოსთხოვა თავისი მიწის ნაკ-  
ვეთების (რომლებიც მოპასუხის შვილის სახელზე ჰქონდა გაფორმე-  
ბული) დაბრუნება, რაზეც მან უარი განაცხადა. პირველი მოსარჩელის-  
თვის მიწის ნაკვეთების დაბრუნების ნაცვლად, 14.06.2017 წელს მოპა-  
სუხის შვილმა ბოროტად გამოიყენა მოსარჩელების მიერ მის სახელ-  
ზე 10 წლის წინ უვადოდ გაცემული მინდობილობა და მოსარჩელების  
უძრავი ქონება (128400 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1/7 ნაწილი პირველი მო-  
სარჩელის, 1/7 ნაწილი მეორე მოსარჩელის) აჩვენა თავის დედას – მო-  
პასუხეს, რაზეც მოსარჩელებს არანაირი ნება არ ჰქონიათ გამოვლე-  
ნილი.

2.3. მართალია, 2007 წელს მინდობილობა მოპასუხის შვილზე გაცე-  
მული იყო უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით, მაგრამ დი-  
დი ხნის გასვლის გამო მოსარჩელებს არც ახსოვდათ აღნიშნულის შე-  
სახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოპა-  
სუხის შვილთან აქვთ დავა, აუცილებლად გააუქმებდნენ მინდობილო-  
ბას.

### 3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხებმ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მის შვილს მო-  
სარჩელეთა ნდობა ბოროტად არ გამოიუყენებია. პირველ მოსარჩელს  
არ შეუძენია მიწის ნაკვეთები, მათი რეალური მფლობელი და მეპატ-  
რონე იმთავითვე მოპასუხის შვილი იყო. პირველ მოსარჩელესა და მო-  
პასუხის შვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა 3-4 წელია, თუმცა ეს არა-  
ფერ შეუძია დავის საგანთან. პირველ მოსარჩელესა და მოპასუხის  
შვილს შორის დავა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს  
თანხის – 50 000 აშშ დღლარის დაკისრებაზე.

3.2. 2007 წელს, 10 წლის წინ, მოპასუხის შვილის სახელზე პირველი  
მოსარჩელის მიერ გაფორმებული მინდობილობა მთელი 10 წლის გან-  
მავლობაში ძალაში იყო, მის გაუქმებაზე პირველ მოსარჩელეს არც კი  
უფიქრია. ამ მინდობილობით მოპასუხის შვილს სრული უფლება ჰქონ-  
და, ემოქმედა მინდობილობით განსაზღვრულ ფარგლებში და განეკარ-  
გა მასში მითითებული უძრავი ნივთი. მან იმოქმედა კიდეც კანონით  
განსაზღვრული წესით. რაც შეეხება ნების გამოვლენას, იგი იმ წუთი-  
დან არსებობს, როდესაც მოსარჩელებმა მოპასუხის შვილს მიანდეს,  
გაყიდოს, გაყიდოს განვადებით, გაცვალოს, გააჩუქოს, დატვირთოს

იპოთეკით მათი კუთვნილი უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ამ მინდობილობით მოპასუხის შვილს უფლება მიენიჭა მიმნდობთაგან, დადოს კანონით გათვალისწინებული წესით ნებისმიერი გარიგება ნებისმიერ პირთან და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ამ დავალებასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ ხსენებული მინდობილობა განუსაზღვრელი ვადით გაიცა და ძალაში იყო მის გაუქმებამდე. მოსარჩელეთათვის ცნობილი იყო მინდობილობის არსებობისა და მისი არსის თაობაზე. ჩუქების ხელშეკრულება ნამდვილია, არ არსებობს მისი ბათილობის საფუძვლები.

3.3. მოსარჩელები ითხოვენ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას და ამ ფონზე დამსაჩუქრებელთა ნარმომადგენელი, მოპასუხის შვილი მოპასუხედ დასახელებული არ არის, რაც კიდევ უფრო დაუსაბუთებელს ხდის სარჩელს. მხარე მიუთითებს მინდობილობის ნაკლიზე, შესაბამისად, მოპასუხის შვილი საქმეში ჩართული უნდა იყოს თანამოპასუხედ.

### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:**

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.06.2019 წლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 14.06.2017 წელს მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის უძრავ ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულება და უძრავი ქონების 128400 კვ.მ-ის 1/7 ნაწილის მესაკუთრედ ცნობილ იქნა მეორე მოსარჩელე, 1/7 ნაწილის მესაკუთრედ პირველი მოსარჩელე.

სასამართლოს მითითებით, სადაც ჩუქების ხელშეკრულება არ შეესაბამდოდა გამჩუქებლების ნებას და ნარმომადგენელს რეალურად არც აიხტერესებდა, გაერკვია ეს საკითხი, რადგან მიაჩინდა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც დაურეგისტრირა საკუთარ დედას, ისედაც მას კუთვნოდა და მარწმუნებლებთან გართულებული ურთიერთობის გამო, საერთოდ რომ არ დაეკარგა ეს ქონება, გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება. ჩუქების ხელშეკრულების დადება არ გამომდინარებდა გამჩუქებელთა სურვილიდან, მათი ნარმომადგენელი მოქმედებდა მარწმუნებელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ და დასაჩუქრებულთან შეთანხმებით, რამაც რეალური ზიანი მიაყენა მოსარჩელეებს. ადგილი აქვს გარიგებას, რომელიც ენინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, რაც მისი ბათილად ცნობისა და სადაც უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრეების სახელზე აღრიცხვის საფუძველია.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო**

## **ნაწილი და საფუძვლები:**

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.02.2021 წლის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება; სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

6.1. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოსარჩელეები, მოპასუხე და მისი შვილი არიან ნათესავები, რომელთა შორისაც წლების განმავლობაში არსებობდა ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. მოსარჩელეებსა და მოპასუხის შვილს შორის ბოლო წლების განმავლობაში იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, რომ პირველმა მოსარჩელემ სარჩელიც კი აღძრა მის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 26.07.2017 წელს მოსარჩელეებმა გააუქმეს 26.03.2007 წლის მინდობილობა.

6.2. უძრავი ქონება, მდებარე, წყალტუბოს რაიონის სოფელ ..., მინის ფართი 128400 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი), ირიცხებოდა 7 პირის – მოპასუხის, მოპასუხის შვილის, ვ. ა-ის, მეორე მოსარჩელის, პირველი მოსარჩელის, ი. კ-ისა და ნ. ნ-ის თანასაკუთრებაში.

6.3. 26.03.2007 წელს ვ. ა-მა და მოსარჩელეებმა სანოტარო წესით გააფორმეს მინდობილობა, რომლითაც მოპასუხის შვილს მიანიჭეს შემდეგი უფლებამოსილება: გაეყიდა, გაეყიდა განვადებით, გაეცვალა, გაეჩუქებინა, დაეტვირთა იპოთეკით მათი კუთვნილი უძრავი ქონება – მინის ნაკვეთი, მდებარე, წყალტუბოს რაიონში, სოფელ ..., ამასთან დაკავშირებით შეეგროვებინა ყოველგვარი დოკუმენტაცია, განესაზღვრა გასაყიდი ფასი, ვადა, პირობები, მიეღო მათდამი კუთვნილი თანხა, მათი სახელით ხელი მოეწერა ხელშეკრულებებზე: ყიდვა-გაყიდვის, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე გადახდის განვადების პირობით, გაცვლის, გაჩუქების, პოთენციის, იპოთეკაში ცვლილების შეტანის, პოთენციის გაუქმების. ყოფილიყო მათი წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში, სანოტარო ბიუროში და სხვა ორგანიზაციაში-დაწესებულებაში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, დაედო კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგება და შეესრულებინა ყოველგვარი მოქმედება ამ დავალებასთან დაკავშირებით. მინდობილობა გაიცა განუსაზღვრელი ვადით.

6.4. 14.06.2017 წელს მოპასუხის შვილმა, როგორც მოსარჩელეების წარმომადგენელმა, პირველი მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული – უძრავი ქონების 1/7 ნაწილი და ამავე ქონების მეორე მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული 1/7 ნაწილი აჩუქა მოპასუხეს, მასთან დადგებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

6.5. ზემოაღნიშნული 14.06.2017 წლის ჩუქების ხელშეკრულება აღი-

რიცხა საჯარო რეესტრში, რის შედეგადაც მოპასუხის საკუთრებაში მთლიანობაში ირიცხება უძრავი ქონების 3/7 ნაწილი.

6.6. 18.01.2021 წლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული რ. ხ-ას ჩვენების თანახმად: მოდავე მხარებს იცნობს ბავშვობიდან; წყალტუბოს რაიონის სოფელ ... 4 წლის განმავლობაში მუშაობდა მოპასუხის შვილთან; იგი სამუშაოზე ამ უკანასკნელმა მიიყვანა; ამ მინის ნაკვეთზე მოპასუხის შვილს ჰქონდა სათბური, რესტორანი და მაღაზია; იგი მუშაობდა სათბურში, სადაც მოპყავდათ კიტრი და პომიდორი; მოსარჩელეებს მისთვის რაიმე დავალება არასოდეს მიუციათ; ისინი ხანდახან სტუმრად მოდიოდნენ მოპასუხის შვილთან. ამავე სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული რ. აის ჩვენების თანახმად: 2007 წლიდან 2010 წლამდე, მუშაობდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მოპასუხის შვილთან; იგი მუშაობდა სათბურში, სადაც მოპყავდათ კიტრი და პომიდორი; მას ხელფასს მოპასუხის შვილი უხდიდა; მოსარჩელეებს მისთვის რაიმე დავალება არასოდეს მიუციათ და ხელფასი არ გადაუხდით.

6.7. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლებზე და აღნიშნა: იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხესთან ჩუქების ხელშეკრულება დაიღო მოსარჩელეთა (მარწმუნებლების) თანხმობის გარეშე, რომ ჩუქება არ წარმოადგენდა მოსარჩელეთა ნებას და გამჩუქებელი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, – მოსარჩელეთა მხარეზეა, ვინაიდან ამ გარემოებებს ემყარება სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გაანანილა მტკიცების ტვირთი და მითითებული გარემოებების მტკიცების ტვირთის მოპასუხე მხარეზე გადატანით, სადაც საკითხზე მიიღო არასწორი გადაწყვეტილება.

6.8. სარჩელში მითითებული გარემოებების დადასტურების მიზნით მოსარჩელეებმა მხოლოდ თავიანთ ახსნა-განმარტებაზე მიუთითეს, რასაც არ ეთანხმება მოპასუხე. როდესაც მოპასუხე მოსარჩელეების ახსნა-განმარტებას უარყოფს, ხოლო აღნიშნული ახსნა-განმარტება საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებით არ არის გამყარებული, მხოლოდ მოსარჩელეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე სადაც გარემოება დადასტურებულად ვერ მიიჩნევა. მოსარჩელეთა განმარტების საპირისპიროდ სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თავდაპირველი გარიგების (მინდობილობის) დადებისას მოსარჩელეებს შესწოდათ უნარი, დამოუკიდებლად გამოევლინათ ნება, განეგოთ თავიანთი მოქმედების მნიშვნელობა და გაეცნობიერებიათ მისი შედეგები. 26.03.2007 წლის მინდობილობის შინაარსიდან ცალსახად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოსარჩელეებმა გამოხატეს ნება, მოპასუხის შვილს გაეჩუქებინა უძრავი ქონება, ხოლო ვის მიმართ განახორციელებდა იგი ამ

მოქმედებას, ეს არც ყოფილა ამ მინდობილობით დათქმული. ასე რომ, სადავო ქმედების (ჩუქების) განხორციელებისას, მოპასუხის შვილს სრული თავისუფლება ჰქონდა კონტრაჰენტის შერჩევის თვალსაზრისითაც.

6.9. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა მოსარჩელეთა პოზიციას იმის თაობაზე, რომ „ბ. კ-ძემ მარწმუნებლების ნების საწინააღმდეგოდ გააფორმა უძრავი ქლინების ჩუქების ხელშეკრულება დედის სახელზე, რითაც ის მოიქცა არაკეთილსინდისიერად“, ვინაიდან ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მოსარჩელეები ვერ უთითებენ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მინდობილობა და ჩუქების ხელშეკრულებაც მიმართული იყო კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა თუ შეწყვეტისაკენ და წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 50-ე მუხლით გათვალისწინებულ გარიგებას.

6.10. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 103.1, 107-ე, 104.1, 709-ე მუხლებით. პალატის მითითებით, დასახელებული ნორმების შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება არსებობდეს დავალების საფუძველზე. დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალების ხელშეკრულების შემთხვევაში სამართალურთიერთობა ყალიბდება მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის. მოცემულ შემთხვევაში, 26.03.2007 წელს მოსარჩელეების მიერ სანოტარო წესით გაცემულ მინდობილობაში ცალსახად და ნათლად მითითებულია, რომ მოსარჩელეებმა მოპასუხის შვილს, სხვა უფლებებთან ერთად, მიანიჭეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მდებარე მათი კუთვნილი უძრავი ქონების – მინის ნაკვეთის გაჩუქების უფლება. ამასთან, დადგენილია, რომ მინდობილობა გაიცა განუსაზღვრელი ვადით. აღსანიშნავია, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულირ. ხ-ასა და რ. ა-ის ჩვენებებიც, რომელთა თანახმად, სადაც მინის ნაკვეთს ფლობდა მოპასუხის შვილი, რომელმაც დაასაქმა ისინი მინის ნაკვეთზე მდებარე სათბურში და უხდიდა ხელფასს. დადგენილია, რომ 14.06.2017 წელს, ანუ ჯერ კიდევ მინდობილობის ძალაში ყოფნის პერიოდში, მოსარჩელეების მიერ მის გაუქმებამდე, მოპასუხის შვილმა მოსარჩელეების საკუთრებაში რიცხული – უძრავი ქონების 1/7 და 1/7 ნაწილი, ჯამურად 2/7 ნაწილი აჩუქა მოპასუხეს. ამდენად, მოპასუხის შვილმა მართლზომიერად განკარგა მასზე გაცემულ მინდობილობაში მითითებული უფლება. მაშასადამე, მოსარჩელეებმა 26.03.2007 წელს სანოტარო აქტით გაცემული მინდობილობის მინიჭებით გამოხატეს ნება, მოპასუხის შვილს აღნიშნული რწმუნე-

ბულების საფუძველზე ემოქმედა მათი სახელით და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სხვა უფლებებთან ერთად, გაეჩიქებინა მარწმუნებლების სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მდებარე წყალტუბოს რაიონის სოფელ ...

6.11. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 26.03.2007 წლის მინდობილობის გაფორმებისას მოსარჩელებს ესმოდათ თავიანთი მოქმედების მნიშვნელობა, აცნობიერებდნენ სამართლებრივ შედეგებს და გამოხატეს წება, უძრავ ნივთან მიმართებით მოპასუხის შვილისთვის მიენიჭებინათ გასხვისების უფლება, მათ შორის – ჩუქების გზითაც, რაც განახორციელა კიდეც და უძრავი ნივთი ჩუქების გზით გაასხისა მოპასუხებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სადავო ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. სსკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ამავე კოდექსის 525-ე მუხლის თანახმად, მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების საჯარორეგულისტრისტრაციის მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულება შედგა 14.06.2017 წელს და დარეგისტრირდა საჯარო რეგისტრში. პალატამ დასკვნა, რომ ჩუქების ხელშეკრულება ნამდვილია, ხოლო მოსარჩელეთა მოთხოვნა კი – დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო. მოპასუხის შვილმა განკარგა კანონით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლება და არ გასცდენია მის ფარგლებს.

6.12. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ მოსარჩელე ებმა მოპასუხის შვილზე გაცემული მინდობილობით, იმ ფორმულირებით, რაც გაიცა და მხარეებს შორის სადავო არ არის, გარკვეულწილად საკუთარ თავზე აიღეს მინდობილობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკი. მოსარჩელეებმა არ გამოიჩინეს განსაკუთრებული ნინდახელულობა, რის გამოც მისგან გამოწვეული რისკი იტვირთეს, ხოლო ამ ფორმზე „არაკეთილსინდისიერების“ მოტივით ნივთის გასხვისებისა და ამ ხელშეკრულების გაბათილების მიზნით აღძრული სარჩელი საფუძვლიანი ვერ გახდება.

### **საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:**

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრი წარადგინეს მოსარჩელეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოების არასწორად შეფასება-დადგრძნა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონ-მებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს.

### **10. დამტკიცებულად ცნობილია შემდეგი გარემოებები:**

10.1. მოსარჩელები, მოპასუხე და მისი შვილი არიან ნათესავები, რომელთა შორისაც წლების განმავლობაში არსებობდა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა.

10.2. 26.03.2007 წელს ვ. ა-მა და მოსარჩელებმა სანოტარო წესით გააფორმეს მინდობილობა, რომლითაც მოპასუხის შვილს მიანიჭეს თავიანთი უძრავი ქონების – მიწის ნაკვეთის გაყიდვის, განვადებით გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქრებისა და სხვა უფლებამოსილებები. მინდობილობა გაიცა განუსაზღვრელი ვადით.

10.3. 14.06.2017 წელს მოპასუხის შვილმა, როგორც მოსარჩელების წარმომადგენელმა, პირველი მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული – უძრავი ქონების 1/7 ნაწილი და ამავე ქონების მეორე მოსარჩელის საკუთრებაში რიცხული 1/7 ნაწილი აჩუქა თავის დედას – მოპასუხეს, მასთან დადებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

10.4. 26.07.2017 წელს მოსარჩელებმა გააუქმეს 26.03.2007 წლის მინდობილობა.

11. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელები ითხოვენ 14.06.2017

წლის ჩუქების ხელშეკრულების ბათილობასა და უძრავი ქონების 1/7-1/7 ნაწილების მესაკუთრედ ცნობას. სარჩელის თანახმად, მოპასუხის შეიღმა ბოროტად გამოიყენა ათი წლის ნინ გაცემული მინდობილობა და მოსარჩელების კუთვნილი უძრავი ქონება ამ უკანასკნელთა მიერ შესაბამისი ნების გამოვლენის გარეშე აჩუქა თავის დედას – მოპასუხეს. აღნიშნულს მოპასუხე არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მისი შვილი 26.03.2007 წლის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა.

12. პალატა განმარტავს, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს კონკრეტული პირის (ან პირთა) უფლება, სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგინოს სხვა პირი (ან პირები) – წარმომადგენლობის უფლებამოსილება. სსკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე (ჭარტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 425, 426).

13. სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, პარტნიორთა კრებაზე მონანილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებადა ა.შ. ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება, დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწერიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შეასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს (სუსგ №ას-895-845-2015, 29.01.2016; №ას-1281-2018, 27.03.2019; იხ: ასევე, ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001, გვ. 394, 395).

14. რწმუნებული მოქმედებს რა მარწმუნებლის სახელით და მის ხარჯზე, ეს მხარეთა შორის ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათზე მიუთითებს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობასა და საიმედოობას. რწმუნებულმა დავალებული საქმეები უნდა აწარმოოს გულისხმიერად. დავალების ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე რწმუნებული მის მიერ განხორციელებული მოქმედების შედეგად არ

იძენს რაიმე უფლება-მოვალეობებს, ამიტომ მან კარგად უნდა გაიაზ-როს დავალების მიზანი და დავალებული საქმის ხასიათი (ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტო-მის, თბილისი, 2001, გვ. 396).

15. კასატორები 26.03.2007 წლის მინდობილობის გაცემას უკავში-რებენ მხარეთა შორის სსკ-ის 709-ე მუხლით განსაზღვრული დავალე-ბის ხელშეკრულების არსებობას, კერძოდ, მათი განმარტებით, მოპა-სუხის შვილის სახელზე 26.03.2007 წლის მინდობილობა გასცეს გარ-კვეული ხელშეკრულებების დადების მიზნით, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა, რითაც „მინდობილობამ ამონურა თავისი მისია, დამატები-თი დავალება არ მიცემია მარნმუნებლების მიერ რწმუნებულს“. ალნიშ-ნულზე მოსარჩელეები ქვეყდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქ-მის განხილვის დროსაც უთითებდნენ. პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში მათ მიერ წარდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც გასაჩივ-რებული გადაწყვეტილებით გამოკვლეული /შეფასებული არ არის. საა-პელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, თუ რა დავალებით /მიზნით გა-იცა 26.03.2007 წლის მინდობილობა და შესრულდა თუ არა იგი რწმუნე-ბულის მიერ.

16. მოსარჩელეები უთითებენ, რომ ჩუქების ხელშეკრულების და-დებისას მოსარჩელეთა და მოპასუხის შვილს შორის ურთიერთობა იყო დაძაბული, არსებობდა დავები, მათ შორის – სასამართლოში, რასაც არც მოპასუხე მხარე უარყოფს. აღსანიშნავია, რომ მოპასუხის შვილ-მა, როგორც უკვე წინამდებარე დავაში მოპასუხის საპროცესო წარმო-მადგენელმა /რწმუნებულმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 22.05.2019 წლის სხდომაზე განაცხადა, რომ ხელშეკრულება თავისი მარ-წმუნებლების, მოსარჩელეების ინფორმირების /ნებართვის გარეშე გა-აფორმა მას შემდეგ, რაც მათთან შეთანხმებით 50 000 აშშ დოლარის აღიარების შესახებ ხელწერილი დაწერა.

17. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამოკვლეული არ არის, თუ რა გარემოებები უძლოდა წინ, 14.06.2017 წელს, 26.03.2007 წლის მინ-დობილობის საფუძველზე მოპასუხის შვილის მიერ მოსარჩელეთა უძ-რავი ქონების თავის დედისთვის – მოპასუხისთვის ჩუქებას. საკასა-ციონ პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ეს ფაქ-ტები და განსაზღვროს, რამდენად საკმარისი და ძალმოსილია საქმეში არსებული მტკიცებულებები მითითებული გარემოების დასადგენად.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, ზოგადად, ყველა მარ-თლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერე-ბის პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნე-სის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულებაა. თანამედროვე ქართულ

სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ვრცელი დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოდგენს (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.06.2015წ.). კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და, ამავე დროს, აქვარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს (სუსგ №ას-549-521-2015, 18.11.2015წ.).

19. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს – კეთილსინდისიერების ვალდებულებას, ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში (ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხ.8, ველი 1, 10-12). სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება, ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.06.2015წ; №ას-189-2015, 20.04.2021წ.).

20. სახელშეკრულებო სამართალში შეიძლება გამოვყოთ კეთილსინდისიერების რამდენიმე ფუნქცია: 1) კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსება, რაც გულისხმობს მხარეთათვის დამატებით ვალდებულებების დადგენას, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულებების განვრცობას, გაფართოებას, შევსებას; 2) ხელშეკრულებიდან გამომდინარების გადასაცემა, რომელიც განსაზღვრავს კეთილსინდისიერების მასშტაბს.

რეუფლებების შეზღუდვა; 3) ხელშეკრულების კორექტირება; 4) ხელშეკრულების განმარტება (ხუნაშვილი 6., კეთილსინდისიერებისპრინციპისახელშეკრულებოსამართალში, თბილისი, 2016, გვ.102,103).

21. ამა თუ იმ ხელშეკრულებაში, შესაძლოა, არც კი იყოს ჩამოყალიბებული განსაზღვრულად ქცევის წესი, მაგრამ განსაზღვრული წესით ქცევის, განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდეს (მაგ: ინფორმაციის გაცემისა და ზრუნვის ვალდებულება). კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს ავალდებულებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას. თუ უფლება იმდაგვარად გამოიყენება, რომ მხარეთა ინტერესების ურთიერთგათვალისწინების ვალდებულება (მოთხოვნა) ირღვევა, უფლების ასეთი გამოყენება ბოროტ განზრახვად უნდა დაკვალიფიცირდეს (Christian Eckl, Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 34, მითითებულია ხუნაშვილი 6., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2016, გვ.117,118).

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერება გულის-ხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური წების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების სარვეზი (სუსგ №ას-559-2019, 04.12.2019წ., პუნ. 185). კეთილსინდისიერი ქცევის დადგენა კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და მოსამართლის მიერ უნდა გადაწყვდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოსამართლის მიერ წარმოებული შეფასების ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინება (სუსგ №ას-559-2019, 04.12.2019წ., პუნ. 186).

23. საქმის ხელახლა განხილვასას სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები და დაადგინოს, 14.06.2017 წელს, 26.03.2007 წლის მინდობილობის საფუძველზე, რწმუნებულის მიერ დედასთან ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მარწმუნებლების ინტერესების გათვალისწინების ხარისხი და აღნიშნული მოქმედების უფლება-მოვალეობათა კეთილსინ-

დისიერად განხორციელების ვალდებულებასთან შესაბამისობა.

24. მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ყველა იმ ობიექტზე და სუბიექტზე ფაქტორით, რაც მათ იურიდიულ ბუნებას ახლავს. თითოეული მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებზე საუბარი. სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტკივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. მტკიცებულების გამოკვლევა, უპირველესად, გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნობის) შემოწმებას (სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015.).

25. სააპელაციო პალატამ საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა გამოიკვლიოს, მოპასუხის შვილის მიერ მოსარჩევეთა სახელით დედისთვის სადაც უძრავი ქონების ჩუქუპება ხომ არ ექცევა სსკ-ის 114-ე მუხლის (თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად) მოწესრიგების ფარგლებში, კერძოდ, აქტივის გადაფირმებას ხომ არ ჰქონდა ფორმალური ხასიათი და ხომ არ ემსახურებოდა მოპასუხის შვილის ფინანსურ ინტერესებს. ამ მხრივ გამოკვლეულ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი, სადაც მოპასუხის წარმომადგენლად მისი შვილი გამოდიოდა (შდრ. ჯორჯენაძე ს., განერელია ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 114, ველი 16–18). ამ კონტექსტით მნიშვნელოვანია ნინამდებარე დავაში მოპასუხის შვილის თანამოპასუხეობის საკითხიც, რადგან სადაც მის მიერ მოსარჩევეთა სახელით გამოვლენილი ნების ნამდვილობა. თუ გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პირის უფლება-მოვალეობებს, მას უნდა ჰქონდეს საპროცესო უფლებათა თანაბარი რეალიზების საშუალება (შდრ. სუსგ №ას-231-2021, 16.03.2023წ., პუნ.36). მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ყველა პირთან მიმართებით სამართალწარმოება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. პირის მონაწილეობა სასა-

მართლო პროცესში, მოსამართლისათვის საკუთარი არგუმენტაციის წარდგენა და პოზიციების დაცვის შესაძლებლობა მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი კომპონენტია.

26. სსკ-ის 114-ე მუხლის მიზანია, რომ წარმომადგენელს არ უნდა გააჩნდეს გარიგების ორივე მხარის წარმოდგენის/განსახიერების უფლებამოსილება. წარმომადგენელი შესაძლოა, აღმოჩნდეს საკუთარი ინტერესებთან კონფლიქტში. აღნიშნული ფაქტი ართულებს წარმომადგენლის მიერ საკუთარი თავის საზიანოდ მარწმუნებლის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. წარმომადგენლის უმთავრესი მიზანი წარმოდგენილის ინტერესების დაცვაა. ეს კი ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობის აკრძალვაში გამოიხატოს. თავის მხრივ, ამის აღსრულება, წარმომადგენლის მიერ როგორც წარმოდგენილის, ასევე საკუთარი თავის ან მესამე პირის სახელით ერთდროულად მოქმედებისას, შეუძლებელია. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილს შესაძლებლობა აქვს უკეთ შეაფასოს ხსენებული გარიგების სამართლებრივი შედეგები მისი დადების შემდეგ და არა მის დადებამდე, განსახილველი დანაწესი წარმოდგენილს ანიჭებს უფლებას მოინონოს წარმომადგენლის მიერ საკუთარ თავთან დადებული გარიგება და ამ მონონების საფუძველზე დატოვოს ის ძალაში. გამომდინარე აღნიშნულიდან, 114-ე მუხლი ადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მხოლოდ შეზღუდვის წინაპირობას, რომლის თანახმად, წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულება არა მისი დადებისთანავე უპირობოდ ბათილია, არამედ მის მონონებამდე – მერყევად ბათილი (იხ: ჯორგენაძე ს., განერელია ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 114, ველი 1,2,5). საკუთარ თავთან გარიგების დადება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ნებადართულია თავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამცემი პირის მხრიდან (იხ: ბურდული ი., მახარობლიშვილი გ., თოხაძე ა., ზუბიტაშვილი ნ., ალადაშვილი გ., მაღრაძე, გ., ეგნატაშვილი დ., საკორპორაციო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2022წ., გვ. 206).

27. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ დავის განხილვისას სასამართლო ეყრდნობა საჯარორეესტრის ჩანაწერს. სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. პრეზუმუცია მიზნად ისახავს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ინტერესების დაცვას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფასა და დაინტერესებული პირების მხრიდან მარეგისტრირებელი

ორგანოს მიმართ ნდობის მაღალი ხარისხის გარანტიების შექმნას (შოთაძეთ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2018წ., მუხ.312, ველი 1).

28. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპი – ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება. კონვენციის მე-6 მუხლით დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

29. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორების მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამდენად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, თუმცა, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახლი გამოკვლევა, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა შეაფასოს საქმის მასალები, სრულყოფილად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქ-

ტოპრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვეტილს უფლების საკითხი.

30. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა-ნისა და ი. ა-ნის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.02.2021 წლის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. შუამავლობა

### გასამრჯელო ხელშეკრულების დასაღებად გაცეული შუამავლობისთვის

განჩინება  
საქართველოს სახელით

№ას- 1192-2022

20 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თან-  
ხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-  
გის 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შპს „მ.კ.ჭ. მ. ც. გ.“-ს  
(შემდეგში: მოსარჩევე, აპელანტი ან კომპანია) სარჩევლი შ. დ-ისა (შემ-  
დეგში: პირველი მოპასუხე ან პირველი კასატორი) და თ. დ-ის (შემდეგ-  
ში: მეორე მოპასუხე ან მეორე კასატორი) წინააღმდეგ, შუამავლობის  
ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე, არ  
დაკმაყოფილდა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-  
ლატის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპე-  
ლაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გა-  
უქმდა და ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული; მოსარჩელის სარ-  
ჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხებს მოსარჩელის სასარგებლოდ სო-  
ლიდარულად 35 400 (ოცდათხუთმეტი ათას ოთხასი) ლარის გადახდა  
დაეკისრათ.

3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გა-  
დაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობ-  
რივი გარემოებები:

3.1. ქ. თბილისში, ... (ს/კ №...) მდებარე უძრავი ქონება საკუთრების  
უფლებით ირიცხებოდა მეორე მოპასუხის სახელზე;

3.2. მეორე მოპასუხესადა შპს „ა.ა. ა-ბს“ შორის, 2019 წლის 30 აგვის-  
ტოს, გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის

შესაბამისად მეორე მოპასუხემ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცა მყიდველს;

3.3. 2020 წლის 27 იანვრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველი შპს „ა.ა. ა-ები“ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მეორე მოპასუხისაგან შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ. ნასყიდობის საგნის ღირებულება 1 180 000 ლარით განისაზღვრა;

3.4. მოსარჩელის მტკიცებით, მას საშუამავლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. მოსარჩელე უთითებს მასას და პირველ მოპასუხეს შორის შუამავლობის სამართლებრივ ურთიერთობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 744-ე მუხლი);

3.5. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმად, პირველმა მოპასუხემ დაავალა მოსარჩელეს დედამისის – მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე, ქ. თბილისში, ..., ს/კ №..., გასასხვისებლად შემძენის მოძიება და მასთან ხელშეკრულების დადება. ამასთან, მოსარჩელის მიერ მოძიებულ პირთან ხელშეკრულების დადება პირველ მოპასუხეს მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოუშობდა;

3.6. სსკ-ის 744-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად განეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრულია არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ ამ მუხლის პირველი და მე-2 წინადადებებისაგან განსხვავებულად დადებული შეთანხმება ბათოლია;

3.7. სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავა შუამავლობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწერსრიგებელი ნორმების საფუძველზე შეაფასა. აპელანტმა (მოსარჩელემ) პირველ მოპასუხესთან შეთანხმების არსებობის დასადასტურებლად წარადგინა მასთან „ვაიბერით“ მიმოწერა და ხელშეკრულების პროექტი. „ვაიბერის“ მიმოწერის მიხედვით, მოსარჩელის წარმომადგენელმა პირველ მოპასუხეს გაუგზავნა სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი, რომლის სახელწილდება იყო – საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულება; საგანი – უძრავი ქონების სააგენტოს მიერ შემკვეთის კუთვნილი ქონების გაყიდვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ქონების ყიდვის მსურველ პირთა მოძიება-შერჩევა. საშუამავლო გასამრჯელოდ მითოთებული იყო ქონების ღირებულების 3%, რომელიც შემკვეთის მიერ

გადახდილი იქნებოდა უძრავი ქონების სააგენტოს მიერ მოძიებულ პირთან ან/და მის ოჯახის წევრთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში. პირველმა მოპასუხემ დაადასტურა საზღაურის გადახდის ვალდებულება 3%-ის ოდენობით;

3.8. საკსასაციო სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებაში განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სახეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი, უფლება აქვთ, დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი (იხ: სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 103; შეად. სუსგ. №ას-405-2021; 29.06.2021 წ.);

3.9. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სადაცო გარემოება და აქედან გამომდინარე იურიდიული კვალიფიკაცია იმის თაობაზე, რომ იმ პირობებში, როდესაც პირველი მოპასუხე არ წარმოადგენდა გასაყიდი უძრავი ქონების მესაკუთრეს, მასსა და მოსარჩევეს შორის წარმოიშვა დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის მიხედვით, პირველმა მოპასუხემ დაავალა მოსარჩევეს დედამისის – მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე, ქ. თბილისში, ..., ს/კ №..., გასასხვისებლად შემძენის მოძიება და მასთან ხელშეკრულების დადება;

3.10. სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებული, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. შუამავალი (აპელანტი) თავისი ვალდებულების შესრულებისას არ მოქმედებს შემკვეთის სახელით, მისი მთავარი დანიშნულება მესამე პირამდე იმ ძირითადი ინფორმაციის მიტანაა, რომლის საფუძველზეც შემკვეთსა და მესამე პირს შორის ძირითადი ხელშეკრულება

უნდა დაიდოს (მდრ. სსკ-ის 744-ე მუხლის კომენტარი, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), ბოლო დამუშავება: 07.03.2016 წ.). სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, წინამდებარე საქმეზე დადგენილია, რომ აპელანტი ახორციელებს საშუალებლი მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც კისრულობს უძრავი ქონების შეძენითა და გასხვისებით დაინტერესებულ პირებს შორის შუამავლობას, საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს გასასხვისებელი უძრავი ქონების რეკლამირებას, მისი შეძენით დაინტერესებული პირების მოძიებასა და მესაკუთრესთან დაკავშირებას; ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკენა, რომ განსაზიდველ შემთხვევაში, მოსარჩევე/აპელანტი შემკვეთის სახელითა და ხარჯზე არ მოქმედებდა, ამიტომ დავალების ხელშეკრულებისათვის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი ზემოაღნიშნულ გარიგებას არ გააჩნია, შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება დავალებად არ მიიჩნევა;

3.11. რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან პირველი მოპასუხე არ წარმოადგენდა გასაყიდი უძრავი ქონების მესაკუთრეს, ამიტომ მასსა და მოსარჩელეს შორის წარმოიშვა დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა და არა – შუამავლობას, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ გაიზიარა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში პირველი მოპასუხე შესაძლებელია განხილულ იქნეს წარმომადგენლად, ხოლო ქონების მესაკუთრე – მეორე მოპასუხე – წარმოდგენილ პირად;

3.12. სსკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. ამავე კოდექსის, 107-ე მუხლის მიხედვით, (1) უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა; (2) ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც დადგენილია სპეციალური ფორმა;

3.13. სსკ-ის 104-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, (1) იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოდგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოებობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს; (2) თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფ-

ლებამოსილების არსებობა; (3) თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას;

3.14. ზემოაღნიშნულ მსჯელობას ამყარებს მეორე მოპასუხის განმარტება – მისთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ პირველი მოპასუხე დათანხმდა მის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების ფოტოების მოსარჩელის ვებ-გვერდზე განთავსებას. მეორე მოპასუხეს ასევე ჰქონდა ინფორმაცია მის მეუღლესთან – ზ. დ-თან მოსარჩელე მხარის კომუნიკაციის შესახებ. ამდენად, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ პირველი მოპასუხე მოქმედებდა მეორე მოპასუხის (ქონების მესაკუთრის) ინტერესებისთვის, რომელიც ეთანხმებოდა საშუალო ხელშეკრულების პირობებს და მისთვის, სულ მცირე, ცნობილი იყო უძრავი ქონების გაყიდვის მიზნით პირველი მოპასუხის მიერ განხორციელებული ქმედებები;

3.15. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ სადავო გარემოება იმის შესახებ, რომ მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონება არ გაუყიდია მოსარჩელის მიერ განეული საშუალო მომსახურების ფარგლებში;

3.16. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლობის მოტივით არ გაიზიარა, მოწინააღმდეგე მხარის (პირველი მოპასუხის) მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მოდავე მხარეებს შორის არ შემდგარა საშუალო შეთანხმება/ხელშეკრულება და მეორე მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მყიდველის მოძიება არ მომხდარა მოსარჩელის დახმარებით, მისი კუთვნილი ვებ-გვერდიდან;

3.17. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ წინამდებარე საქმეში, ვინაიდან შუამავლის სასარჩელო მოთხოვნა ემყარება მის მიერ გალდებულების შესრულების ფაქტს, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრებოდა;

3.18. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საშუალო ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვს: სხვადასხვა პირთან ურთიერთობას, მოლაპარაკებების წარმოებას, შეხვედრების ორგანიზებას, რაც გარკვეული მატერიალური მტკიცებულებების შექმნასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით კი იმ გარემოების გათვალისწინებით, როდესაც საკითხი ეხება უძრავ ქონებას. შუამავალმა სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ხელშეკრულებით წაკისრი მოქმედებები განახორციელა;

**3.19.** სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 317-ე, 477-ე და 744-ე მუხლებით და განმარტა, რომ გასამრჯველოს/საზღაურის გადახდა დამოკიდებულია შუამავლობის შედეგად ხელშეკრულების დადებაზე ან გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე. თუ ეს გარემოებები სახეზე არ არის, მაშინ არც თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშობა. ვინაიდან, საქმის მასალებით დასტურდება შუამავლის მიერ საშუამავლო ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, არსებობს საზღაურის ანაზღაურების ვალდებულება;

**3.20.** სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება ერთმნიშვნელოვნად იძლეოდა იმ გარემოების დადგენის შესაძლებლობას, რომ, (1) ერთი მხრივ, მოსარჩევესა (აპელანტს) და, მეორე მხრივ, პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის დაიდო საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხებმა სოლიდარულად იკისრეს ვალდებულება მოსარჩელის სასარგებლოდ გადახეადათ საშუამავლო გასამრჯველო უძრავი ქონების ღირებულების 3%-ის ოდენობით, აპელანტი კომპანიის მიერ მოძიებულ პირთან ან მისი ოჯახის წევრთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში; (2) ქ. თბილისი, ... მისამართზე მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ №...) ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ა. ა. ას-ებსა“ და მეორე მოპასუხეს შორის აპელანტის მიერ განხეული საშუამავლო მომსახურების შედეგად დაიდო;

**3.21.** სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში წარდგენილ ვიდეო ჩანაწერს, მხარეთა შორის არსებულ „ვაიბერის“ მიმოწერას, სატელეფონო ზარების ამონაწერს და მოწმეთა ჩვენებებს: მოწმის სახით დაკითხული დ. მ-ძის ჩვენებით დასტურდება ის გარემოება, რომ ა. ი-შა და თ. მ-შ სურდათ უძრავი ქონების შეძენა შპს „ა. ა. ა-ბის“ სახელით და შეძენის მიზნით, მოწმემ გადაიყვანა ა. ი-ი და თ. მ-ი მოსარჩელე კომპანიის ოფისში; დ. მ-ძის ჩვენებით ასევე დგინდება ის გარემოება, რომ თ. მ-ისა და შპს „ა. ა. ა-ბის“ დირექტორის – ა. ი-ის მოსარჩელის ოფისში ვიზიტის დროს კომპანიის წარმომადგენელმა აჩვენა მათ და შესთავაზა მოსარჩელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული მეორე მოპასუხეს კუთვნილი ქ. თბილისი, ... მისამართზე მდებარე უძრავი ქონება (ს/კ ...) შეძენის ვარიანტად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოწმის სახით დაკითხული გ. გ-ის ჩვენებიდან დგინდება, რომ თ. მ-ისა და ა. ი-ის (შპს „ა. ა. ა-ბის“ დირექტორის) ოფისში ვიზიტისას მათ მოსარჩელის მიერ მიეწოდა ინფორმაცია მეორე მოპასუხეს კუთვნილი ქ. თბილისი, ... მისამართზე მდებარე უძრავი ქონების შესახებ, მათ შორის, რუკაზე დასმულ იქნა ლოკაციაც. მოწმე გ. გ-ისა და დ.

მ-ძის მიერდადასტურებულ იქნა ის გარემოებაც, რომ უძრავი ქონების სააგენტოს მიერ ინფორმაციის მიწოდებამდე თ. მ-შა და ა. ი-შ არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული უძრავი ქონების შესახებ. აპელანტის განმარტებით, თ. მ-ისა და ა. ი-ის ვიზიტის პერიოდში, კომპანიის წარმომადგენელი არაერთხელ დაუკავშირდა პირველ მოპასუხეს და მეორე მოპასუხის მეუღლეს – ზ. დ-ს, რაც მიზნად ისახავდა უძრავი ქონების სარეალიზაციო პირობების, მათ შორის, ნასყიდობის ფასის შემცირების შეთანხმებას, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დათვალიერების ორგანიზებას თ. მ-ისა და ა. ი-ის, როგორც შპს „ა. ა. ა-ბის“ უფლებამოსილი პირების მიერ; მოსარჩელის მეშვეობით, უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში ფართის დაცლისა და შემძენისთვის გადაცემის პირობების შეთანხმებას. ის გარემოება, რომ თ. მ-ისა და ა. ი-ის სააგენტოს ოფისში ვიზიტის დროს არაერთხელ განხორციელდა კომუნიკაცია მოპასუხე მხარესთან დასტურდება საქმეში წარდგენილი ვიდეო-ჩანაწერით, მოწმე გ. გ-ისა და დ. მ-ძის ჩვენებებით და სატელეფონო ზარების ამონაწერით;

3.22. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია აპელანტი კომპანიის განმარტება, რომ შპს „ა. ა. ა-ბი“, აპელანტი კომპანიის წარმომადგენლის მიერ, მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების მოსარჩელის ვებ-გვერდზე ჩვენებისა და ინფორმაციის მიწოდების შედეგად დაინტერესდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების შეძენით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს კომპანიის წარმომადგენელს ჩვენება/დათვალიერების მიზნით უძრავ ქონებაში უნდა მიეყვანა თ. მ-ი და ა. ი-ი. გარდა ზეპირი სატელეფონო კომუნიკაციისა, პირველ მოპასუხეს „ვაიბერის“ მეშვეობით გადაეგზავნა უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებული პირის (მისი წარმომადგენლების) ვინაობა, შპს „ა. ა. ა-ბის“ ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, ამასთან, ეცნობა, რომ აღნიშნულ პირს გადაეცა ზუსტი ინფორმაცია (ლოკაცია, დასახელება, მისამართი) მეორე მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე;

3.23. სააპელაციო სასამართლომ დასასკვნა, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მოსარჩელებმოიძია შპს „ა. ა. ა-ბი“ მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების შესაძენად – მოსარჩელის შუამავლობით განხორციელდა მეორე მოპასუხესა და შპს „ა. ა. ა-ბის“ დაკავშირება და მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. მეორე მოპასუხემ უძრავი ქონება გაყიდა მოსარჩელის შუამავლობით, რაც მოპასუხეთათვის საშუამავლო გასამრჯელოს სოლი-დარულად დაკისრების საფუძველია;

3.24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმასთან დაკავშირებით,

რომ მითითებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მო-  
სარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ელექტრონული ფორმით შედ-  
გა შეთანხმება საშუალო მომსახურების განევის შესახებ. პირველი  
მოპასუხე დაინტერესებული იყო დედამისის – მეორე მოპასუხის სა-  
კუთრებაში რიცხული უძრავი ქონების – სასტუმროს გასხვისებით, მდე-  
ბარე: ქ. თბილისში, ..., ს/კ №... შესაბამისად, ხელშეკრულების საგანს  
წარმოადგენდა უძრავი ქონების სააგენტოს მიერ აღნიშნული უძრავი  
ქონების გაყიდვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ქონების ყიდ-  
ვის მსურველი პირების მოძიება. მითითებული უძრავი ქონება 2019  
წლის 29 ივლისს განთავსებდა სააგენტოს ვებ-გვერდზე  
[WWW.MYCLIENT.GE](http://WWW.MYCLIENT.GE), რომლის საშუალებითაც მოხდა უძრავი ქონების  
გაყიდვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ქონების ყიდვის მსურ-  
ველ პირთა მოძიება-შერჩევა. პირველი მოპასუხის განმარტებით, იგი  
არ იმყოფებოდა ობილისში, რის გამოცვერ შეძლებდა საშუალო მომ-  
სახურების ხელშეკრულებას წერილობით გაცნობოდა. შესაბამისად, მი-  
სი მოთხოვნით 2019 წლის 31 ივლისს მოსარჩელემ ელექტრონული ფორ-  
მით მიაწოდა საშუალო მომსახურების ხელშეკრულება და გააცნო  
მისი პირობები, რომელზედაც პირველმა მოპასუხემ თანხმობა განაც-  
ხადა. ამის შემდეგ, პირველ მოპასუხეს დაუკავშირდა მოსარჩელის (აპე-  
ლანტის) წარმომადგენელი და მიაწოდა ინფორმაცია, რომ სააგენტოს  
მიერ მოძიებული იქნენ უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებული  
პირები, რომელსაც წარმოადგენდნენ თ. მ-ი და მისი თანმხელები უც-  
ხოელი ინვესტიორი და მათ მოსარჩელე მხარემ დეტალური ინფორმა-  
ცია მიაწოდა გასაყიდი უძრავი ქონების მახასიათებლების, ფასის, მე-  
საკუთრისა და ადგილმდებარეობის შესახებ. მოსარჩელემ პირველ მო-  
პასუხეს აცნობა, რომ მითითებული პირები დაინტერესებული იყვნენ  
უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერებით, რის გამოც შეთანხმდე-  
ნენ შეხვედრის თაობაზე. გარდა ამისა, მოსარჩელე (აპელანტმა) კომ-  
პანიამ პირველ მოპასუხეს მიაწოდა ინფორმაცია იმ იურიდიული პირის  
შესახებ, რომელიც დაინტერესებული იყო გასაყიდი უძრავი ქონების  
შეძენით და შემდეგ ამ ფართში სამენარმეო საქმიანობის განხორციე-  
ლებით;

3.25. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული პირის მიერ უძრავი  
ქონების შეძენა განხორციელდა სააგენტოს მიერ განეული საშუალოვ-  
ლო მომსახურების ფარგლებში, ნასყიდობის ხელშეკრულების დადება  
მეორე მოპასუხესა და შპს „ა. ა. ა-ებს“ შორის 2019 წლის 30 აგვისტოს  
განხორციელდა უძრავი ქონების სააგენტოს გვერდის ავლით, რაც შე-  
თანხმების არსებით დარღვევას წარმოადგენს და მოპასუხეთა მხრი-  
დან საშუალო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდე-  
ბულებას წარმოშობს;

3.26. საქმეზე დადგენილია, რომ მეორე მოპასუხესა და შპს „ა. ა. ა-ბის“ წარმომადგენელს – ა. ი-ის შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელ-შეკრულების თანახმად, უძრავი ნივთის ნასყიდობის ღირებულებად გა-ნისაზღვრა 1 180 000 (ერთი მილიონ ასოთხმოცი ათასი) ლარი. საშუა-მავლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.4 პუნქტის თანახმად, საშუამავლო გასამრჯელო შეადგენდა გაყიდული ქონების ღირებულების 3%-ს, რომელიც შემკვეთის მიერ გადახდილი იქნებოდა უძრავი ქონების სააგენტოს მიერ მოძიებულ პირთან ან/და მისი ოჯახის წევრთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვე-ვაში. უძრავი ნივთის ნასყიდობის ღირებულებად განისაზღვრა 1 180 000 ლარი. ამდენად, საქმეზე უდავოდ დადგენილი გარემოებაა, რომ საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულების 1.4 პუნქტის შესაბამი-სად, საშუამავლო გასამრჯელოს ოდენობა მითითებული თანხის 3 პრო-ცენტს – 35 400 ლარს შეადგენს, რაც მოსარჩელე კომპანიას მოპასუ-ხების მიერ სრულად უნდა აუნაზღაურდეს;

3.27. განსახილველ შემთხვევაში, წარდგენილ მტკიცებულებათა ერ-თობლივად შეფასებით სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ აპელანტმა მისთვის კანონით დაკისრებული მტკიცების ტვირთი დაძლია, დაადასტურა საშუამავლო ხელშეკრულების დადება მოპასუ-ხე მხარესთან, ასევე შუამავლის მიერ საშუამავლო ვალდებულების შეს-რულება, შესაბამისად, დაადასტურა საზღაურის ანაზღაურების ვალ-დებულების არსებობა, რაც შეეხება მოპასუხე მხარეს, მან სარჩელში/ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების საპირისპირო მტკი-ცება ვერ განახორციელა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, სა-აპელაციო საჩივარი დასაბუთებულად მიჩნია და დასკვნა, რომ უნდა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა, აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხებას სოლიდარულად 35 400 (ოცდათხუთმეტი ათას ოთხასი) ლარის გადახდა დაეკისრათ.

#### 4. საკასაციო სამართლნარმოების ეტაპი

4.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივ-რით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა და, ახალი გადაწყვეტილების მიღე-ბით, სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.

4.2. კასატორთა განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში უძრავი ქონების მესაკუთრესა და მოსარჩელეს შორის არ არსებობდა შეთან-ხმება საშუამავლო ხელშეკრულების დადების თაობაზე. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ურთიერთობა დავალების ხელშეკრულე-ბის საფუძველზე წარმოიშვა. მეორე მოპასუხემ კუთვნილი უძრავი ქო-

ნება მოსარჩელის შუამავლობის გარეშე გაყიდა, რის გამოც მოსარჩელეს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ წარმოშობია;

4.3. კასატორთა განმარტებით, მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება მისი შუამავლობით განხორციელდა. ამისათვის მოწმეთა ჩვენება და ვიდეო ჩანაწერი საკმარისი არ არის, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება

4.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო 2023 წლის 17 თებერვლის განჩინებით საკასაციო სასამართლომ არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნო მოპასუხეთა საკასაციო განაცხადი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებს, მხარეთა ახსნა-განმარტებების ზეპირი განხილვის შედეგად მოსმენის, შეფასებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხეთა საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია, არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

5. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტიში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების

სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება გამოიკვეთა.

6. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულა მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაბილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაბილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

7. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაბილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი

განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

8. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევნის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ბოლინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

9. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლო-სათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

10. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

11. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (სხვა მრავალთა შორის შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021; №ას-1065-2020, 08.04.2021; №ას-338-2019, 22.03.2021; №ას-1102-2022, 6.12.2022; №ას-1529-2022, 1.03.2023).).

12. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხებს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის

საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შე-საძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გა-აქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზ-რებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რო-მელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

13. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსს-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შე-საგებელს. მოსარჩევემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზე-დაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარე-მოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტი-სათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკის-რება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერია-ლურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტი-ლების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათა-ნადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებით საქმიანობის საპო-ლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწ-ყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასა-მართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პრო-ცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებუ-ლების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსე-ბობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შეს-რულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთ-ხოვნისაგან).

14. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითე-ბის ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთი-თონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითე-ბული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იური-დიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გა-მოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება-ზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხა-რის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად უნდა

ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უმუალო კავშირი აქვს დავასთან (სხვა მრავალთა შორის შეად. სუსგ-ებს: №ას-1504-2022, 10.03.2023წ; №ას-1112-2021, 2.03.2023წ; №ას-1382-2022, 1.03.2023წ.).

15. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტიკუმი, რომ-ლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელებ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხებ. ამასთან ერთად, დაამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხებ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელებ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელებ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხებ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

16. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეთათვის გასამრჯელოს სოლიდარულად დაკისრებას.

17. საკასაციო სასამართლოს ზეპირ სხდომაზე გამოცხადებულ მხარებს განემარტათ, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი იყო სწორედ შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, რადგან საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოსეულ შეფასებას მხარეთა შორის შუამავლობის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის თაობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 3.7 ქვეპუნქტი), შესაბამისად, საკასაციო პრეტენზის შემოწმება და შეფასება მოხდა იმ ფარგლებში, რაც საპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა ერთობლივად გამოკ-

ვლევასა და მოწმეთა განმარტებების, კასატორი მხარის მტკიცებით, არასწორად შეფასებას უკავშირდება. ამ მიმართებით საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულ მხარეთა მოსაზრებები, არამედ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეთა მიერ დასახელებული და მოწვეული მოწმეების განმარტებები, რათა შეფასებინა სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობა სსკ-ის 744-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობის საფუძველზე, კერძოდ, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება სწორედ ამ შუამავლობის შედეგად რამდენად დაიდო, რაც წარმოშობს მოპასუხეთა ვალდებულებას გასამრჯელოს გადახდაზე.

18. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებული მეორე მოპასუხის, რომელიც გაყიდული უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრეა (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი და 3.1 ქვეპუნქტი) მიერ გამოხატული მოსაზრების თაობაზე, რომ მან არაფერი იცოდა მის შეიიღ-სა (რომელიც ამ დავაში პირველი მოპასუხეა /იხ. ამ, განჩინების პირველი პუნქტი/ და რომელიც ძირითადად თვითონ იმყოფებოდა კომუნიკაციაში საშუამავლო კომპანიასთან) და მოსარჩელე კომპანიას შორის რაიმე ურთიერთობისა და მათ მიერ გაცვლილი ინფორმაციის შესახებ, მხარეს საკასაციო სასამართლოს მიერ განემარტა, რომ ეს არ იყო კასატორისათვის სასარგებლო მტკიცება და ასეთი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, თეორიულად, მეორე მოპასუხეს მოთხოვნის უფლებას პირველი მოპასუხისადმი წარმოუშობდა. საკასაციო სასამართლო აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ როგორც მეორე მოპასუხის მტკიცება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ძირითადად პირველ და მეორე მოპასუხებს შორის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების კვლევას უკავშირდება, რაც მართებულად არ არის გაზიარებული საპელაციო სასამართლოს მიერ. წინამდებარე საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შემოწმების ფაქტობრივი და პროცესუალური ფარგლები მითითებულია ამ განჩინების 5-17 პუნქტებში.

19. საკასაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოში 2021 წლის 5 მარტის სხდომაზე მოწვეულ მოწმეთა განმარტებები (იქ-მის სრულად მოსმენის გზით) სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად შეაფასა და მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ სავ-სებით მართებულად დაადგინა, რომ შპს „ა. ა-ბსა“ და მეორე მოპასუხეს შორის, ამ უკანასკნელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 3.1-3.3 ქვეპუნქტები) სწორედ მოსარჩელე კომპანიის შუამავლობით დაიდო ხელშეკრულება, რის გამოც განხორციელებულად უნდა იქნეს მიჩნეული სსკ-ის 744-ე მუხლის (წორმის დეფინიცია იხ. ამ განჩინების 3.6 ქვეპუნქტში) წინაპირობა, რაც შესაბამისად მო-

სარჩელის მოთხოვნის საფუძველია, მიიღოს კუთვნილი გასამარჯელო.

20. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწვეულ მოწმეთა განმარტებებიდან, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადგენილი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მართებულად არ იქნა გაზიარებული მოწმეების თ. მ-ისა და უ. დ-ძის განმარტებები, რომ თითქოსდა მათვის მანამდე იყო ცნობილი ის ინფორმაცია, რომელიც მეორე მოპასუხის კუთვნილი სასტუმროს გაყიდვას უკავშირდებოდა, მოწმეებმა განმარტეს:

20.1. უ.(უ.) დ-ძე იმ უბნელია, სადაც ეს სასტუმრო მდებარეობს და როდესაც უ-მ მოიცალა, ასე დაემთხვა, რომ ეს იყო ზუსტად ის დღე, როდესაც თ. მ-ი ა. ი-ისთან ერთად იმყოფებოდა სამაკლერო კომპანიაში... მოსამართლის კითხვას, თუ დაახლოებით როდის მიაწოდა თ. მ-ს მისმა მეგობარმა უ.(უ.) დ-ძემ ინფორმაცია ... ქუჩაზე მდებარე სასტუმროს შესახებ, მაგალითად, სამაკლერო კომპანიაში მისვლამდე ერთი თვით, ერთი წლით თუ რა დროით ადრე, მოწმე მ-მა არ უპასუხა, მხოლოდ ის თქვა, რომ არ იცის, დაემთხვა, რომ ეცალა მას და ეცალა უ-ს და ასე დაემთხვა....;

20.3. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ მიწვეულმა მოწმემ გ. გ-მა, გარდა იმისა, რომ ვრცლად აღწერა, თუ როგორ დაიწყო საშუალებელი კომპანიის ურთიერთობა პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხის მეუღლესთან გასაყიდი ქონების თაობაზე, ასევე, დეტალურად აღწერა საშუალებელი კომპანიის ოფისში სასტუმროს შემძენი პირის – ა. ი-ისა და მისი თანმხლებით. მ-ის ვიზიტი, საუბრის შინაარსი და დეტალები. კერძოდ, მოწმემ განმარტა, რომ დ-ები იყვნენ დამკვეთები და მათ ქონებას ... ქუჩაზე ჰყიდდა მოსარჩელე კომპანია. კომპანიას ურთიერთობა ჰქონდა მეორე მოპასუხის შვილთან და მეუღლესთან. თავის მხრივ, „ა. ა. ა-ების „ნარმობადგენელი ინდოელი პიროვნება და თ. მ-ი, მივიდნენ კონსულტაციაზე იურისტთან, რომელიც იმავდროულად მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებელია, მისვლის მიზანი იყო ... ქუჩაზე სასტუმროს შეძენა. იურისტმა ეს კლიენტები გადაიყვანა საშუალებელი კომპანიაში, ისინი პირადად მოწმემ მიიღო. მოწმემ განმარტა, რომ კლიენტები ჩეკარობდნენ სასტუმროს ყიდვას, თუმცა ბიუჯეტი ჰქონდათ შეზღუდული – დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი (თავისი გადასახადების ჩათვლით). ქალბატონმა თ-მ ისიც აღნიშნა, რომ ... ქუჩაზე ნაქირავები ჰქონდათ სხვა სასტუმრო და განიხილავდნენ ახალი სასტუმროს ყიდვას. მათ ძალიან ეჩეარებოდათ არა მარტო ახალი სასტუმროს ყიდვა, არამედ მასში შესვლაც, რადგან „booking.com“-ის საშუალებით იყვნენ უკვე დარეგისტრირებული კლიენტები და ეს კლიენტები ახალ სასტუმროში მალევე უნდა მიეღოთ;

20.3. მოწმემ განმარტა, რომ კომპანიის ბაზაში კონკრეტულ მისა-მართზე მდებარე არსებული სასტუმროები გაუშალა მათ, აჩვენა ფო-ტოები, აუხსნა ლოკაცია, ყველა დეტალი. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკრეტული სასტუმრო ბევრად ძვირი ღირდა, კლიენტმა მითხრა, რომ დაინტერესდა ამ სასტუმროთ. ამის შემდეგ, მე შევთავაზე მათ დახ-მარება, გავედი ოთახიდან, ისინი მეღლოდებოდნენ, როგორც ვიცი, წარ-მოდგენილია ვიდეოჩანანერი, ოფისიდან დავურუეკე შ. დ-ს და ვუთხა-რი, რომ მისი ქონებით დაინტერესდა რეალური მყიდველი, თუმცა შეზ-ლუდული ბიუჯეტი ჰქონდა, შ-მ მიპასუხა, რომ ისინი ძალიან ჩქარობ-დნენ ქონების გაყიდვას, მაგრამ თანხის დაკლებას ის ვერ გადაწყვეტ-და, შესაბამისად, მომცა მამის – ბატონი ზ-ის ნომერი, სმს-ად მომწერა. დავურუეკე ბატონ ზ-ს და ავუხსენი სიტუაცია, რომელმაც მითხრა, რომ ეჩქარებოდათ სასტუმროს გაყიდვა, თანხის დაკლება არ იქნებოდა პრობლემა, მოლაპარაკებდნენ, ისიც ვუთხარი, რომ მყიდველს რაც შეიძლება მალევე სჭირდებოდა სასტუმროში შესვლა, რადგან უნდა მი-ელოთ კლიენტები. ამაზე ბატონმა ზ-ამ მითხრა, რომ სასტუმრო გაქი-რავებული იყო ახლობლებზე, არ იქნებოდა მისი დაცლა პრობლემა, გა-უგებდნენ, მათ ერთი თვის ქირას გადაუხდიდა, რაც შეეხება სხვა ნივ-თებს, მხოლოდ დეკორატიული ყვავილები იყო მათი (დ-ბის) და ამის გამოტანა პრობლემა არ იყო, შეძენიდან ერთ დღეში შეეძლოთ სასტუმ-როში შესვლა და მისი მოხმარება, ... ტერიტორიაზე 4-5 სასტუმრო მქონ-და, იმდენად სწრაფად სჭირდებოდა დაცლა მყიდველს და სწორედ ამ გამყიდველს შეეძლო ეს უმოკლეს ვადაში, როგორც აღვნიშნე. ყველა ეს დეტალი, რაც მნიშვნელოვანი იყო კლიენტებისათვის (მყიდველები-სათვის) ვუთხარი მათ, შევათანხმე. ქალბატონმა თ-მ კარგად იცის ეს ტერიტორია, აქ ჰქონდა ნაქირავები სასტუმრო „ა. ა. ა-ებს“. მეღლოკა-ცია დავუსვი რუკაზე, ავუხსენი, თუ საიდან და როგორ უნდა მისულიყ-ვნენ, სამანქანო გზა რამდენი იყო, რამდენი კმ იყო მეტროდან დაშო-რება და ა.შ. ქალბატონმა თ-მ უკვე შეიქმნა წარმოდგენა, სად იყო ეს სასტუმრო. კლიენტთან შევთანხმდით, რომ მეორე დღეს უნდა მიგ-ვეყვანა ადგილზე. როდესაც მესაკუთრეს – ბატონ ზ-ს დავურუეკე, მით-ხრა, რომ როგორც იცით, ფართი არის გაქირავბული და ის ადგილზე არ იქნებოდა, თუმცა, შეგვეძლო ადგილზე ნებისმიერ დროს მისვლა და მყიდველისათვის ქონების ჩვენება. მეორე დილით 12 საათამდე ველო-დე ქალბატონ თ-ს და რადგან არ დამიკავშირდა, დავურუეკე და ვკითხე, გელოდებით, როდის შევხვდეთ. თ-მ მიპასუხა, თუ ესა და ეს სასტუმ-როა, მე არ მაინტერესებს, რადგან არ მომწონს ეს სასტუმრო. გამოც-დილებიდან გამომდინარე, გამიჩნდა ეჭვი, როგორც ხდება ხოლმე ამ საქმეში და გარკვეული სიხშირით ვამოწმებდით ხოლმე საჯარო რეეს-ტრში ამონანერებს, რათა ჩვენს მიერ შეთავაზებული ქონება არ გაყი-

დულიყო სხვაგვარად. მანამდე, ანუ კლიენტის წასვლისთანავე, მას-თან მოლაპარაკების ყველა დეტალი – ლოკაცია, მისვლა, ფასი და ა.შ. მე მივწერე შ-ას. მისგან მივიღე დასტური, რომ ყველაფერი გასაგები იყო, მათ შორის, ჩვენი გასამრჯელოს შესახებაც. როდესაც ჩვენს მიერ შეთავაზებული სასტუმრო იყიდა „ა. ა-ებმა“, მე სატელეფონო კომუნიკაცია მქონდა როგორც ქალბატონ თ-თან, ისე ბატონ ზ-თან და ბატონ შ-თან, თუმცა, მათგან შეურაცხყოფის გარდა, არაურის მომისმენია ... ჩემი, როგორც აგენტის მოვალეობა რაც იყო, რომ კლიენტსა და გამყიდველს შორის შემტეთანხმებინა ფასი, ფართის დაცლის პირობები, მეჩვენებინდა სასტუმროს ფოტოები, ლოკაცია და სხვა, ეს მაქსიმალურად, 100%-ით გავაკეთე. მყიდველმა ზუსტად მიიღო ეს ინფორმაცია, რადგან კარგად იცოდა სასტუმროს ადგილმდებარეობა, იქვე ჰქონდათ სასტუმრო, მეზობლად. დაახლოებით საათნახევარი დავუთმე ამას;

20.4. შეკითხვების პასუხად მოწმე გ-მა განმარტა, რომ ეს ფართი ჩვენს ბაზაში თავიდანვე იყო შეტანილი და „ა. ა-ების“ მოსვლის შემდეგ არ გვიპოვია. ჩვენს ბაზაში ქონების შეყვანა ხდება მისი პორტალებზე, ან ე.წ. „კარდაკარ სიარულით“ მოძიების გზით. ქონების მოძიების შემდეგ ვუკავშირდებით ქონების მესაკუთრეს (მისგან გამოყოფილ საკონტაქტო პირს) და ვთავაზობთ ჩვენს მომსახურებას, ამის შემდეგ ვუხსნით პირობებს და თანამშრომლობაზე თანხმობის შემთხვევაში, ვიწყებთ მუშაობას. მე რომ შ-ს თანხმობა არ მქონოდა, ამ ქონებას არ განვათავსებდი ბაზაში და არც მყიდველს შევთავაზებდი. მხოლოდ ისეთ ფართებზე ვმუშაობთ, რაზედაც მიღებული გვაქვს თანხმობა. თანამედროვე პირობებში ყველა გაყიდვების მენეჯერი ასე მუშაობს (წიგნების გაყიდვაა თუ სხვა). შ. იყო ოჯახიდან გამოყოფილი პირი, ხშირად ოჯახის ყველა წევრი არ სარგებლობს „ვაიბერით“, „ვოთსაფით“ და ა.შ. გამყიდველს – ბატონ შ-შ (ქალბატონი თ-სი შეულლე) მივაწოდე ინფორმაცია მყიდველის შესახებ, რომ იყო ინდოელი პიროვნება, მას ჰყავდა თარჯიმანი, „ა. ა-ების“ ამონაზერი მივაწოდე, ქალბატონი თ-ს მობ. მივაწოდე, მას ვესაუბრებოდით ამ გარიგების შესახებ, მისამართი, ყველაფერი ეს წერილობით იცოდა შ-შ; რაც შეეხება შუამავლობის გასამრჯელოს 30 000 ზე ქვემოთ როდესაც არის შესაძლოა გასამრჯელო იყოს უფრო დაბალი, ვიდრე 3%-ია, ეს განისაზღვრება გაყიდვის ფასით. ქალბატონმა თ-მ ისიც ახსენა საუბარში, რომ ამ ინდოელ მყიდველს საქართველოს ბანკში ჰქონდა დამტკიცებული სესხი და რეალურად ეს ასეცაა. ბატონ შ-ს არ მოუწერია, რომ მისთვის ცნობილი იყო ეს ინდოელი მყიდველი, მას რომ სცოდნოდა ეს, მომწერდა აუცილებლად.

21. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის

მტკიცებულება, მოწმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმობიექტურითუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი და სწორედ ამ გზით მიღილოს გადაწყვეტილება სადავო ფაქტორით გარემობის არსებობა-არარსებობის შესახებ. მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც თავისუფალია და იმავდროულად კანონის დანაწესითა შეზღუდული. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი) (შეად. სუსგ-ებს: №ას-279-264-17, 21.04.17 წ; №ას-1186-2022, 25.11.2022წ.). მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული. ადამიანის უფლებათა ეროვნული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. The Lüdi v. Switzerland, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და The Schuler-Zraggen v. Switzerland გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია N263, გვ.21. პარ. 66). სსსკ-ის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის, დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება მოწმის ჩვენება-ში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მოცემულ საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებების გაანალიზებასა და შეფასებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განჩინების 3.20-3.21 ქვეპუნქტები; სხვა მრავალთა შორის შეად. სუსგ-ებს: №ას-1698-1592-2012, 2.06.2014წ; №ას-1029-2022, 9.11.2022წ; №ას-1029-2022, 9.11.2022წ); მოპასუხემ ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ გააბათილა მოსარჩელის მტკიცება.

22. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც საკასაციო სასამართლომ იმსჯელა და ერთმანეთისაგან გამიჯნა შუამავლობისა და დავალების ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, განმარტა, რომ სსკ-ის 744-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად განეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივი მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ ამ მუხლის პირველი და მეორე წინადადებებისაგან განსხვავებულად დადებული შეთანხმება ბათილია. საშუამავლო საქმიანობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი სახის საქმიანობა, რომლის მიზანიც შემკვეთსა და მესამე პირს შორის ძირითადი ხელშეკრულების დადებაა. იმ შემთხვევაში თუ შუამავალი მესამე პირს ვერ მოიძიებს, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო შემკვეთს – ანგარიშსნორების ვალდებულება (მდრ. სსკ-ის 744-ე მუხლის კომენტარი, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), ბოლო დამუშავება: 07.03.2016 წ.). საშუამავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული გასამრჯელოს ანაზღაურების დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მხარეთა შეთანხმება შუამავლობის გზით ხელშეკრულების დადებაზე; ძირითადი ხელშეკრულება, რომლის დადების მიზნითაც თანხმდებან მხარეები შუამავლობაზე; ეს ხელშეკრულება სნორედ შუამავლობის შედეგად უნდა იყოს დადებული (იხ. სუსგ №ას-522-495-2014, 05.06.2015წ.). აღსანიშნავია ისიც, რომ შუამავლობის დროს, შუამავალს ეკუთვნის გასამრჯელო, რომელიც შესაძლებელია მხარეებმა შეათანხმონ, ან თუ მისი ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად მიიჩნევა ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო... სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. შუამავალი თავისი ვალდებულების შესრულებისას არ მოქმედებს შემკვეთის სახელით, მისი მთავარი დანიშნულება მესამე პირამდე იმ ძირითადი ინფორმაციის მიტანაა, რომლის საფუძველზეც შემკვეთსა და მესამე პირს შორის ძირითადი ხელშეკრულება უნდა დაიდოს (მდრ. სსკ-ის 744-ე მუხლის კომენტარი, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), ბოლო დამუშავება: 07.03.2016)- იხ. შუსგ №ას-304-287-2017, 13.10.2017წ.

23. შუამავლობის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ადგილი, სამართლებრივი თვალსაზრისით, არა შემკვეთისათვის სასურველ ხელშეკრულებაში (განსხვავებით მაგ: დავალებისაგან, როდესაც მინდობილი

პირი თავად დებს გარიგებას მარწმუნებლის სახელით, შეად. სსკ-ის 709-ე მუხლი), არამედ ამ ხელშეკრულების მიღმაა, რადგანაც შუამავლის ვალდებულება კონტრაჰენტის მოძიება, შემკვეთან მისი დაკავშირება და ამ გზით მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევაა (იხ. სუსგ-ები: №ას-1279-2019, 31.03.2021წ; №ას-803-2022, 06.10.2022წ.).

24. საკასაციო სასამართლოს განსჯით, მოპასუხეებმა ვერ დაამტკიცეს, რომ მოსარჩელე კომპანიის შუამავლობის გარეშე დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამისად, მათი საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის გზით, არ დაკმაყოფილდა საკასაციო განაცხადი და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, როგორც კანონიერი და დასაბუთებული.

25. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 257-ე მუხლის მესამე ნაწილით, 284-ე, 285-ე და 410-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. დ-ისა და თ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 8. დაზღვევა

### საფაზლვეო თანხის გადახდისგან მზღვევალის გათავისუფლების საფუძველი

გადაცემის მიზანი  
საქართველოს სახელმწიფო კანონის  
საქართველოს სამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

№ას-823-2022

16 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიჭაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, პირგასამტებლოს დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2018 წლის 23 მაისს სს „ს.კ.პ-ს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „სა-დაზღვევო კომპანია“ ან „მზღვეველი“) და სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – „მოსარჩევე“, „სააგენტო“, „დამზღვევი“ ან „კასატორი“) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N230/2018 ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების 1.15 პუნქტის მიხედვით, დაზღვევის საგანია: კონკრეტული ავტოტრანსპორტი და შემასხურებელი აგრეგატი (მითითებული, შემსყიდველის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე გაცემულ, შესაბამის სადაზღვევო პოლისში), აგრეთვე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი შემსყიდველის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

3. ხელშეკრულების 1.16 პუნქტის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალება, ისევე როგორც შემასხურებელი აგრეგატი, ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის/შემასხურებელი აგრეგატის აღდგენითი ღირებულება მისი საბალანსო ღირებულების 70% და მეტს შეადგენს.

4. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების საგანის ნარმოადგენს სააგენტოს ბალანსზე რიცხული 136 ერთეული ავტომანქანისა და 121 შემასხურებელი აგრეგატის დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

5. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის მიხედვით, გასანევი მომსახურე-

ბის საერთო ლირებულებაა 79 020,76 ლარი საქართველოს კანონდებულობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით, ხოლო 4.2 პუნქტის მიხედვით, გასანერვი მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (დანართები №1, №2).

6. ხელშეკრულების 5.1.1 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოფის მომსახურების განვევა 2018 წლის 24 მაისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების 5.1.2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების ფარგლებში უზრუნველყოფის შემდეგი რისკის დაზღვევა: სადაზღვევო შემთხვევის დროს ავტოტრანსპორტის (აგრეგატის) ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები (24-საათიანი „ასისტანსი“), ხოლო „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აგრეგატებზე ვრცელდება საგარანტიო პირობები.

8. ხელშეკრულების 5.2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზარალი შემსყიდველის მიერნინამდებარე პირობებით და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დაგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9. ხელშეკრულების 5.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოფის მიმწოდებელი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაციით; „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, უზრუნველყოფის შეტყობინების გაკეთება მიმწოდებელთან, წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესით; „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გაუწიოს მიმწოდებელს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემონტების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მიმწოდებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ; „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთარი უფლებამოსილების და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მიმწოდებელს მის მიერრეგრესის უფლების განხორციელებაში.

10. ხელშეკრულების 10.3 პუნქტის მიხედვით, ზიანის აანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა შემდეგი საბუთების წარდგენა: ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ; ბ) სადაზღვევო პოლისის ასლი; გ) საპატრულო პოლიციის ოქმის სათანადოდ დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში; დ) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ე) მდლოლის ახსნა-განმარტება, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ვ) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის მიერ პრეტენზიის ნაყენების შესა-

ხებ; გ) მძლოლის მართვის და პირადობის მოწმობის ასლები; თ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ასლი; ი) მძლოლის სიფხიზლის შესახებ ცნობა.

11. ხელშეკრულების 10.4 პუნქტის მიხედვით, „ა“, „ბ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების მიმწოდებლისთვის წარდგენას უზრუნველყოფს შემსყიდველი, ხოლო დანარჩენს მოიპოვებს თავად მიმწოდებელი.

## 12. ხელშეკრულების მე-11 პუნქტის მიხედვით, გამონაკლისები ვრცელდება:

12.1. შემთხვევებზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის/აგრეგატის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის ქურდობა/ ძარცვა/ ყაჩალობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა (11.7);

12.2. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრასპორტო საშუალების/აგრეგატის აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად (11.11);

12.3. გარეუებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის/აგრეგატის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, ფაქტის აღმოჩენიდან 24 საათში თუ არ მოხდება მიმწოდებელთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება (11.12);

12.4. ზარალზე, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით (11.15);

12.5. ზარალისა და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობით, არა-საგზაო პირობებში ექსპლუატაციით (11.16);

12.6. ყველა შემთხვევა, რომელიც არ არის ასახული ანაზღაურების გამონაკლისებში, ცალსახად ექვემდებარება ანაზღაურებას (11.22).

13. ხელშეკრულების 16.2 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14. 2018 წლის 8 სექტემბერს სენაკის რაიონში მოხდა სადაზღვევო შემთხვევა (ხანძარი), რომლის შედეგად სრულად განადგურდა სააგენტოს კუთვნილი ავტომობილი „TOYOTA“, სახელმწიფო ნომრით ... და მასზე დამონტაჟებული საწამლე აგრეგატი. ავტომანქანას მართავდა მძლოლ-ოპერატორი თ. ფ-ა, რომელიც ასრულებდა სახელმწიფო პროგრამით აზიური ფაროსანის წინააღმდეგ შეამ-ქიმიკატებით შენამვლის სამუშაოებს.

15. 2019 წლის 29 მაისს სადაზღვევო კომპანიამ №8816 წერილით

## **უარი განაცხადა აღნიშნული სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაუ- რებაზე შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

15.1. მძღოლი თ. ფ-ა, რომელიც მართავდა შემთხვევის მომენტში ავტომანქანა „ტოიოტას“, საქართველოს შსს სენაკის რაიონული სამ-მართველოს მიერ შედგენილ ოქმში წერს, რომ ხანძარი გამოწვეულია გენერატორის არასწორი მუშაობით, რადგანაც აღნიშნულ მანქანაზე ანალოგიურ შემთხვევას ადრეუც ჰქონდა ადგილი სენაკის მუნიციპალი-ტეტის ძველი სენაკის ერთეულში მუშაობის დროს, დაახლოებით მაი-სის თვეში, მაგრამ უცბად ჩააქრო ცეცხლმაქრის საშუალებით ისე, რომ არაფერი დაზიანებულა, რის შემდეგაც აგრეგატი შეაკეთეს აბაშის რა-იონის სოფელ ... სატრაქტორო მექანიზაციის ბრიგადაში. მძღოლის ამ ჩვენების შესაბამისად, ცნობილი ხდება, რომ დაზღვეული ავტომანქა-ნის აგრეგატი გენერატორის არასწორი მუშაობის გამო, 2018 წლის მა-ისმიც დაზიანდა და შეკეთდა, თუმცა ამ გარემოების შესახებ, რომელ-საც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის, შემსყიდველს (სააგენტოს) მიმწოდებ-ლისთვის (სადაზღვევო კომპანია) არ უცნობებია, შესაბამისად, არ შეს-რულდა ხელშეკრულების 5.3. პუნქტის „ბ“ ან „ე“ ქვეპუნქტებით გათვა-ლისწინებული ვალდებულება;

15.2. ხელშეკრულების 5.2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, 2019 წლის 8 იანვარს სადაზღვევო კომპანიამ წერილით მოითხოვა წი-ნამდებარე წერილის პირველ პუნქტში მითითებული, არსებითად მნიშ-ვნელოვანი გარემოების და სხვა გარემოებების შესახებ დეტალური ინ-ფორმაცია/დოკუმენტაცია, ხოლო სააგენტოს პასუხი მიიღო 2019 წლის 11 მარტს. საპასუხო წერილის შინაარსიდან ვერ დგინდება, 2018 წლის მაისში ჰქონდა თუ არა ადგილი ანალოგიურ შემთხვევას გენერატორის არასწორი მუშაობის გამო გაჩენილი ხანძრის შედეგად, ასევე არ არის გაცემული პასუხი წერილში მითითებულ არცერთ კითხვაზე, შესაბამი-სად, სააგენტოს მიერ წარდგენილი არ არის საკმარისად სრულყოფილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია შემთხვევასთან დაკავშირებით და საა-გენტოს მიერ შეუსრულებელია ხელშეკრულების 5.3. პუნქტის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები;

15.3. დაზღვეული ავტომანქანის აგრეგატის დაზიანება/შეკეთება გენერატორის არასწორი მუშაობის გამო 2018 წლის მაისში, დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში, გულისხმობს, რომ ავ-ტომანქანის შეკეთება მოხდა მიმწოდებელთან შეთანხების გარეშე. სა-დაზღვევო კომპანიამ დამატებით მოითხოვა დოკუმენტურად იმის და-დასტურება, რომ აბაშის რაიონის სოფელ ... სატრაქტორო მექანიზაცი-ის ბრიგადას ჰქონდა სააგენტოს კუთვნილი ავტომანქანა „ტოიოტას“ და მასზე დამოწაფაშებული სანამლი აგრეგატის შეკეთების უფლება-

მოსილება, რაზეც პასუხი არ მიუღია. შესაბამისად, დაუდგენელი რჩება, ჩატარდა თუ არა აღნიშნული აღდგენითი სამუშაოები და, თუ ჩატარდა, ჩატარდა თუ არა ხარისხიანად, ყველა საჭირო მოთხოვნათა დაცვით, ხოლო ხელშეკრულების 11.15 პუნქტის მიხედვით, ანაზღაურების გამონაკლისი ვრცელდება ზარალზე, რომელიც გამოწვეულია სა-დაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული დაზიანებით;

15.4. სადაზღვევო კომპანიამ მოიძია ავტომანქანა „ტოიოტაზე“ და-მონტაჟებული სანამლი აგრეგატის მწარმოებელი და მასთან შედგა კო-მუნიკაცია დამდგარი შემთხვევის შესაძლო გამომწვევი მიზეზების დადგენასთან დაკავშირებით. მწარმოებლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იყო გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც შემსყიდვე-ლის მხრიდან არ იქნა დაცული. კერძოდ: სანამლი აგრეგატის ავზი, სა-დაც თავსდება დიზელში ძერეული სანამლი ნივთიერება და არის აალე-ბადი, უნდა ყოფილიყო ალუმინის მასალისგან დამზადებული და მხო-ლოდ შემდეგ შეიძლებოდა მისი დამონტაჟება აგრეგატზე. როგორც დაზღვეული მანქანის ამსახველი ფოტომასალიდან ირკვევა, აგრეგატ-ზე დამონტაჟებული იყო პლასტმასის, საკვები (და არა ნავთობპრო-დუქტის) ნივთიერებისთვის განკუთვნილი ავზი, ხოლო ხელშეკრულე-ბის 11.16 პუნქტის თანახმად, ანაზღაურების გამონაკლისი ვრცელდე-ბა ზარალსა და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავ-ტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობით;

15.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანია უარს აცხადებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ხელშეკრულე-ბის 5.2, 11.15 და 11.16 პუნქტების შესაბამისად.

16. სააგენტოს 2019 წლის 02 აპრილის №09/2283 ნერილის მიხედ-ვით, შპს „მ-შა“ და შპს „ნ-შს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შეს-ყიდვების შესახებ №1602002 და №1602001 ხელშეკრულებების მე-4 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული აგრეგატის (ULTRA FOGGER, სარე-გისტრაციონ ნომერი 122) შეკეთების ვალდებულება ჰქონდა შპს „ნ-შს“. აგრეგატი შეიძინა შპს „მ-შა“ შპს „ნ-შისგან“. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1602002 და №1602001 ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, აღნიშნული აგრეგატი დაამონტაჟა მიმწოდებელმა და მისი დაზიანე-ბის თარიღისთვის, 2018 წლის 8 სექტემბრისთვის, მასზე ვრცელდებო-და მწარმოებლის გარანტია; შესაბამისად, ხანძრის შემთხვევასთან და-კავშირებით აცნობეს მიმწოდებლის წარმომადგენლებს, რომლებმაც განახორციელეს ვიზიტი ხანძრის ადგილზე.

17. შპს „მ-შა“ და შპს „ნ-შს“ შორის 2018 წლის 16 თებერვალს გაფორ-მებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1602001 ხელშეკრულე-ბის 4.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მინწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვა-

ლისნინბულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხოლო 4.3 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებული იძლევა გარანტისა, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი ტექნიკური მახასიათებლებისა და ხარისხის თვალსაზრისით სრულ შესაბამისობაში იქნება დანართი №3-ში მოყვანილ მაჩვენებელთან. ამასთან, მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისა. დანართი №2-ში მითითებულია თერმული ნისლით დამუშავების შესანამლი მანქანა-დანადგარი, რომლის ღირებულებაა 44300 ლარი, ხოლო მითითებული ტექნიკური მახასიათებელი აღნიშნული დანადგარის არის: სამუშაო ნაზავის ავზი, პოლიეთილენის 200 ლიტრის მოცულობის – პოლიეთილენის 200 ლიტრი.

18. მფრქვეველი საქშენის მონაცემის თანახმად, მანქანაზე დასაყებელი თეთრი თერმული ნისლის დანადგარი „ULTRAFOGGER“ სპეციალურად შემუშავებულია უმაღლესი ხარისხის მასალისგან ავტომანქანაზე დასამონტაჟებლად და აღჭურვილია დისტანციური მართვის სისტემით ეფექტური დამუშავებისთვის დიდი ლია ფართობისთვის. მაღლალი წარმადობის ცხელი ნისლის გენერატორი. გამაცხელებელი სისტემა-დიზელზე მომუშავე გამაცხელებელი, ქურა დამზადებულია 310 შუჟანგავი ფოლადისგან (ძალიან მაღლალი ტემპერატურისთვის).

19. სააგენტოსთვის გაგზავნილი შსს პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს წერილის თანახმად დადგენილია, რომ მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის №068080918001 საქმეზე 2018 წლის 4 ოქტომბერს შეწყვეტილია გამოძიება სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ვინაიდან აღნიშნულ საქმეში სააგენტო მხარეს არ წარმოადგენს, ხოლო სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად, საქმის მასალების გადაცემის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ დაცვის მხარისათვის, საქმის მასალის გადაცემაზე მას განუცხადეს უარი.

20. სადაზღვევო კომპანიის 2019 წლის 08 იანვრის №207 წერილში მოპასუხე მოსარჩევეს სთხოვს მიანოდოს ინფორმაცია, რატომ არ ეცნობა სადაზღვევო კომპანიას თ. ფ-ას მიერ აღნიშნული ხანძრის შედეგად დაზიანების თაობაზე, ასევე მოითხოვს მოსარჩევემ წარადგინოს აპაშის რაიონის სოფელ ... სატრაქტორო მექანიზაციის ბრიგადასთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იყო ჩაეტარებინა აღდეგენითი სამუშაოები „ტოიოტას“ მანქანასა და მასზე დამონტაჟებულ შესანამლ აგრეგატზე; ასევე მოითხოვს ავტომანქანის შეკეთების შემდგომ შემდგარი და ხელმოწერილი მიღება-ჩაპარების აქტის ასლს, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩევის მხრიდან შე-

კეთებული ავტომანქანის ჩაბარება; ასევე მოითხოვს ინფორმაციას, შესაწამლი აგრეგატების დამონტაჟების პროცედურა განხორციელდათ თუ არა მნარმოებლის ზედამხედველობის ქვეშ, გათვალისწინებული იქნა თუ არა მნარმოებლის რეკომენდაციები მონტაჟისას, ვრცელდებოდა თუ არა დაზიანების თარიღისთვის მნარმოებლის გარანტია საწამლ აგრეგატზე, მოსარჩევის მხრიდან ინფორმირებული იქნა თუ არა მნარმოებელი აღნიშნულ ფაქტზე ხანძრის შემდეგ.

21. ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, სააგენტომ სადაზღვევო კომპანიას 2019 წლის 07 მარტის წერილით აცნობა, რომ სააგენტოს კუთვნილ „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანაზე დამონტაჟებულ შემასხურებელ აგრეგატს 2018 წლის 8 სექტემბერს გაუჩნდა ხანძრი, რის შედეგადაც სრულად განადგურდა ავტომობილი და აგრეგატი. სააგენტოსთვის უცნობია მანამდე აგრეგატსა და ავტომობილზე ხანძრის გაჩენისა და დაზიანების ფაქტი. შესაბამისად, არ მოეპოვება სააგენტოსა და სოფელ ... სატრაქტორო მექანიზაციის ბრიგადას შორის აღნიშნული აგრეგატისა და ავტომობილის შეკეთებასთან დაკავშირებით რაიმე დოკუმენტაცია. ამასთან, სააგენტომ აცნობა, რომ აგრეგატი შეიძინა შპს „მ-მა“ შპს „ნ-შისგან“. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1602002 და № 1602001 ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, აღნიშნული აგრეგატი დაამონტაჟა მიმწოდებელმა და მისი დაზიანების თარიღისთვის – 2018 წლის 8 სექტემბრისთვის მასზე ვრცელდებოდა მნარმოებლის გარანტია. შესაბამისად, ხანძრის შემთხვევასთან დაკავშირებით აცნობეს მიმწოდებლის წარმომადგენლებს, რომლებმაც განახორციელეს ვიზიტი ხანძრის ადგილზე.

22. 2018 წლის 12 ნოემბრის წერილით მოპასუხეშ მოსარჩევეს მოსთხოვა ინფორმაციის მიწოდება: მძღოლის – თ. ფ-ას თანამდებობის შესახებ, იყო თუ არა იგი ავტომანქანის მართვაზე უფლებამოსილი; რომელი დეპარტამენტია პასუხისმგებელი მანქანაზე დამონტაჟებული შესაწამლი აგრეგატების გამართულად ფუნქციონირებაზე; სრული ინფორმაცია განადგურებული აგრეგატის შესახებ (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, პასპორტი, საგარანტიო ფურცელი); ინფორმაცია აღნიშნული აგრეგატების ტექნიკური კუთხით მომსახურე ორგანიზაციის შესახებ.

23. 2019 წლის 28 სექტემბრის № 4784 წერილის თანახმად დადგენილია, რომ მოპასუხეშ წერილობით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა: შპს ს.მ.ლ. და ს.კ-იდან (ყოფილი შპს „მ-ი“) გამოითხოვოს და მოკლევა-დაში მიაწოდოს მოპასუხეს აბაშის სერვის-ცენტრს დაქვემდებარებული ... სატრაქტორო მექანიზაციის ბრიგადის მიერ, 2018 წლის მაისში, აგრეგატის გაუმართაობის გამო გაჩენილი ხანძრის შედეგად აგრეგატის დაზიანება/მეკეთებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტა-

ცია; აცნობოს 2018 წლის 8 სექტემბერს დამდგარი შემთხვევის შედე-გად დაზიანებული თერმული ნისლის აგრეგატის ULTRA FOGGER-ის სა-იდენტიფიკაციო მონაცემები და საგარანტიო პერიოდში კონკრეტუ-ლად ვის ევალებოდა აგრეგატის შეექვეთების მომსახურების განევა; ასევე მოითხოვა №1602001 და №1602002 ხელშეკრულებების ასლები და მნარ-მოებლის თერმული ნისლის აგრეგატის გარანტიის ასლი; ასევე პასუ-ხები შემდეგ კითხვებზე: განხორციელდა თუ არა აგრეგატის დამონტა-ჟების პროცედურა მნარმოებლის ზედამხედველობის ქვეშ, აგრეგატის მონტაჟის დროს გათვალისწინებული იქნა თუ არა მნარმოებლის რეკო-მენდაციები, ოფიციალურად ინფორმირებულია თუ არა მნარმოებელი აგრეგატის/ავტომობილის დაზიანების ფაქტზე.

24. მოპასუხეს სასამართლო სხდომაზე სადავოდ აღარ გაუხდია დო-კუმენტების წარუდგენლობა და აღნიშნული აღარ მიუთითებია სადაზ-ლვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უა-რის თქმის საფუძვლად. შესაბამისად, ხელშეკრულების 5.3 პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით მხარეები აღარ დავობენ.

## 25. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მი-მართ და მოითხოვა მოპასუხისტვის მოსარჩელის სასარგებლოდ:

- 25.1. ზიანის ანაზღაურების დაკისრება, 58474.85 ლარის ოდენობით;
- 25.2. პირგასამტებლოს გადახდის დაკისრება, 7902.07 ლარის ოდე-ნობით.

26. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

27. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2021 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სააგენტოს სარჩელი სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებისა და პირ-გასამტებლოს დაკისრების თაობაზე წანილობრივ დაკმაყოფილდა; მო-პასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 58474.85 ლარის ოდენობით და პირგასამტებლოს გადახდა 790.27 ლა-რის ოდენობით.

28. საქალაქო სასამართლომ დაადგინა წინამდებარე გადაწყვეტი-ლების 1-24 პუნქტებში ასახული უდავო ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, არ გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ სადაზღვევო შემთხვე-ვა გამოწვეული იყო აგრეგატის გაუმართაობით და აღნიშნულ აგრე-გატზე სადაზღვევო შემთხვევამდეც ჰქონდა ადგილი ხანძრის გაჩენის ფაქტს, აგრეთვე, მოპასუხის მოსაზრება საწვავის ავზის დაბალ ხარის-ხთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია აალება და არც მოპასუხის მი-თითება სადაზღვევო შემთხვევამდე დაზიანებების არსებობასთან და-კავშირებით.

29. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

30. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სადაზღვევო კომპანიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

31. სააპელაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენდა – დამზღვევის მიერ მაისის თვეში მომხდარი შემთხვევის შეუტყობინებლობით არსებითად დაირღვა თუ არა მზღვეველის ინტერესი.

32. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 808-ე და 814-ე მუხლებით, მიუთითა სადაზღვევო კომპანიის 2019 წლის 08 იანვრის №207 და 2019 წლის 29 მაისის №8816 წერილებზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-15 და მე-20 პუნქტები) და მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელებრ ვერ უზრუნველყო მაისის თვეში მომხდარი ხანძრის გამომწვევი მიზეზებისა თუ ბრალეულობის დადასტურება, აგრეთვე, მზღვეველისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, არსებობდა მზღვეველის მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძველი. კერძოდ, სახეზე იყო ისეთი გარემოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების დარღვევა (არასწორი ინფორმაციის მიწოდება), რომელმაც გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე (სსკ-ის 808-ე მუხლით გათვალისწინებული არსებითი გარემოებები, რომლებმაც გავლენა მოახდინა თავად სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე).

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო 814.3 მუხლით გათვალისწინებული, მზღვეველის ინტერესების არსებითი დარღვევა, რაც დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ათავისუფლებს მას სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

34. სააპელაციო პალატის განმარტებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დამზღვევის მხრიდან მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ შეტყობინებითა და ზიანის განაცხადით მიმართვის აუცილებლობა და აღნიშნული მხარეთა შეთანხმების არსებითი პირობას წარმოადგენს, ვინაიდან ხელშეკრულების მიხედვით, მზღვეველი უპირობოდ კი არ ასრულებს სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულებას, არამედ მას გააჩნია განაცხადში ასახული მოთხოვნის ნამდვილობის შემოწმების, დაზუსტების, დამზღვევის მხრიდან აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხის მიხედვით ანაზღაურების გაცემისა და შეჩერების უფლებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 812-ე მუხლით მონესრიგებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევი მზღვეველს არ შეატყობინებს ინფორმაციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.

სწორედ ზემოალნიშნულ შინაარსს შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინებაც, რომელშიც სსკ-ის 812-ე მუხლი განმარტებულია სსკ-ის 808-ე მუხლთან კავშირში [„სამოქალაქო კოდექსის 812-ე მუხლი მზღვეველის მოვალეობისაგან გათავისუფლების საფუძვლად მოიაზრებს მხოლოდ იმგვარი გარემოების მიმართ შეტყობინების ვალდებულების დარღვევას (არასწორი ინფორმაციის მიწოდებას), რომელმაც გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. ამ შემთხვევაში საუბარია არა 808-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ არსებით გარემოებებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე ან მის შინაარსზე, არამედ მხოლოდ იმ სახის გარემოებაზე, რომელმაც გავლენა მოახდინა თავად სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე”]. სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია უარს აცხადებდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე იმ დასაბუთებით, რომ დამზღვევმა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე მზღვეველს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ხელშეკრულების გაფორმებამდე შემთხვევის არსებობის შესახებ.

35. გამომდინარე აქედან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს ზემოალნიშნული განჩინებაც და სსკ-ის 812-ე მუხლიც რელევანტური იყო მოცემულ დავასთან მიმართებით, რადგან აღნიშნული მუხლით მოწესრიგებულია ის შემთხვევა, რომელიც განსახილველ საქმეშია დავის საგანი – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაქმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

36. გარდა ამისა, პალატამ მიუთითა მხარეთა შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების 5.3. პუნქტის „ბ“, „ე“, „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი) და აღნიშნა, რომ მაისის თვეში იმავე ავტომანქანას იმავე ადგილას – ძარაზე დამონტაჟებულ საწამლ აგრეგატთან გაუჩნდა ხანძარი, თუმცა მძღოლის მიერ ის მაშინვე იქნა ლიკვიდირებული. სადაცოა და ვერ დადგინდა მხოლოდ ის გარემოება, დასჭირდა თუ არა ხანძრის შემდეგ საწამლ აგრეგატს შეკეთება. დაუდგეხებელია ხანძრის გაჩენის ზუსტი თარიღი – მას ადგილი ჰქონდა 23 მაისამდე თუ მას შემდეგ (მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი), თუმცა ეს იყო მაისის თვეში. ასევე უდავოა ისიც, რომ მაისის თვეში გაჩენილი ხანძრის თაობაზე სააგენტოს არ უცნობებია არა თუ სადაზღვევო კომპანიისათვის,

არამედ – შპს „ნ-შისათვისაც“, რომლის გარანტიაც ვრცელდებოდა აგრეგატზე, ვინაიდან სააგენტოს 2019 წლის 02 აპრილის №09/2283 წერილის მიხედვით, შპს „მ-შა“ და შპს „ნ-შს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1602002 და №1602001 ხელშეკრულებების შესაბამისად, აღნიშნული აგრეგატის (ULTRAFOGGER, სარეგისტრაციო ნომერი 122) შეკეთების ვალდებულება ჰქონდა შპს „ნ-შს“. აღნიშნული აგრეგატი შეიძინა შპს „მ-შა“ შპს „ნ-შისაც“. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1602002 და №1602001 ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, აღნიშნული აგრეგატი დაამონტაჟა მიმწოდებელმა და მისი დაზიანების თარიღისთვის, 2018 წლის 8 სექტემბრისთვის, მასზე ვრცელდებოდა მწარმოებლის გარანტია, შესაბამისად, ხანძრის შემთხვევასთან დაკავშირებით აცნობეს მიმწოდებლის წარმომადგენლებს მხოლოდ მეორე ხანძრის შემდეგ.

37. სასამართლოს დასკვნის თანახმად, სწორედ ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე ავტომობილზე ორჯერ – მაისსა და სექტემბერში, ერთსა და იმავე ადგილას – ავტომობილის ძარაზე დამონტაჟებული სანამლი აგრეგატის ქვეშ ხანძრის გაჩენის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომელსაც სექტემბერში, მეორედ ხანძრის შემთხვევაში, მისი სრული განადგურება მოჰყვა, ამყარებდა იმ ვარაუდს, რაც მიუთითა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინებაში.

38. სააგენტოს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, პალატამ აღნიშნა, რომ სადაზღვევო კომპანიის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება გამორიცხავდა მის დაკავშირების გადაწყვეტილებას.

39. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

#### **40. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:**

40.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 808-ე-814-ე მუხლები;

40.2. მოწმე თ. ფ-ას ახსნა-განმარტებით არ დასტურდება, რომ ხანძარი გამოწვეული იყო აგრეგატის ტექნიკური გაუმართაობით. ამასთანავე, მაისის თვეში რომც მომხდარიყო ხანძარი, შეუძლებელია მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა მაისისა და სექტემბრის თვეში აგრეგატზე გაჩენილ ხანძარს შორის. იმ ფაქტის საფუძველზე, რომ დაახლოებით მაისის თვეში აგრეგატზე გაჩენილ ხანძარი შესაძლოა გენერატორის არასწორი მუშაობით ყოფილიყო განპირობებული, იმის მტკიცება, რომ 8 სექტემბრის ხანძრის დროს დაზიანებული იყო აგრეგატი, შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ მძღოლის ახსნა-განმარტებით, მაის-

ში გაჩენილი ხანძრის შედეგად აგრეგატი არ დაზიანებულა, ავტომანქანა მან დატოვა ... ქარხანაში და არავის თვის შეუტყობინებია ხანძრის თაობაზე. ხანძრის შედეგად გარეგნული დაზიანება არ მომხდარა და იგი იმდენად მცირე იყო, რომ არავის ჩარევა არ გახდა საჭირო. მონმეს არ ჰქონდა ინფორმაცია, შეკეთდა თუ არა აგრეგატი, მაგრამ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მაისში მომხდარი ხანძრიდან 8 სექტემბრამდე ფაქტობრივად გაუწირებლად მუშაობდა;

40.3. შპს „ნ-შის“ დირექტორის – ა. ე-ძის ახსნა-განმარტებით, აგრეგატები იყო ახალი, მუშა მდგომარეობაში და მათი მონტაჟის დროს გათვალისწინებულ იქნა მნარმოებლის ყველა რეკომენდაცია და მითითება. 2018 წლის 8 სექტემბრამდე მასზე აალებას არ ჰქონია ადგილი და ამაზე მას არ მოეპოვება ინფორმაცია. აგრეგატს მაისის თვეში რომ ჰქონდა ტექნიკური გაუმართაობა, ის ვერ იმუშავებდა გადაბმულად 3 თვის განმავლობაში. ეს არის რთული კონსტრუქციის აგრეგატი;

40.4. გასათვალისწინებელია ისკც, რომ მიმწოდებელთან – შპს „ნ. ფ.“-თან მიმოწერების შეფასების შედეგადაც არ დგინდება, კონკრეტულად დამწვარ აგრეგატს ჰქონდა თუ არა რაიმე სახის დეფექტი;

40.5. ამდენად, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ იქნა დადგენილი, რომ მაისის თვეში აგრეგატზე მომხდარი აალება გახდა შემდგომ, სექტემბერში აგრეგატზე ხანძრის გაჩენის მიზეზი. ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარია, რა გარემოებებზე დაყრდნობით მიუთითა სასამართლომ, რომ სახეზე იყო სსკ-ის 808-ე მუხლით გათვალისწინებული, მზღვეველისათვის იმგვარი სახის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა სექტემბრის თვეში სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. ამასთან, სასამართლო თვითონვე აღნიშნავს, რომ დაუდგენელია მაისის თვეში გაჩენილი ხანძრის შედეგად აგრეგატის დაზიანებისა და მისი შეკეთების ფაქტი (რომლის მტკიცების ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა);

40.6. მოსარჩევე მხარე როგორც სარჩევლში, აგრეთვე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე უთითებდა, რომ სასაგნტოს თვის ცნობილი არ არის 2018 წლის მაისის თვეში აგრეგატზე ხანძრის გაჩენის ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მისი ბრალეულობა ამ ფაქტის მზღვეველი-სათვის შეუტყობინებლობაში. გარდა ამისა, სსკ-ის 808-ე მუხლის დისპოზიცია შესაძლებლობას აძლევს მზღვეველს, დამზღვევის მხრიდან ნორმით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უარი თქვას ხელშექრულებაზე და არა – სადაზღვევო შემთხვევისანაზღაურებაზე;

40.7. სასამართლო ცდილობს დააკავშიროს სსკ-ის 808-ე და 812-ე-814-ე მუხლები და ამ მიზნით მოიხმობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა უზენაესი სასამართლო სსკ-ის 812-ე მუხლს

განმარტავს შემდეგნაირად: იმისათვის, რომ მზღვეველმა უარი განაცხადოს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე, საჭიროა შემდეგი პირობების კუმულაციურად არსებობა: 1. დამზღვევის მიერ ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების დარღვევის (მათ შორის, არასწორი ინფორმაციის მიწოდება) ფაქტის შემდგომ, მზღვეველმა უნდა მოშალოს ხელშეკრულება; 2. აღნიშნული ინფორმაციის შეუტყობინებლობამუშალო გავლენა უნდა მოახდინოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე;

40.8. საქმეში არსებული დაზღვევის ხელშეკრულებით, აგრეთვე, მისი დანართებითა და მხარეთა მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტებით არ დასტურდება მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის ფაქტი. ხელშეკრულება გაგრძელდა და შეწყდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო. ამასთან, არ დადასტურდა გარემოება, რომ მაისის თვეში მომზდარმა ხანძარმა უშუალო გავლენა მოახდინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. შესაბამისად, გაუგებარია სასამართლოს მსჯელობა, რომ, ვინაიდნა მაისის შემდგომ აგრეგატზე ხანძრის გაჩენის ფაქტს სექტემბერშიც ჰქონდა ადგილი, ეს ამყარებს ვარაუდს, რაც მიუთითა უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში. სინამდვილეში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში სრულიად საპირისპირო მსჯელობაა განვითარებული, სასამართლო იმპერატიულად მოითხოვს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარის თქმისთვის ზემოაღნიშნული 2 პირობის არსებობას. შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა არამარტო სსკ-ის 812-ე მუხლი, არამედ – უზენაესი სასამართლოს განჩინებაც და გადაწყვეტილება მტკიცებულების ნაცვლად დაამყარა ვარაუდებს;

40.9. სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა, რომ სახეზეა სსკ-ის 814-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მზღვეველის ინტერესების არსებითი დარღვევა. აღნიშნული ნორმა ეხება შემთხვევას, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევი დოროულად არ შეატყობინებს მზღვეველს ამის თაობაზე. სსკ-ის 814-ე მუხლით მოწესრიგებული საკითხი მხარეთა შორის სადავო არ არის, რადგან 2018 წლის 8 სექტემბრის სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით შეტყობინება დროულად გაკეთდა;

40.10. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და გადაწყვეტილება დაასაბუთა იმ ფაქტებსა და გარემოებზე დაყრდნობით, რაც მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ სააგენტომ არ მიაწოდა სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. სწორედ ამ ვალდებულე-

ბის დარღვევიდან გამომდინარე ცდილობს სასამართლო დაასაბუთოს სსკ-ის 808-ე, 812-ე და 814-ე მუხლების საფუძველზე სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე უარი, თუმცა სააგენტომ პირნათლად შეასრულა სახელ-შეკრულებო ვალდებულება და 2019 წლის 7 მარტისა და 2 აპრილის წე-რილებით პუნქტობრივად გასცა პასუხი სადაზღვევო კომპანიის მიერ დასმულ შეკითხვებზე და მიაწოდა მის ხელთ არსებული დოკუმენტა-ცია. ამასთანავე, მოწინააღმდეგ მხარემ საქმის მოსამზადებელ ეტაპზე დააფიქსირა, რომ სადავოდ აღარ გაუხდია დოკუმენტების წარუდგენ-ლობა და აღნიშნული აღარ მიუთითებია სადაზღვევო შემთხვევის შე-დეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძვლად.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატის 2023 წლის 27 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო სა-ჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391.5. მუხლის „ე“ ქვეპუნ-ქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

42. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შეს-წავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუ-თების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო სა-ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

43. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. სა-კასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარ-ტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მი-ღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებუ-ლად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-ბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი]. დასაბუთე-ბული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვე-ვებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოე-ბების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

44. საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია შზღვეველისათ-ვის სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების და-კისრებაზე უარის თქმის კანონიერება.

45. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია სამართლის ნორმე-ბი, არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი [სსსკ-ის 393-ე მუხლის

პირველი და მე-2 ნაწილები: საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა, თუ სასამართლომ: а) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი].

46. მოსარჩევის მოთხოვნა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ გამომდინარეობს სსკ-ის 799.1 [დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება], 820-ე [ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით], 821-ე [მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში] მუხლებიდან.

47. დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულება. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის აანაზღაურების უზრუნველყოფა (იხ. სუსგ საქმე №ას-663-624-2011, 17 თებერვალი, 2012 წელი). დამზღვევისთვის მიყენებული ზიანი აანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით და არ არსებობს მისი აანაზღაურების გამომრიცხავი გარემოებები.

48. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დამზღვევმა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის causa proxima-ს არსებობა. მეორე მხრივ, მზღვეველმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს ხელშეკრულების გამონაკლისს, რის გამოც, მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა (იხ. სუსგ საქმე №ას-1479-2019, 21 იანვარი, 2020 წელი).

49. დადგენილია, რომ 2018 წლის 8 სექტემბერს სენაკის რაიონში მოხდა სადაზღვევო შემთხვევა (ხანძარი), რომლის შედეგად სრულად განადგურდა სააგენტოს კუთვნილი ავტომობილი „TOYOTA“, სახელ-

მწიფორ ნომრით ... და მასზე დამონტაჟებული საწამლე აგრეგატი. ავტო-  
მანქანას მართავდა მძღოლ-ოპერატორით. ფ-ა, რომელიც ასრულებდა  
სახელმწიფო პროგრამით აზიური ფაროსანის წინააღმდეგ შხამ-ქიმი-  
კატებით შენამვლის სამუშაოებს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების  
მე-14 პუნქტი). დადგენილია ასევე, რომ 2019 წლის 29 მაისს სადაზ-  
ლვევო კომპანიამ №8816 წერილით უარი განაცხადა აღნიშნული სადაზ-  
ლვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე სახელმწიფო შესყიდვების შესა-  
ხებ №230/2018 ხელშეკრულების 5.3. მუხლის „ბ“, „ე“, „თ“ და „კ“ ქვე-  
პუნქტების [„ ქვეპუნქტის მიხედვით, შემსყიდველი ვალდებულია უზ-  
რუნველყოს მიმწოდებელი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად  
აუცილებელი ინფორმაციით; „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, სადაზღვე-  
ვო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში უზრუნველყოს შეტყობინე-  
ბის გაკეთება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-10  
მუხლით გათვალისწინებული წესით; „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გაუ-  
ნიოს მიმწოდებელს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მო-  
ნაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი  
დადგომის გარემოებების, შედეგების და მიყენებული ზიანის სიდიდის  
სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ  
იმოქმედოს მიმწოდებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ; „კ“ ქვეპუნ-  
ქტის თანახმად, საკუთარი უფლებამოსილების და შესაძლებლობის  
ფარგლებში ხელი შეუწყოს მიმწოდებელს მის მიერ რეგრესის უფლე-  
ბის განხორციელებაში (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-9 პუნ-  
ქტი), ასევე 11.15 და 11.16 პუნქტების [გამოწაკლისები ვრცელდება  
ზარალზე, რომელიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევის დადგო-  
მადე არსებული დაზიანებით (11.15); ზარალსა და დაზიანებაზე, რო-  
მელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების  
ტექნიკური გაუმართაობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით  
(11.16) (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 12.4 და 12.5 ქვეპუნქტე-  
ბი)] საფუძველზე.

50. საკასაციო პალატა უპირველესად იმსჯელებს სააგენტოს მიერ  
სადაზღვევო კომპანიისათვის ინფორმაციის მიმწოდების საკითხზე.

51. სსკ-ის 808-ე-813-ე მუხლები ადგენს დამზღვევის მიერ მზღვე-  
ველისათვის ინფორმაციის მიმწოდების ვალდებულებას, როგორც დაზ-  
ღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ისე მისი მოქმედებისას. აღ-  
ნიშნული ინფორმაცია მოიცავს ყველა გარემოებას, რომლებსაც არსე-  
ბითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებუ-  
ლი შემთხვევის დადგომისათვის. არსებითი მნიშვნელობისაა ის გარე-  
მოებები, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მზღვევლის გა-  
დაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეც-  
ვლილი შინაარსით. ამ ინფორმაციის შეუტყობინებლობა უფლებას აძ-

ლევს მზღვეველს მოშალოს ხელშეკრულება [სსკ-ის 808.3 მუხლი: თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის წესების საწინააღმდეგოდ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოების შესახებ, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე]. იგივე მნიშვნელობა აქვს, თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი. 811-ე მუხლი: ამ თავით გათვალისწინებული ცნობების შეუტყობინებლობიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ეს ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველმა გაიგო შეტყობინების მოვალეობის დარღვევის თაობაზე. დამზღვევს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ].

52. რაც შეეხება სსკ-ის 812-ე მუხლს, იგი იცავს დამზღვევის ინტერესებს და, მიუხედავად მზღვეველის მიერ ხელშეკრულების მოშლისა, დამზღვევს მაინც უნარჩუნებს სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებას იმ შემთხვევაში, თუ იმ გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვევლის მოვალეობის შესრულებაზე [სსკ-ის 812-ე მუხლი: თუ მზღვეველი ხელშეკრულებას მოშლის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მაშინ იგი არ თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუკი იმ გარემოებას, რომლის შესახებაც დარღვეული იქნა შეტყობინების მოვალეობა, გავლენა არ მოუხდენია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვევლის მოვალეობის შესრულებაზე]. საკასაციო პალატის განმარტებით, სსკ-ის 812-ე მუხლით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევი მზღვეველს არ შეატყობინებს ინფორმაციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას. სსკ-ის 812-ე მუხლით კანონმდებელი იცავს დამზღვევის ინტერესებს და არ ათავისუფლებს მზღვეველს თავისი მოვალეობის შესრულებისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც დამზღვევის მიერ 808-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების დარღვევა არ არის მიზეზობრივ კავშირში სადაზღვევო შემთხვევის დადგომასა და მზღვევლის მოვალეობის შესრულებასთან (იხ. სუსგ საქმე №ას-409-382-2017, 19 ივლისი, 2018 წელი).

53. სსკ-ის 814-ე მუხლით კი მოწესრიგებულია ის შემთხვევა, როდესაც დამზღვევი არ ასრულებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შეტყობინების ვალდებულებას [სსკ-ის 814-ე მუხლი: 1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს. 2. მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და მზღვევლის მოვალეობის შესრულებასთან (იხ. სუსგ საქმე №ას-409-382-2017, 19 ივლისი, 2018 წელი). 3. მზღვეველს არ შეუძლია დაეყრდნოს

შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისი უფლდება თავისი მოვალეობისა-გან, თუ დამზღვევი არ შეასრულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგ-რამ ამით მზღვევლის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა. 4. მზღვე-ველმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ]. საკასა-ციო პალატის განმარტებით, აღნიშნული მუხლი ავალდებულებს დამ-ზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე შეატყო-ბინოს ამის შესახებ მზღვეველს. თუმცა, დამზღვევის მხრიდან შეტ-ყობინების მოვალეობის შეუსრულებლობა ზიანის ანაზღაურების მო-ვალეობისაგან მაინც არ ათავისუფლებს მზღვეველს (თუნდაც ეს პი-რობა მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული იყოს), გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუტყობინებლობით მზღვეველის ინტერესები არსებითად ირღვევა (იხ. სუსგ საქმე №ას-409-382-2017, 19 ივლისი, 2018 წელი).

54. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამზღვევის მიერ 2018 წლის მაისის თვეში მომხდარი შემთხვევის შეუტყობინებლობით სახეზე იყო მზღვეველის ინტერესების არსები-თი დარღვევა, რაც ამ უკანასკნელს სსკ-ის 814.3 მუხლის შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან ათა-ვისუფლებდა.

55. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს, რადგან წინამდებარე საქმეში მოსარჩევე ითხოვს 2018 წლის სეტემ-ბრის (და არა მაისის) თვეში მომხდარი ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო ამ კონკრეტული ფაქტის თაობაზე დამ-ზღვევის მიერ მზღვეველის დროული შეტყობინება სადავო არ არის. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ სსკ-ის 814.3 მუხლზე დაყ-რდნობით სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურე-ბისაგან მზღვეველის გათავისუფლება არამართებულია.

56. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმ გარემოებას, არსებობს თუ არა სსკ-ის 812-ე მუხლის შესაბამისად ანაზღაურების მოვალეობის შესრულე-ბისაგან მზღვეველის გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან სადაზ-ღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მხოლოდ ისეთი გარემოების (და არა ყველა არსებითი გარემოების) შეტყობინების ვალდებულების დარ-ღვევა წარმოშობს სადაზღვევო თანხის გაცემის მოვალეობისაგან მზღვეველის გათავისუფლების საფუძველს, რომელმაც უშუალოდ მო-ახდინა გავლენა სადაზღვევო შემთხვევის დადგომასა და მზღვევე-ლის მოვალეობის შესრულებაზე (იხ. სუსგ საქმე №ას-657-624-2014, 10 ოქტომბერი, 2014 წელი). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნ-და დაედგინა, წარმოადგენდა თუ არა ასეთ გარემოებას 2018 წლის მა-

ისში სავარაუდოდ მომხდარი ხანძარი.

57. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2018 წლის მაისის თვეში იმავე ავტომანქანას იმავე ადგილას – ძარაზე დამონტაჟებულ საწამლ აგრეგატთან გაუჩნდა ხანძარი, თუმცა მძლოლის მიერ ის მაშინვე იქნა ლიკვიდირებული. სასამართლოს მითითებით, სადავოა და ვერ დადგინდა, დასჭირდა თუ არა ხანძრის შემდეგ საწამლ აგრეგატის შეეფება. დაუდგენელია ხანძრის გაჩენის ზუსტი თარიღი – მას ადგილი ჰქონდა 2018 წლის 23 მაისამდე (მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე) თუ მას შემდეგ, თუმცა ეს იყო მაისის თვეში; ასევე უდავოა ისიც, რომ მაისის თვეში გაჩენილი ხანძრის თაობაზე სააგენტოს არ უცნობებია არა თუ სადაზლვევო კომპანიისათვის, არამედ – შპს „ნ-შისათვისაც“, რომლის გარანტიაც ვრცელდებოდა აგრეგატზე (იხ. წინამდებარე განჩინების 36-ე პუნქტი). აღნიშნული გარემოებები სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მოწმის – ავტომანქანის მძლოლის თ. ფ-ას ჩვენებით. ამ ჩვენების თანახმად: [მოწმე] მუშაობს სურსათის ეროვნულ სააგენტოში მძლოლი-ოპერატორის თანამდებობაზე; მაისის თვის შემთხვევაზე გამოკითხული იქნა პროკურატურის მიერ; აღნიშნული შემთხვევის დროს მართავდა საჭეს; დაზიანება არ იყო, გამართული იყო ტექნიკა; უბრალოდ გაჩენდა ცეცხლი და ცეცხლმაქრით ჩააქრო მაშინვე; უშუალოდ დანადგარს გაუჩნდა ცეცხლი; სად შეეფედა, როგორ შეეფედა და შეეფედა თუ არა საერთოდ, მისთვის არ არის ცნობილი; მან უბრალოდ დატოვა მ-ში და იქ რა გააკეთეს, მისთვის უცნობია; მეორე დღეს მივიდა, ავტომანქანა გადასცეს და გაავრცელა მუშაობა; მძლოლებს აგრეგატზე შეხების უფლებაც კი არ ჰქონდათ; მაისის თვიდან ანუ აღნიშნული შემთხვევიდან 2018 წლის 8 სექტემბრამდე, სადაზლვევო შემთხვევამდე ჩვეულებრივად მუშაობდა უწყვეტად.

58. საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის 09 სექტემბრის სისხლის სამართლის საქმეზე იმავე პირის დაკითხვის ოქმი, სადაც ის აღნიშნავს, რომ: [2018 წლის 9 სექტემბერს მომხდარი] ხანძარი გამოწვეულია გენერატორის არასწორი მუშაობით, რადგანაც აღნიშნულ მანქანზე ანალოგიურ შემთხვევას ადრეც ჰქონდა ადგილი სენაკის მუნიციპალიტეტის ძეველი სენაკის ერთეულში მუშაობის დროს, დაახლოებით მაისის თვეში, მაგრამ უცბად ჩააქრო ცეცხლმაქრის საშუალებითისე, რომ არაფერი დაზიანებულა. რის შემდეგაც შეაკეთეს აგრეგატი აბაშის რაიონის სოფელ ... სატრაქტორო მექანიზაციის ბრიგადაში.

59. 2018 წლის სექტემბრის ხანძართან დაკავშირებით თ. ფ-ა დამატებით განმარტავს, რომ: „შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ავტომანქანიდან მოშორებით, უკანა მხარეს 6 მეტრი მანძილიდან ამოღებულ იქნა ავტომანქანზე დამონტაჟებული, უკვე ხანძრის შედეგად განადგურებული პოლიეთილენის 200 ლიტრის ტევადობის ავზის სახუ-

ფითავი; ადვილი შესაძლებელია აღნიშნულ ავზში დაგროვდა წნევაცუდ რელიეფურ გზაზე მოძრაობისას და წნევამ მოაძრო იგი, რის შემდეგ დიზელის სანამლავგარეული სითხე გადმოესხა 650 გრადუს ცელსიუს ტემპერატურამდე გახურებულ ღუმელს და აღნიშნულმაც განაპირობა კონკრეტული შედეგი, ასევე ადვილი შესაძლებელია აალების დროსაც მომძვრალიყო ზემოთ ხსენებული სახუფი“.

60. ზემოაღნიშნული განმარტებები წინააღმდეგობრივია. ერთ შემთხვევაში, მოწმე აღნიშნავს, რომ სექტემბრის ხანძარი გამოწვეულია გენერატორის არასწორი მუშაობით, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხანძარი შეიძლება გამოეწვია ცუდ რელიეფურ გზაზე ავზში წნევის მომატების გამო სახუფის მოძრობას. ამასთან, მაისის თვეში გაჩენილ ხანძართან მიმართებით მოწმე ერთ შემთხვევაში განმარტავს, რომ ცეცხლი უცბად ჩააქრო ცეცხლმაქრის საშუალებით ისე, რომ არაფერი დაზიანებულა, ხოლო შემდეგ დასძენს, რომ აგრეგატი შეაკეთეს აპაშის რაიონის სოფელ ... სატრაქტორო მექანიზაციის ბრიგადაში.

61. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულია. ე-ძის – შპს „ნ-შის“ დირექტორის განმარტებით: აგრეგატს რომ მაისის თვეში ჰქონდა ტექნიკური გაუმართაობა, ასეთ შემთხვევაში ის ვერ იმუშავებდა გადაბმულად 3 თვის განმავლობაში; ეს არის რთული კონსტრუქციის აგრეგატი; არ არის ცნობილი მაისის თვეში დაზიანდა თუ არა რაიმე, რა დეტალი დაზიანდა და რამ გამოიწვია ხანძარი – ეს არის წარმოუდგენელი; თუ მას ცეცხლი წაეკიდებოდა, დასჭირდებოდა სავარაუდოდ სერიოზული ჩარევა; მაგალითად, როდესაც თვითმფრინავს გაუჩნდება ცეცხლი, ის ჰაერში ვერ აფრინდება და სჭირდება სერიოზული გამოკვლევა; სწორედ ასეთი შემთხვევაა აგრეგატზე ცეცხლის გაჩენა; შეიძლება იყოს აალება და ჩააქრო, მაგრამ საჭიროა გამოკვლეულ იქნეს, რამ გამოიწვია აღნიშნული აალება; შეიძლება გარედან იყო მისხმული საწვავი; სერიოზული ტექნიკური გაუმართაობა რომ ყოფილიყო, წარმოუდგენელია ერთ საღამოში შეკეთებულიყო; თუ აღნიშნული ფაქტი მოხდა მაისში, სექტემბრამდე ვერ იმუშავებდა აგრეგატი გამართულად; წესით, წუნი უნდა გამოვლენილყო მაშინვე; უბრალოდ, გაჩერდებოდა ამ შემთხვევაში აგრეგატი და ვერ იმუშავებდა.

62. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოწმეთა ზემოაღნიშნული ჩვენებები, საქმეში სხვა მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, არა-საკმარისია 2018 წლის მაისში სანამლ აგრეგატზე სავარაუდოდ გაჩენილი ხანძრის მიზეზებისა და 2018 წლის სექტემბერში მომხდარ სადაზღვევო შემთხვევასთან მისი მიზეზედედეგობრივი კავშირის დასადგენად. ამავდროულად, დადგენილი არ არის ის გარემოება, რომ აგრეგატი ნამდვილად იყო დაზიანებული და შეკეთდა. დადგენილია, რომ 2018

წლის მაისის თვიდან სექტემბრის თვემდე მას მუშაობის შეფერხება არ ჰქონია.

63. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის სადაზღვევო თანხის გადახდისაგან მზღვეველის გათავისუფლების სსკ-ის 812-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობა, ასევე საკუთარი მოვალეობის შესრულებისაგან მზღვეველის გათავისუფლების ხელშეკრულების 5.3 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები.

64. ამასთან, ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება ხელშეკრულების 11.15 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევის არსებობაც, რომლის თანახმად, ანაზღაურების გამონაკლისი ვრცელდება ზარალზე, რომელიც გამოწვეულის დადგომამდე არსებული დაზიანებით.

65. რაც შეხება ხელშეკრულების 11.16 პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევას, რომლის თანახმად, ანაზღაურების გამონაკლისი ვრცელდება ზარალსა და დაზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართობით, არასაგზაო პირობებში ექსპლუატაციით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გამონაკლისი ეხება ავტომანქანის და არა – აგრეგატის ტექნიკურ გაუმართობას.

66. საკასაციო პალატის განმარტებით, ხელშეკრულებაში საგამონაკლისო ნორმების იმპლემენტაციის დანიშნულებაა ამომწურავად განისაზღვროს იმ გარემოებათა /ქმედებათა წრე, რაც მზღვეველის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ყველა სხვა შემთხვევა კი დამზღვევის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საგამონაკლისო შემთხვევების გაფართოების დაშვება ენინააღმდეგება ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმების ჩართვის მიზანს. მხარეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში დებენ რა ხელშეკრულებას, თავადვე განსაზღვრავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების იმპერატიულ და დისპოზიციურ წესებს, რომელსაც ორივე მხარე განუხერელად უნდა დაემორჩილოს და იცავდეს. საგამონაკლისო დათქმები სადაზღვევო ხელშეკრულების სწორედ იმპერატიულ დანაწესთა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელიც სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისათვის დაუშვებლად მიჩნეულ ქმედებათა სრულ სპექტრს განსაზღვრავს (იხ. სუსგ საქმე №ას-1147-1067-2017, 29 დეკემბერი, 2017 წელი).

67. თუმცა, მხარეთა შორის 11.16 პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურების გამონაკლისის აგრეგატზე გავრცელების შემთხვევაშიც, არ დასტურდება, რომ აგრეგატი ტექნიკურად გაუმართავი იყო.

68. აღნიშნული ფაქტის დადასტურებას მზღვეველი ცდილობს სანამლი აგრეგატის მნარმოებელთან საკუთარი კომუნიკაციის ამსახვე-

ლი მასალით, რომლის თანახმად, მწარმოებლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იყო გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც შემსყიდვების მხრიდან არ იქნა დაცული, კერძოდ: სანამლი აგრეგატის ავზი, სადაც თავსდება დიზელში შერეული სანამლი ნივთიერება და არის აალებადი, უნდა ყოფილიყო ალუმინის მასალისგან დამზადებული და მხოლოდ შემდეგ შეიძლებოდა მისი დამონტაჟება აგრეგატზე; როგორც დაზღვეული მანქანის ამსახველი ფოტომასალიდან ირკვევა, აგრეგატზე დამონტაჟებული იყო პლასტმასის, საკვები (და არა ნავთობპროდუქტის) ნივთიერებისთვის განკუთვნილი ავზი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 15.4. ქვეპუნქტი).

69. საქმეში წარმოდგენილია ასევე მწარმოებელთან ელექტრონული მიმოწერა, საიდანაც ირკვევა, რომ მწარმოებლისთვის არავის მიუნიდებია ინფორმაცია, რომ მანქანას (ნისლის გენერატორს) ჰქონდა გარკვეული პრობლემა და ამიტომ დააწვა. მწარმოებლის განმარტებით: შემსყიდველს არ შეუძნია სათადარიგო ნაწილები და დანადგარში დადო დაბალხარისხიანი ავზი. ეს ავზი ძალიან დაბალხარისხიანია – 2 მმ, ის არ არის 10 მმ. მწარმოებლის ვარაუდია, რომ დანადგარი დაიწვა იმიტომ, რომ ის მუშაობდა 600-700 გრადუსზე და დანადგარზე იდო 2 მმ-იანი, ცუდი შემცველობის ავზი (მასში არის დიზელი + ინსექტიციდი).

70. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს, რომ აგრეგატის შეძენა მოხდა შპს „მ-სა“ და შპს „ნ-შს“ შორის 2018 წლის 16 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის № 1602001 ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც დაიდო 2018 წლის 23 მაისს დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-16 და მე-17 პუნქტები). შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული იყო სწორედ ის აგრეგატი, რომლის შეძენაც მოხდა.

71. შპს „მ-სა“ და შპს „ნ-შს“ შორის 2018 წლის 16 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1602001 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, ხოლო 4.3 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი ტექნიკური მახასიათებლებისა და ხარისხის თვალსაზრისით სრულ შესაბამისობაში იქნება დანართ № 3-ში მოყვანილ მაჩვენებელთან. ამასთან, მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების, არ იქნება დაზიანებული (არ გამოალენს ხარვეზს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. დანართი № 2-ში მითითებულია თერმული ნისლით დამუშავების შესანამლი მანქანა-დანადგარი, რომლის ღირებულებაა 44300 ლარი, ხოლო აღნიშნული დანადგარის ტექნიკური მახასიათებელია: სამუშაო ნაზავის ავზი, პოლი-

ეთილენის 200 ლიტრის მოცულობის – პოლიეთილენის 200 ლიტრი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტი).

72. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული მპს „ნ-შის“ დირექტორის ა. ე-ძის განმარტებით: რაც შეეხება იმას, რომ ავზი უნდა ყოფილიყო უჟან-გავი ლითონის, ეს არსად ეწერა. შესყიდვის დროს განერილი იყო როგორი ავზი, რა მასალის და რა მოცულობის უნდა ყოფილიყო. მოთხოვნა, რომ ავზი ყოფილიყო რკინის, არსად იყო მითითებული. ავზი იყო პოლიეთილენის, რკინა ნამდვილად არ ყოფილა. მოთხოვნა, რაც იყო, მოხდა იმის მიხედვით შეძენა და დამონტაჟება. აგრეგატი უკვე ნაყიდი იყო და შემდეგ მოხდა ავზის შეძენა. ავზის შეძენა მოხდა ცალკე. მწარმოებელი ყიდის მხოლოდ აგრეგატს. ავზი მწარმოებლის კომპეტენცია არ არის. მწარმოებელი პასუხისმგებელია აგრეგატზე. მოთხოვნა იყო 200-ლიტ-რიანი პოლიეთილენის ავზი. მწარმოებლისგან მიიღეს სქემატურად მისი ხედვა – როგორ უნდა მომხდარიყო და სად დამონტაჟებულიყო ავზი, თუმცა ვალდებულება ამის, როგორ უნდა განეხორციელებინათ მონტაჟი, მიმწოდებელს არ ჰქონია. მწარმოებელთან ავზის მიღლიმეტ-რაჟზე საუბარი არ ყოფილა. ავზის ხარისხი იზომება შრეების მიხედვით. ეს ავზი იყო ახალი. შრეების რაოდენობა მითითებული არ ყოფილა მოთხოვნაში, მაგრამ იყო პოლიეთილენის. შეძენა მოხდა საქართველოში ერთ-ერთ დიდ მწარმოებელთან – „ნ.“-სთან, რომელიც ანარმოებს სწორედ ასეთ ავზებს და ალნიშნული ავზი, როგორც ახსოვს, იყო 2-შრიანი. მწარმოებელს ავზზე რაიმე შენიშვნა არ ჰქონია. აქვე განმარტა, რომ ავზის ქვეშ მოთავსებულია ქურა, რაც იწვევს ტემპერატურის მომატებას. უჟანგავი ფოლადის სწორედ ეს ქურა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება).

73. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სამეცნიერო-ზემო სვანეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2018 წლის 28 სექტემბრის სახანძრო-ტექნიკური და სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, შემთხვევის ადგილის შესწავლისას დადგინდა, რომ სენაკის რაიონის სოფელ ... , ... უბანში მოძრავ, თ. ფ-ას მართვის ქვეშ მყოფ საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს „ტოიოტას“ მარკის ს/ნ ... ავტომანქანაში ხანძრის გაჩერის კერისათვის დამახასიათებელი ინტენსიური წვით გამოწვეული დაზიანების ზონა მდებარეობს ავტომანქანის უკანა მხარეს, ლია ძარაზე მოთავსებული აზიური ფარისანას შესანამლი მოწყობილობის – 200-ლიტ-რიანი ავზის ქვემოთ, გენერატორთან და ღუმელთან. 2. შემთხვევის ადგილის შესწავლისას და ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2018 წლის 8 სექტემბერს სენაკის რაიონის სოფელ ... , საწულეისკიროს უბანში მოძრავ, თ. ფ-ას მართვის ქვეშ მყოფ

საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს „ტოიოტას“ მარკის ს/ნ ... ავტომანქანაში ხანძრის გაჩეზის მიზეზია გამოჟონილი საწვავის კონტაქტი ელექტრონულ ნაპერნეკალთან ან ცხელ ზედაპირთან. 3. ავტომანქანის ძარიდან ამოლებულ ანანმენდებზე აღმოჩნდა ნავთობპროდუქტების კვალი, რომლის სახეობის დადგენა შეუძლებელია, მისი კვალის სახით არსებობის, თერმული ზემოქმედების შედეგად მომხდარი სახეცვლილებისა და აორთქლების გამო. 4. კვლევის შედეგად დადგნდა, რომ №2 ობიექტზე ელექტროტექნიკური მიზეზებით: გარდამავალი წინაღობით, მოკლე ჩართვით ან გადატვირთვით გამოწვეული დაზიანებები არ ფიქსირდება, სადენების იზოლაციის განადგურება და შემურვის ნიშნები გამოწვეულია ხანძრის თერმული ზემოქმედებით.

74. ამრიგად, ექსპერტიზის დასკვნით არ ირკვევა, რომ აალების მიზეზი აგრეგატის ტექნიკური გაუმართაობა იყო. მოთხოვნა, რომ ავზი ლითონის უნდა ყოფილიყო, საქმის მასალებით არ დასტურდება. რაც შეეხება ავზის შრეების რაოდენობას, აღნიშნულის თაობაზე წარმოდგენილია მხოლოდ აგრეგატის მწარმოებლის მოსაზრება ელექტრონული მიმოწერის სახით. სხვა მტკიცებულება ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრის თაობაზე საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ აგრეგატი გაუმართავი იყო და ამის მიზეზს ავზის დაბალხარისხიანობა წარმოადგენდა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული იყო ზუსტად ეს აგრეგატი.

75. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანი გამოწვეულია მხარეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით და არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მიერ მითითებული ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოება, რის გამოც დაზღლვევს სრულად უნდა აუნაზღაურდეს ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანი.

76. დადგენილია, რომ 2018 წლის 8 სექტემბერს სენაკის რაიონში მომხდარი ხანძრის შედეგად სრულად განადგურდა სააგენტოს კუთვნილი ავტომობილი „TOYOTA“, სახელმწიფო ნომრით ... და მასზე დამონტაჟებული სანამლი აგრეგატი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14 პუნქტი). დამზღვევის მიერ საქმეში წარგენილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №230/2018 ხელშეკრულების დანართი №1-ის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 20424 ლარს, ხოლო აგრეგატის – 38 050.85 ლარს. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სააგენტოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობამ ჯამში შეადგინა 58 474,85 ლარი, რაც უნდა დაეცისროს მზღვეველს.

77. რაც შეეხება მზღვეველისთვის პირგასამტკებლოს დაკისრების

საკითხეს [სსკ-ის 417-ე მუხლი: პირგასამტებლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემუნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის], საკასაციო პალატა მიუთითებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 16.2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

78. განსახილველ შემთხვევაში სააგენტოს კუთვნილ ავტომობილსა და მასზე დამონტაჟებულ საწამლა აგრევატზე გაჩენილი ხანძრის – სა-დაზღვევო შემთხვევის შედეგად ნარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე მზღვეველმა უსაფუძვლოდ განაცხადა უარი, შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიამ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რაც მისთვის პირგასამტებლოს დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს.

79. გამომდინარე აქედან, სადაზღვევო კომპანიას სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირგასამტებლოს – 7 902,07 ლარის გადახდა, რაც სრულად უზრუნველყოფს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტებლოს ფუნქციის შესრულებას.

80. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

81. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაპრუნების საფუძვლები. ამავე კოდექსის 412.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

82. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სააგენტოს სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს; სადაზ-

ღვევო კომპანიას სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სადაზ-ღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სა-ხით, 58 474,85 ლარისა და პირგასამტებლოს – 7 902,07 ლარის გადახდა.

83. სსსკ-ის 53.1. მუხლის პირველი წინადადების საფუძველზე [იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო პიუვეტში სასამარ-თლო ხარჯების გადახდისაგან], სადაზღვევო კომპანიას სააგენტოს სა-სარგებლოდ უნდა დაეკისროს 5 594,71 ლარის გადახდა ამ უკანასკნე-ლის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახ-დილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **ვ ა ღ ა ნ დ ვ 3 0 ტ ა:**

1. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკ-მაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2022 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაქმაყოფილდეს;
4. სს „ს.კ.პ-შ“ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, 58 474,85 ლარის გადახდა;
5. სს „ს.კ.პ-შ“ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტებლოს – 7 902,07 ლარის გადახდა;
6. სს „ს.კ.პ-შ“ (ს.კ. ...) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს (ს.კ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს 5 594,71 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

## 9. თავდეპორა

თავდეპორის მიღების პრედიტორის დაკავყოფილების შედეგები

განჩინება  
საქართველოს სახელით

№ას- 1094-2022

28 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),  
თ. ზამბახიძე (მომხსენებელი),  
რ. ნადარაია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. პ. მ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელი“) სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ს.ქ.წ-ბის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „სამენარმეო საზოგადოება“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 208 230.15 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა (სამენარმეო საზოგადოების ნაცვლად სს „ბ-სთვის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „ბანკი“) გადახდილი თანხები) და 203 015.93 ლარის (სამენარმეო საზოგადოების ნაცვლად გადახდილი კომუნალური გადასახადები – 196015.93 ლარი და სახელმწიფო ბაჟი – 7000 ლარი) გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. 24.05.2013 წელს გაფორმებული კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ №24.05/13 გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე ბანკსა და სამენარმეო საზოგადოებას შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების (№2013-05-30/0013/BSN/105217/001; №2013-06-11/0007/BSN/105217/002) მიხედვით, სამენარმეო საზოგადოებისთვის მიცემული კრედიტების ნაწილი – 15 650.18 აშშ დოლარი დაფარა მოსარჩელემ, როგორც თავდებმა. მოსარჩელემ გადაიხადა 30.06.2016 წელს ბანკსა და სამენარმეო საზოგადოებას შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დამტკიცებული მორიგების აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამენარმეო საზოგადოების ფულადი ვალდებულების ნაწილი – 192 579.97

აშშ დოლარი. მოსარჩელემ ბანკს ჯამურად გადაუხადა 208 230.15 აშშ დოლარი (აქედან 15 650.18 აშშ დოლარი, როგორც თავდებმა).

2.2. 01.01.2014 წლიდან 09.11.2020 წლამდე მოსარჩელემ დაფარა სამეწარმეო საზოგადოების კომუნალური გადასახადები, კერძოდ: а) სს „თ-ს“ გადაუხადა მოხმარებული ელენერგიის ღირებულება 69988.74 ლარი; ბ) შპს „ჯ.უ.ე.ფ-შ“ – მოხმარებული წყლის ღირებულება 6025.84 ლარი; გ) შპს „ყ-ს“ – მოხმარებული გაზის ღირებულება 117502.99 ლარი; დ) „დასუფთავების სამსახურს“ – მომსახურების ღირებულება 2498.36 ლარი. ჯამურად მოსარჩელემ გადაიხადა კომუნალური გადასახადები 196015.93 ლარის ოდენობით.

2.3. 03.05.2016 წლს, სამეწარმეო საზოგადოების ნაცვლად, მოსარჩელემ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 7000 ლარი.

2.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 986-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. ქონებრივი შეღავათი უნდა დაუბრუნდეს იმ პირს (მოსარჩელეს), რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის (მოპასუხის) უსაფუძვლო გამდიდრება. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიზნის – ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობისა და სამართლიანობის აღდგენის მიღწევისათვის სამეწარმეო საზოგადოებამ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს ამ უკანასკნელის მიერ მობასუხის საკრედიტო ვალდებულების შესასრულებლად ბანკისთვის გადახდილი თანხა, ასევე – მოპასუხის კომუნალური ხარჯის დასაფარად გადახდილი თანხა და მოპასუხის ნაცვლად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

2.5. სსკ-ის 991-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. სამეწარმეო საზოგადოების ნაცვლად მითითებული თანხების გადახდა მოსარჩელეს არ ევალებოდა. მოსარჩელე არის მოპასუხის 10%-ის წილის მესაკუთრე. 2010 წლიდან 2020 წლის ივნისამდე იყო ღირებულობიც, რის გამოც მის ინტერესებში შედიოდა თავიდან აერიდებინა სამეწარმეო საზოგადოების მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე ნეგატიური შედეგი.

### 3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხებმ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელის, როგორც დირექტორის, მიერ არასწორად შესრულებული საგადასახადო ოპერაციების შედეგად სამეწარმეო საზოგადოებას 2013 წლიდან წარმოეშვა საგადასახადო დავალიანება, ამის საფუძველზე 08.05.2014 წლიდან წარმოეშვა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა მთელ ქონებაზე, ხოლო 10.10.2016 წლიდან – ყადაღა უძრავ და მოძრავ ქონებაზე

შემოსავლების სამსახურის მიმართვის საფუძველზე. შემოსავლების სამსახურმა 12.03.2018 წელს მიმართა სასამართლოს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ.

3.2. სესხს მოსარჩელე ფარავდა სამენარმეო საზოგადოების ფულადი სახსრებით, როგორც დირექტორი. მოპასუხე მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად საფასურს იღებდა ნალი ანგარიშსნორების გზით და დირექტორს გადაეცემოდა თანხა. აღნიშნული პრაქტიკა განსაკუთრებით დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც მოსარჩელის, როგორც დირექტორის, მიერ არასწორად განხორციელებული საგადასახადო ოპერაციების შედეგად სამენარმეო საზოგადოებას 2013 წლიდან წარმოეშვა საგადასახადო დავალიანება. აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობა შეფერხდა და ფულადი სახსრების მოძრაობა ვეღარხერხდებოდა სამენარმეო საზოგადოების საბანკო ანგარიშზე. ოპერაციების რულდებოდა ნალი ანგარიშსნორების გზით, მათ შორის, პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხას იღებდნენ მმართველი პირები – მოსარჩელე, თ. ბ-ვი, გ. ბ-ვი, რომელიც შემდგომ ფარავდნენ მოპასუხის საბანკო, კომუნალურებისა და სახელფასო დავალიანებას, კერძოდ, მოპასუხე 01.05.2015 წლიდან 12.12.2019 წლამდე პროდუქციას აწვდიდა შპს „ჯ. ბ-ს“, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში ჯამურად მიაწოდა 6981597.49 ლარის პროდუქცია; 01.01.2019 წლიდან 22.09.2020 წლამდე მოპასუხებ შპს „ბ-ს“ მიაწოდა 2234235.38 ლარის პროდუქცია. აღნიშნული სუბიექტები მოპასუხის მოთხოვნით ახორციელებდნენ ნალი ანგარიშსნორებას და მოპასუხისთვის მისაღებ თანხებს ნალი ანგარიშსნორების ან/და მათ პირად ანგარიშზე თანხის შეტანის გზით გადასცემდნენ მოპასუხის მმართველ პირებს – მოსარჩელეს, თ. ბ-ვს, გ. ბ-ვს. ბანკიდან 13.02.2017 წლიდან 13.02.2019 წლამდე ამონანერით დასტურდება, რომ ამ პერიოდის განმავლობაში თ. ბ-ვს მოპასუხის ბანკის მიმართ არსებული საკრედიტო დავალიანების დაფარვის მიზნით გადახდილი აქვს 181131.75 აშშ დოლარი.

3.3. იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს სამენარმეო საზოგადოების ნაცვლად არ შეუსრულებია ვალდებულებები და გადახდები წარმოებდა მოპასუხის ფულადი სახსრებით, ადასტურებს ისიც, რომ მოსარჩელეს, როგორც დირექტორს, აღნიშნული თანხები ბუღალტრულად არ აღურიცხავს, როგორც მის მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანება. ამასთან, ბუნდოვანი და გაუგებარია, თუ ეს თანხები მისაღები ჰქონდა მოსარჩელეს, რატომ არ განახორციელა გადახდები საკუთარი თავის სასარგებლოდ, როდესაც ის თავად იყო დირექტორი და ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდა.

3.4. მოპასუხე არ ეთანხმება მოსარჩელის პოზიციას, რომ მოსარჩელემ 30.06.2016 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამ-

ტკიცებული მორიგების აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამენარ-მეო საზოგადოების ფულადი ვალდებულების ნაწილი – 192579.97 აშშ დოლარი გადაიხადა. თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონანერით დასტურდება, რომ, მაგალითად, 01.08.2019 წელს თ. ბ-ვმა მოსარჩელის ანგარიშზე შეტანა 4100 აშშ დოლარი, 12.08.2019 წელს გ. ბ-ვმა – 12985 აშშ დოლარი, 12.10.2019 წელს თ. ბ-ვმა – 12500 აშშ დო-ლარი, 16.01.2020 წელს თ. ბ-ვმა – 3000 აშშ დოლარი, საიდანაც სრულ-დებოდა მოპასუხის ფულადი ვალდებულებები. აღნიშნული თანხების მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე შეტანის ერთადერთ საფუძველს წარ-მოადგენდა ის გარემოება, რომ მას, როგორც დირექტორს, შეესრულე-ბინა მოპასუხის ფულადი ვალდებულებები. მოსარჩელე კომუნალურ გადასახადებსა და სახელმწიფო ბაჟსაც სამენარმეო საზოგადოების ფულადი სასხლებით იხდიდა. ამასთან, როგორც მოსარჩელისვე წარ-მოდგენილი სააპელაციო სასამართლოს 30.06.2016 წლის განჩინებით დასტურდება, აღნიშნულ საქმეზე მხარეები მორიგდნენ და სახელმწი-ფო ბაჟის 50% – 3500 ლარი დაუბრუნდა სამენარმეო საზოგადოებას.

3.5. ამასთან, ბანკის წინაშე საკრედიტო ვალდებულების შესრულე-ბის წანილში, რომც დავუშვათ, მოსარჩელე საკუთარ თანხას იხდიდა მოპასუხის სასარგებლოდ, იგი გახლდათ ამ საკრედიტო ვალდებულე-ბის სოლიდარული თავდები, შესაბამისად, მისი გადახდები კვალიფი-ცირდება, როგორც თავდების მიერ გადახდა. მოთხოვნა გამომდინარე-ობს სსკ-ის 905-ე მუხლიდან და მასზე ვრცელდება სახელშეკრულები მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამრიგად, მოთხოვნა ამ წანილში ხანდაზმულია.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარე-ზოლუციო წანილი და საფუძვლები:**

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგის 12.01.2022 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი არ დაკმა-ყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგას:

4.1. მოსარჩელე არის სამენარმეო საზოგადოების 10%-ის წილის მფლობელი, ხოლო 2010 წლიდან 2020 წლის ივნისამდე ეკავა დირექ-ტორის თანამდებობა.

4.2. 24.05.2013 წელს გაფორმებული კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ №24.05/13 გენერალური ხელშეკრულების სა-ფუძველზე 30.05.2013 წელს ბანკსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (№201305-30/0013/BSN/105217/ 001), რომლის საფუძველზე სამენარმეო საზოგადოებას მიეცა 440 000 აშშ დოლარის კრედიტი (სარგებელი წლიური 12%).

4.3. 24.05.2013 წელს გაფორმებული კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ №24.05/13 გენერალური ხელშეკრულების სა-

ფუნქციელზე 12.06.2013 წელს ბანკსა და მოპასუხეს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (№201306-11/0007/BSN/105217/002), რომლის საფუძველზეც სამენარმეო საზოგადოებას მიეცა 360 000 აშშ დოლარის კრედიტი (სარგებლი წლიური 13%).

4.4. 30.05.2013 წელს ბანკსა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა თავ-დებობის ხელშეკრულება №24.05/13-3. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელე (თავდები) კრედიტორის ნინაშე თავდებად დაუდგა და სოლიდარული პასუხისმგებლობა იკისრა ძირითადი მოვალის – სამენარმეო საზოგადოების მიერ კრედიტორთან 24.05.2013 წელს დადებული №24.05/13 კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად (ხელშეკრულების 1.1. პუნქტი).

4.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.2016 წლის განჩინებით დამტკიცდა მორიგება ბანკსა და მოპასუხეს შორის, რომლის თანახმად, მოპასუხემ იკისრა ბანკისთვის 807 381 აშშ დოლარისა და 78 ცენტის (ძირითადი დავალიანება 704 637 აშშ დოლარი და 57 ცენტი; პროცენტი – 102 744 აშშ დოლარი და 21 ცენტი; პირგასამტეხლო – 6 480 აშშ დოლარი და 17 ცენტი) გადახდის ვალდებულება.

4.6. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ საკუთარი, არამედ მოპასუხის ფულადი სახსრებით ასრულებდა სამენარმეო საზოგადოების მიმდინარე ვალდებულებებს.

4.7. მოსარჩელეს არ მიუთითებია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.2016 წლის განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები დაირღვა და ბანკმა მიმართა სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით. ამდენად, გაურკვეველია, რატომ შეასრულა მოსარჩელემ, როგორც თავდება, ვალდებულება, როდესაც ძირითადი მსესხებელი გადამხდელუნარიანი იყო.

4.8. საქმეში ნარმოდგენილი ამონაწერები მოწმობს, რომ სესხის ხელშეკრულების ფარგლებში ბანკის სასარგებლოდ თანხებს იხდიდა, როგორც მოსარჩელე, ასევე – მოპასუხის ერთ-ერთი პარტნიორი, თ. ბ-ვი.

4.9. მოპასუხის მიერ წარმოდგენილია მ. გ-ის ხელწერილი, რომელიც მოპასუხის დაფუძნების დღიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით დასაქმებული იყო სამენარმეო საზოგადოებაში; მისი საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოპასუხის საგადასახადო ოპერაციების წარდგენით, მის ყოველდღიურ საქმიანობაში უშუალოდ არ ყოფილა ჩართული და ყოველდღიურ ბუღალტრულ აღრიცხვას არ აწარმოებდა; მან 11.10.2019 წელს, იმდროინდელი დირექტორის თხოვნისა და მოწმდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, მოამზადა ბუღალ-

ტრულ პროგრამა „ორისში“ ბრუნვითი უწყისი; მ. გ-მა დააფიქსირა პოზიცია, რომ მოწოდებული დოკუმენტაცია არ იყო სრული და სწორი, შესაბამისად, პროგრამა „ორისში“ მომზადებული დოკუმენტი ვერ იქნებოდა სწორი და სრულყოფილი; დირექტორის მიერ მ. გ-შ განემარტა, რომ მოწოდებული დოკუმენტს მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ სამენარმეო საზოგადოებას ეწარმოებინა მოღაპარაკებები სს „ს. ბ-ში“ კრედიტის აღების მზნით, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა, მათ შორის არასრული ბრუნვითი უწყისი; მ. გ-ი ადასტურებს, რომ მის მიერ 11.10.2019 წელს მომზადებული ბრუნვითი უწყისი პროგრამა „ორისში“ არ არის სრულყოფილი და არ ასახავს მოპასუხის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას.

4.10. ა. მ-ძე ხელნერილით ადასტურებს შემდეგს: 1. 2020 წლის ივლისის თვიდან იკავებდა სამენარმეო საზოგადოების ბუღალტრის თანამდებობას; მისთვის 2020 წლის ივლისში გადაცემული დოკუმენტაციით და ინფორმაციით ცალსახა იყო, რომ ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით; აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს თავად ყოფილი ბუღალტერი მ. გ-ი, რომელიც განხმარტავს, რომ ბუღალტრული აღრიცხვა 2020 წლის ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა მისთვის ყოფილი დორექტორისგან, მოსარჩელისგან, არასრულად მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე; ბუღალტრულ პროგრამაში სწორად არ იყო ასახული სამენარმეო საზოგადოების დეპიტორების შესახებ ინფორმაცია, შეს „ჯ. ბ-ისგან“ მოპასუხისთვის გადახდილი დეპიტორული დავალიანება, რომელიც განხორციელდა ნაღვი ანგარიშსწორებით და დასტურდება შეს „ჯ. ბ-სა“ და სამენარმეო საზოგადოებას შორის გაფორმებული შედარების აქტით, ჯამური თანხა, 2 725 454.00 ლარი, არ იყო ასახული, როგორც ფულადი სახსრების შემოსვლა. აღნიშნული თანხები მოპასუხის ანგარიშებზე გატარებული იყო მხოლოდ საქვეანგარიშოდ, ანგარიშვალდებული პირებისგან (მოსარჩელე, თ. ბ-ვი) გადახდები, რითაც იფარებოდა სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებები, რაც არ იყო სწორი და არ შეესაბამებოდა რეალობას. შესაბამისად, შეს „ჯ. ბ-ის“ გადახდების საფუძველზე დაკორექტირდა ანგარიშვალდებულ პირებზე, თ. ბ-ვასა და მოსარჩელეზე არსებული ნაშთები და ბუღალტრული აღრიცხვა შესაბამისობაში მოვიდა არსებულ რეალობასთან. ა. მ-ძე ადასტურებს, რომ დღევის მდგომარეობით, ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით, სამენარმეო საზოგადოებას მოსარჩელის მიმართ არანაირი დავალიანება არ ერიცხება; 2020 წლის ივლისიდან, ახალი დირექტორის, გ. ბ-ვის, ძალისხმევით მოხდა ფინანსური აღრიცხვის გენერირება და კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობაში მოყვანა.

4.11. საქალაქო სასამართლოს მითითებით, რომც დავუშვათ, რომ

მოსარჩელე საკუთარ ფულად სახსრებს იხდიდა სამენარმეო საზოგადოების სასარგებლოდ, მოთხოვნა ამ ნაწილში არის ხანდაზმული, რადგან საქმეში წარმოდგენილი საბანკო ამონანერით ირკვევა, რომ მოსარჩელის ანგარიშის გავლით ბანკში 13.01.2014 წელს, 30.01.2014 წელს, 29.08.2014 წელს, 31.12.2015 წელს არის გადახდილი მითითებული თანხები. ამონანერით არ ირკვევა დანიშნულება, ის, რომ მოსარჩელე აღნიშნულს, როგორც თავდები, ისე იხდიდა. დანიშნულებაში მითითებულია შემდეგი: „შემოსავალი მოქალაქეთა ანაბრებზე“. მოსარჩელე იყო ხსენებული საკრედიტო ვალდებულების სოლიდარული თავდები, შესაბამისად, მისი გადახდები კვალიფიცირდება, როგორც თავდების გადახდები და მისი მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 905-ე მუხლიდან. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის გადა შეადგენს სამ წელს. მოსარჩელის მიერ, როგორც თავდების, ბანკის წინაშე პოლო გადახდა შესრულებულია 31.12.2015 წელს. თავდების მოთხოვნაც ამ პერიოდს ემყარება. მოსარჩელის მიერ სარჩელი აღძრულია 18.06.2021 წელს, შესაბამისად, მოთხოვნა ხანდაზმულია.

4.12. მოცემული დავის ფარგლებში დასადგენი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (უსაფუძვლოდ გამდიდრება), საბანკო ამონანერები არ წარმოადგენს სამართლებრივი ღირებულების მქონე საკმარის მტკიცებულებას, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა სარჩელის დაკმაყოფილებას. როგორც საქმის მასალები მოწმობს, მოსარჩელეს დირექტორობის შემდგომ პერიოდში მოპასუხის სასარგებლოდ თანხები აღარ გადაუხდია, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი გარემოებაა, რომ ის, როგორც დირექტორი, ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და სამენარმეო საზოგადოების მიმდინარე ვალდებულებების ფარგლებში იხდიდა მოპასუხის კუთვნილ თანხებს. სასამართლოს შეფასებით, დირექტორის მიერ სამენარმეო საზოგადოების მართვის პროცესში გადახდილი თანხები არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს უსაფუძვლო გამდიდრებად.

4.13. სსკ-ის 986-ე მუხლის მიხედვით, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოსთვის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებას (მითითებას) სუბსიდიური ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს ერთი პირის გამდიდრებას მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც თავიდანვე არ არსებობდა ან შემდგომში

მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე. ხელყოფის კონდიქციისთვის გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მოპოვებული ქონებრივი შეღავათი სხვას (კონდიქციის კრედიტორს) ეკუთვნოდა.

4.14. მოსარჩელე მოითხოვს, მისი სახელით 01.01.2014 წლიდან 09.11.2020 წლამდე გადახდილი მოპასუხის კომუნალური გადასახადების ანაზღაურებას. სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნას არ გააჩნია ვარგისი იურიდიული საფუძველი. მისარჩელემ ვერ დაამტკიცა, თუ რატომ იხდიდა იგი კუთვნილ თანხებს სამენარმეო საზოგადოების სასარგებლოდ შეგნებულად ან შეცდომით. მოსარჩელემ მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მიუთითა, რომ გადახდილი ფულადი სახსრები მოჰქონდა საკუთარი შემოსავლის წყაროდან, სოფლის მეურნეობიდან, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

4.15. საქმეში წარმოდგენილია ცნობები მიმის თაობაზე, რომ მოპასუხე 01.05.2015 წლიდან 12.12.2019 წლამდე პროდუქციას აწვდიდა შპს „ჯ. ბ-ს“, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში ჯამურად მიანდა 6 981 597.4 ლარის პროდუქცია, ხოლო 01.01.2019 წლიდან 22.09.2020 წლამდე მოპასუხემ შპს „ბ-ს“ – 2 234 235.38 ლარის პროდუქცია. აღნიშნული სუბიექტები მოპასუხის მოთხოვნით ახორციელებდნენ ნაღდ ანგარიშსნორებას და მოპასუხისთვის მისაღებ თანხებს ნაღდი ანგარიშსნორების ან/და მათ პირად ანგარიშზე თანხის შეტანის გზით გადასცემდნენ მოპასუხის მმართველ პირებს – მისარჩელეს, თ. ბ-ვს, გ. ბ-ვს, რომლებიც, თავის მხრივ, ფარავდნენ მოპასუხის კრედიტორულ დავალიანებებს (როგორც საბანკო, კომუნალურებისა და სახელფასო).

4.16. არ არის დამაჯერებელი, რომ მოპასუხის სოლიდურ კომუნალურ ხარჯებს მოსარჩელე იხდიდა საკუთარი სახსრებით. ამასთან, სასამართლოს დასკვნით, ბანკსა და სამენარმეო საზოგადოებას შორის დამტკიცებული მორიგების ფარგლებში, მოსარჩელე იხდიდა არა საკუთარ, არამედ მოპასუხის თანხებს, რომელსაც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ჰქონდა სოლიდური შემოსავლები. ამდენად, სარწმუნო არ არის მოსარჩელის მტკიცება, რომ მან ბანკის წინაშე ვალდებულება შეასრულა საკუთარი სახსრებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოირიცხება მოსარჩელის ხარჯზე მოპასუხის უსაფუძვლოდ გამდიდრება.

4.17. არ დასტურდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, მოპასუხის ნაცვლად, მოსარჩელემ 03.05.2016 წელს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი საკუთარი სახსრებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა სამენარმეო საზოგადოების თანხას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს 30.06.2016 წლის განჩინებით დასტურდება, რომ მხარეები მორიგენერი, რის გამოც სახელმწიფო ბაჟის 50% – 3500 ლარი დაუბრუნდა სამენარმეო საზოგადოებას. ამდენად, მოთხოვნას ამ წარმიტიც არ გააჩნია ვარგისი სამართლებრივი არგუმენტაცია.

4.18. მოსარჩელე, როგორც დირექტორი და წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, ვალდებული იყო, სამენარმეო საზოგადოების სახელით შეესრულებინა ფინანსური ოპერაციები, გადაეხადა საბანკო ვალდებულებები, კომუნალური ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი. ამდენად, ის, რაც მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც შეგნებულად ან შეცდომით სხვისი ვალების გასტუმრებად (სსკ-ის 986-ე მუხლით). მოსარჩელეს, როგორც ყოფილ დირექტორსა და მოქმედ პარტნიორს, მართებდა მტკიცების მაღალი სტანდარტი და დამაჯერებელი არგუმენტაცია. ვინაიდან ის აცხადებს, რომ იხდიდა საკუთარ თანხებს მოპასუხის სასარგებლოდ, მინიმუმ უნდა წარმოედგინა კრედიტორული დავალიანების ბუღალტრულად ალრიცხვის მტკიცებულებები, საბანკო ოპერაციები შესაბამისი დანიშნულებით, პარტნიორთა კრების ოქმები და აღნიშნულის შესახებ სხვა პარტნიორთა ინფორმირებულობის ცნობები. ამგვარი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის, რაც, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველს აცლის.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:**

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.2022 წლის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 101 490.15 აშშ დოლარის ანაზღაურება; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 203 015.93 ლარის გადახდა (მოპასუხის ნაცვლად გადახდილი კომუნალური გადასახადები – 196015.93 ლარი და სახელმწიფო ბაჟი – 7000 ლარი); მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუ-

ხისთვის 106 740 აშშ დოლარის დაკისრებაზე.

### **გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:**

6.1. ის გარემოება, რომ მოსარჩელის ანგარიშიდან თანხა გადახდი-ლია ბანკის მიერ გაცემული სესხის დასაფარად, სადაც არ არის. მხა-რეთა შორის სადაც გარემოებას წარმოადგენდა ბანკისთვის გადახ-დილი თანხის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. მოპასუხის გან-მარტივით, მოთხოვნა სახელშეკრულებოა და მასზე სახელშეკრულე-ბო მოთხოვნებისთვის დამახასიათებელი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა უნდა გავრცელდეს, ხოლო მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოთხოვნა გამომდინარეობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც ფაქტობრივი გარემოება უნდა დადგინდეს თავ-დებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამწლიანი ხანდაზმულო-ბის ვადის ფარგლებში. დადგენილია, რომ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალ-დებულების შესრულების მიზნით მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან გადარიცხულია თანხები, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი ამონაწე-რის თანახმად, სულ გადახდილია 208 230.15 აშშ დოლარი, საიდანაც 13.01.2014 წლიდან 31.12.2015 წლამდე პერიოდში გადარიცხულია 15 700 აშშ დოლარი, 06.07.2016 წლიდან 12.12.2016 წლის პერიოდში – 40 000 აშშ დოლარი, ხოლო 12.01.2017 წლიდან 12.09.2017 წლამდე პერი-ოდში – 51040 აშშ დოლარი, რაც ჯამურად შეადგენს 106 740 აშშ დო-ლარს. სარჩელი სასამართლოში აღმრულია 18.06.2021 წელს. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა ხან-დაზმულია.

6.2. რაც შეეხება დარჩენილი 101 490.15 აშშ დოლარის დაკისრებას, მოპასუხის პოზიციით აღნიშნული თანხა არის სამეწარმეო საზოგადო-ების კუთვნილი თანხა. ეს მსჯელობა გაზიარებულია პირველი ინსტან-ციის სასამართლოს მიერ და დადგენილია, რომ მოსარჩელე, რომელიც სადაც პერიოდში დირექტორი იყო, სესხის დასაფარად იხდიდა მოპა-სუხის თანხას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანცი-ის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა. პალა-ტის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურ-დება, რომ თანხა გადახდილია მოსარჩელის, როგორც ფიზიკური პი-რის, პირადი ანგარიშიდან. შესაბამისად, ივარაუდება, რომ თანხა მო-სარჩელის კუთვნილებაა. სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთში შედის თანხის წარმომავლობის მტკიცება, არა-რელევანტურია განსახილველი დავისთვის, ვინაიდან მოსარჩელე, რო-გორც ფიზიკური პირი, და მოპასუხე, როგორც იურიდიული პირი, გან-სხვავებულ და დამოუკიდებელ სამართლსუბიექტებს წარმოადგენენ, გააჩნიათ დამოუკიდებელი სახელი, დამოუკიდებლად იძენენ უფლე-ბებსა და ვალდებულებებს, გააჩნიათ დამოუკიდებელი საბანკო ანგა-

რიში. შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები ეკუთვნის მოსარჩელეს. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხის მხარეზეა.

6.3. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ ა. მძის ჩვენებით მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის სამენარმეო საზოგადოებისადმი კუთვნილება ვერ დადასტურდება, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. პალატა არ დაეთანხმა მოპასუხის პოზიციას, რომ მოსარჩელე, როგორც დირექტორი, მოქმედებდა მოპასუხის საწინააღმდეგოდ. პალატამ ამ მხრივ ყურადღება გაამახვილა მხარეთა პოზიციებსა და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე.

6.4. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მტკიცების საგანში შედიოდა იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელე არღვევდა სამენარმეო საზოგადოების წინაშე ნაკისრ ფილუციურ ვალდებულებებს, მისი ქმედება ენინააღმდეგებოდა მოპასუხის ინტერესებს და ზიანს აყენებდა. მოპასუხის მიერ არ ყოფილა მტკიცებულება წარმოდგენილი, რომ პარტნიორებმა, როგორც დაინტერესებულმა პირებმა, დირექტორს წაუყენეს მოთხოვნა, მოითხოვეს რაიმე სახის ზიანის ანაზღაურება ან ასეთი სარჩელით მიმართეს სასამართლოს.

6.5. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს თავისი კუთვნილი თანხით შესრულებული აქვს სამენარმეო საზოგადოების ვალდებულება ბანკის წინაშე, რაც შეადგენს 101 490.15 აშშ დოლარს. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს. ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ 106 740 აშშ დოლარის ნაწილში პირველი სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

6.6. მეორე სასარჩელო მოთხოვნაა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 203 015.93 ლარის გადახდა (სამენარმეო საზოგადოების ნაცვლად გადახდილი კომუნალური გადასახადები – 1960 15.93 ლარი და სახელმწიფო ბაჟი – 7000 ლარი). სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რამე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: а) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ამავე კოდექსის 986-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. საქმეში წარმოდგენილია

სს „ს. ბ-ის“ 09.11.2020 წელს გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, 01.01.2014 წლიდან 09.11.2020 წლამდე მოსარჩელის ანგარიშიდან გადახდილია კომუნალური გადასახადები: სს „თ-ი“, დასუფთავების სამსახური, შპს „ჯ.უ.ე.ფ-ი“, შპს „ყ-ი“, ხოლო 02.06.2021 წლის ცნობის თანახმად, მოსარჩელის ანგარიშიდან მოპასუხის სასარგებლოდ შესრულებულია გადარიცხვა ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიშზე, სახელმწიფო ბაჟის სახით. სულ გადახდილია 196015.93 ლარის კომუნალური გადასახადი და 7000 ლარის სახელმწიფო ბაჟი. ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხე სადაცოდ ხდიდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ გადახდილი თანხა მისი კუთვნილება იყო, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და დაადგინა, ვინაიდან თანხა გადარიცხულია მოსარჩელის პრიადი ანგარიშიდან, სანინააღმდეგავს მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა. აღნიშნული მტკიცების ტვირთი მან ვერ დაძლია. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ნაწილში მოპასუხე მიუთითებდა სააპელაციო სასამართლოს 30.06.2016 წლის განჩინებაზეც, რომლითაც მხარეთა შორის შედგა მორიგება, რის გამოც სახელმწიფო ბაჟის 50% – 3500 ლარი დაუბრუნდა სამენარმეო საზოგადოებას. პალატის შეფასებით, სახელმწიფო ბაჟის ნაწილის დაპრუნქება სასარჩელო მოთხოვნას ვერ გააქარწყებს, რამდენადაც სასამართლოს განჩინებით 3500 ლარი დაუბრუნდა სამენარმეო საზოგადოებას და არა მოსარჩელეს, მიუხედავად იმისა, რომ თანხა მოსარჩელის მიერ არის გადახდილი. სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი კომუნალური ხარჯისა და სახელმწიფო ბაჟის თანხის – 203015.93 ლარის მოპასუხისთვის დაკისრების თაობაზე.

#### საკასაციო საჩივარის მოთხოვნა და საფუძვლები:

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მხოლოდ მოპასუხემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

7.1. წარმოდგენილი ურთიერთშედარების აქტებითა და ხელწერილებით დასტურდება, რომ მოპასუხე მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად პროდუქციის საფასურს იღებდა ნაღდი ანგარიშსნორების გზით, რადროსაც დირექტორს გადაეცემოდა თანხა, ხოლო უნაღდო/საბანკო ანგარიშსნორება სრულად შეწყვეტილი იყო, რაც დასტურდება ბანკის მიერ გაცემული ამონაზერით. აღნიშნული პრაქტიკა დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც მოსარჩელის, როგორც დირექტორის, მიერ არასწორად განხორციელებული საგადასახადო ოპერაციების შედეგად სამენარმეო საზოგადოებას 2013 წლიდან წარმოეშვა საგადასახადო დავალიანება. პროდუქციის რეალიზაციის შედე-

გად მისაღებ თანხებს იღებდნენ მმართველი პირები – მოსარჩევე, თ. ბ-ვი, გ. ბ-ვი, რომლებიც შემდგომ ფარავდნენ მოპასუხის როგორც საბანკო, ისე კომუნალურ და სახელფასო დავალიანებას. აღნიშნულს ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის მიერ წარდგენილი საბანკო ამონანერი, სადაც ნათქვამია: ბანკსა და სამენარმეო საზოგადოებას შორის 30.05.2013 წელსა და 12.06.2013 წელს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე მოსარჩელის ანგარიშის გავლით დაფარულია კონკრეტული თანხები. ამასთან, მოსარჩელის ანგარიშზე სამენარმეო საზოგადოების სესხების დასაფარად თანხები შეტანილიაქვთ თ. ბ-ვსა და გ. ბ-ვსაც. თ. ბ-ვს მის გარდაცვალებამდე ჯამურად 280 645 აშშ დოლარი აქვს გადახდილი ზემოხსენებული საბანკო ვალდებულებებისთვის.

7.2. მოსარჩელე ვერ ადასტურებს სხვა წყაროებიდან თანხის მიღებას და აცხადებს, რომ იგი სხვაგან არ ყოფილა დასაქმებული და სხვა არანაირი ოფიციალური შემოსავალი არ გაჩნდა.

7.3. სასამართლო სათანადოდ არ იკვლევს მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებითაც დასტურდება, რომ თანხები მოპასუხის საკუთრება იყო. სასამართლო არ ითვალისწინებს „ჯ. ბ-ისა“ და შპს „ბ-ის“ დირექტორების ხელშერიღლებს, სადაც ისინი პირდაპირ მიუთითებენ, რომ მათი კომპანიებისთვის მიწოდებული პროდუქციის საფასურს ისინი პირდაპირ გადასცემდნენ მოსარჩელეს, თ. ბ-ვსა და გ. ბ-ვს. არ არის გათვალისწინებული არც შედარების აქტები, საიდანაც ირკვევა, თუ რა ღირებულების პროდუქცია იქნა გადაცემული და რა თანხა მიიღო მოპასუხებ.

7.4. იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს სამენარმეო საზოგადოების ნაცვლად არ შეუსრულებია ვალდებულებები და ეს ვალდებულებები სრულდებოდა მოპასუხის თანხით, ადასტურებს ისიც, რომ მოსარჩელეს, როგორც დირექტორს, ეს თანხები ბუღალტრულად არ აღურიცხავს, როგორც მის მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანება. მოპასუხის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა დღის წესრიგში არ იდგა. სამენარმეო საზოგადოებას იმ დროისთვის არსებული აკრძალვების ფონზე შეზღუდული ჰქონდა საკუთარი საბანკო ანგარიშით სარგებლობის სამუალება. ამიტომ, ამ ვალდებულებებს მოპასუხე ასრულებდა მოსარჩელის, გ. ბ-ვისა და თ. ბ-ვის ანგარიშების გავლით. ანგარიშსნორებისას მოპასუხე არ იყო გადახდისუუნარო. აუცილებლობა, რომ მოსარჩელეს თავად გადაეხადა თანხა (საკუთარი თანხა), არ იდგა, ხოლო თუნდაც ასეთი რამ მომხდარიყო, შემდეგ აუცილებლად უნდა ასახულიყო იგი სამენარმეო საზოგადოების ვალად. ასეთი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

7.5. მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსარჩე-

ლე იხდიდა მოპასუხის კუთვნილ თანხას (რომელიც მას ნაღდი ანგარიშსნორების გზით ჰქონდა მიღებული) არის შემდეგი: 1) შპს „ჯ. ბ-სა“ და შპს „ბ-სთან“ დადებული ურთიერთშეთანხმების აქტები, 2) მ. მ-ძისა (შპს „ჯ. ბ-ის“ დირექტორი) და რ. გ-ას (შპს „ბ-ის“ დირექტორი) ხელნერილები, 3) მოსარჩელის ანგარიშზე შეტანის დამადასტურებელი ქვითრები (რომელიც ლოგიკურ ბმაშია შესაბამისი პირების მიერ თანხის განადლებასთან), 4) მ. გ-ის ხელნერილი (ასევე – ა. მ-ძის ხელნერილი). მ. მ-ძისა და რ. გ-ას ხელნერილების პოზიცია ხაზს უსვამს, რომ მოსარჩელეს აწვდიდნენ სამეწარმეო საზოგადოების კუთვნილ თანხებს. შესაბამისად, მოსარჩელის თანხის წარმომავლობა ბათილდება. საქმეში მოპასუხის მიერ წარმომავლობის ურთიერთშეთანხმების აქტებით დგინდება, რომ ნაღდი ანგარიშსნორების საფუძველზე გასული თანხების გათვალისწინებითაა გამოთვლილი კონტრაპენტებს შორის არსებული ფულადი ვალდებულებანი. მოსარჩელის ანგარიშზე თანხის შეტანა ემთხვევა სამეწარმეო საზოგადოებისთვის განსახორციელებელ ანგარიშსნორებას. თანხის წარმომავლობის საკითხზე ეს მტკიცებულებაც უსვამს ხაზს, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა ანგარიშზე თანხა, არამედ იხდიდა მას იმის შემდეგ, რაც ჩაურიცხავდა შესაბამისი პირი (ან პირადად მისცემდა) ნაღდი ანგარიშსნორების გზით. მ. გ-ი, როგორც ბულატერი, 2020 წლის ივლისის ჩათვლით, ადასტურებს, რომ მოსარჩელე სრულად არ აწვდიდა დოკუმენტაციას. მისი ხელნერილით ასევე დასტურდება, რომ შპს „ჯ. ბ-ის“ და შპს „ბ-ის“ მხრიდან ნაღდი წესით ანგარიშსნორება ხორციელდებოდა (მოსარჩელის მიმართ). საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ აქვს წარმომავლილი. მნიშვნელოვანია, ა. მ-ძის განმარტებაც. იგი საუბრობს, ერთი მხრივ, შედარების აქტსა და მის მნიშვნელობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ნაღდი ანგარიშსნორების პრაქტიკას.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდეს და საქმე ხელხლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენე-

ბული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონტმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს.

#### **10. დამტკიცებულად ცნობილია შემდეგი გარემოებები:**

10.1. მოსარჩელე არის მოპასუხე სამენარმეო საზოგადოების 10%-ის წილის მფლობელი პარტნიორი, რომელიც 2010 წლიდან 2020 წლის ივნისამდე გახლდათ მისი დირექტორიც;

10.2. 30.05.2013 წელს ბანკსა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე კრედიტორის წინაშე თავდებად დაუდგა მოპასუხეს და სოლიდარული პასუხისმგებლობა იყისრა სამენარმეო საზოგადოების მიერ კრედიტორთან 24.05.2013 წელს დადებული №24.05/13 კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

10.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.2016 წლის განჩინებით დამტკიცდა მორიგება ბანკსა და სამენარმეო საზოგადოებას შორის, რომლითაც ამ უკანასკნელმა იკისრა ბანკისთვის 807 381 აშშ დოლარისა და 78 ცენტის (ძირითადი დავალიანება 704 637 აშშ დოლარი და 57 ცენტი; პროცენტი – 102 744 აშშ დოლარი და 21 ცენტი; პირვასამტკელო – 6 480 აშშ დოლარი და 17 ცენტი) გადახდის ვალდებულება;

10.4. ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულების მიზნით მოსარჩელის საპანკო ანგარიშიდან გადარიცხულია 208 230.15 აშშ დოლარი და გადახდილია სამენარმეო საზოგადოების 196 015.93 ლარის კომუნალური გადასხად; ასევე, მოპასუხის ინტერესებში შესრულებულია გადრიცხვა პიუჯეტის შემოსულობების ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის სახით – 7000 ლარი.

11. სარჩელის საგანია ბანკისთვის გადახდილი თანხის, ასევე კომუნალური გადასახადებისა და სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად გაღებული ხარჯის მოპასუხისთვის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მო-

სარჩელე სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებებს საკუთარი ფულადი სახსრებით ასრულებდა. აღნიშნულს არ ეთანხმება მოპასუხის რომელიც განმარტავს, რომ მოსარჩელე სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებებს ასრულებდა არა საკუთარი, არამედ მოპასუხის თანხით, რომლის მართებულ აღრიცხვაზეც, როგორც ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი, თავად იყო პასუხისმგებელი და რომელსაც პროდუქციის რეალიზაციის შედეგად იღებდა ნაღდი ანგარიშსნორების გზით.

12. საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატა აფასებს 101 490.15 აშშ დოლარისა (მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულება) და 203 015.93 ლარის (მოპასუხის ნაცვლად გადახდილი კომუნალური გადასახადები – 196015.93 ლარი და სახელმწიფო ბაჟი – 7000 ლარი) ნაწილში სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების კანონიერებას.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.2022 წლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისთვის 106 740 აშშ დოლარის დაკისრებაზე, კანონიერ ძალაშია შესული.

14. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მხარეთა შორის სადავო გარემოებას ნარმობადგენდა ბანკისთვის გადახდილი თანხის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან, მოპასუხის განმარტებით, მოთხოვნა სახელშეკრულებოა..., ხოლო მოსარჩელე/აპელანტი მიჩნევს, რომ მოთხოვნა გამომდინარეობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა და, მიუხედავად იმისა, მხარე რა შეფასებას აძლევს სადავო ურთიერთობას, სასამართლო ვალდებულია, თავისი გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს (სუსგ №ას-358-610-08, 30.09.2008წ.). შესაბამისად, ბანკისთვის გადახდილი თანხის მოპასუხისთვის დაკისრების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სსკ-ის 905-ე მუხლის მიჩნევა/არმიჩნევა დამოკიდებულია ფაქტზე, უზრუნველყოფდა თუ არა 30.05.2013 წლის თავდებობა მორიგების აქტით ნაკისრ ვალდებულებებს (შდრ. სუსგ №ას-584-584-2018, 28.06.2019წ., პუნ.23,24). ამასთან, ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაშიც, სამართლებრივად რელევანტურია განკარგული თანხების ნარმომავლობა.

15. რაც შეეხება სამენარმეო საზოგადოების კომუნალური გადასახადებისა და სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხების მოპასუხისთვის დაკისრების მოთხოვნას, იგი სსკ-ის 986-ე მუხლიდან (პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ის-

ტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება) გამომდინარეობს. სსკ-ის 986-ე მუხლის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების ნარმოშობის საფუძველია, რადგან მოპასუხებ უსაფუძვლოდ დაზოგა ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაპრუნება (სუსგ №ას-891-2019, 30.10.2019წ., პუნ.8). სსკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ფულადი ვალდებულება და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა შესარულა (გაისტუმრა) (სუსგ №ას-334-2021, 05.11.2021წ., პუნ.94; №ას-623-2023, 12.09.2023წ., პუნ.69).

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში დაფუძნებულია მასზე, რომ, რადგან ბანკის სასარგებლოდ მოსარჩელე ანგარიშსნორებას ახორციელებდა საკუთარი ანგარიშიდან, ივარაუდება, რომ ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები ეკუთვნოდა მას. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას. პრეზუმაცია (ალბათობა), როგორც ლოგიკური სუბსტანცია, ნარმოიშობა, თუ ის ბუნებრივ, ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებაზე მიუთითებს (სუსგ №ას-1062-1022-2016, 19.02.2018წ., პუნ.39). პრეზუმაცია ნარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ („*Presumptio*“ – ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება; რამე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა). პრეზუმაციების მეშვეობით ნაწილდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი... მაშასადამე, პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური თავისებურება ისაა, რომ მისი გაქარწყლება ევალება მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს თავად ეს ფაქტი. თავის მხრივ, ამ პროცესუალური კომპონენტის სწორად განსაზღვრა ნარმოადგენს სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ნაწილს (იხ: ი. გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, თბ., 2020წ., გვ.234, 236, 237; სუსგ №ას-1059-2023, 14.12.2023წ.). შესაბამისად, პირის მიერ საკუთარი ანგარიშიდან თანხის განკარგვისას პრეზუმირებულია ფულადი თანხის მისადმი კუთვნილება.

17. თავის მხრივ, პრეზუმირებული ფაქტის პროცესუალური ბუნება გამოიხატება იმით, რომ ამგვარი ვარაუდის გაქარწყლება ეკისრება პირს, რომლის წინააღმდეგაც არის ის მიმართული (შდრ. სუსგ №ას-615-2022, 23.09.2022წ., პუნ.49; №ას-23-2020, 08.04.2022წ., პუნ.22). შესაბამისად, მოპასუხის შესაგებლის ფარგლებში გამოკვლეულ უნდა იქნეს, რამდენად კვალიფიციურად შეედავა იგი სარჩელის საფუძვლად მითითებულ გარემოებას, მის მიერ ნარმოდგენილი შესაგებელი, მტკი-

ცებულებები ხომ არ ქმნის პრეზუმაციის გაქარწყლების წინაპირობას. კვალიფიციური შედავების პირობებში მტკიცების ტვირთი მოპასუხის მხრიდან გადაღის მოსარჩელის მხარეს (შდრ. სუსგ №ას- 1062-1022-2016, 19.02.2018., პუნ.41).

18. მოცემულ შემთხვევაში, შესაგებელი დამყარებულია მასზე, რომ მოსარჩელე, რომელიც იყო, როგორც მოპასუხის ერთ-ერთი პარტნიორი, ისე დირექტორი, სამენარმეო საზოგადოების ანგარიშის გვერდის ავლით ანარმოებდა ფინანსურობერაციებს, რადროსაც მოპასუხის თანხებს განკარგავდა საკუთარი ანგარიშიდან სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებების დაფარვის მიზნით, კერძოდ:

18.1. საგადასახადო დავალიანებისა და შესაბამისი შეზღუდვების გამო ფულადი სახსრების მოძრაობა ვერ ხერხდებოდა მოპასუხის საბანკო ანგარიშზე. შესაგებელს ერთვის მტკიცებულებები, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამოკვლეული / შეფასებული არ არის;

18.2. ფინანსური პრობლემების მიუხედავად, მოპასუხეს ჰქონდა შემოსავლები, თუმცა ოპერაციები ხორციელდებოდა ნალი ანგარიშსწორების გზით. 01.05.2015 წლიდან 12.12.2019 წლამდე პროდუქციას ანვდიდა შპს „ჯ. ბ-ს“, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში ჯამურად მიაწოდა 6 981 597.49 ლარის პროდუქცია; 01.01.2019 წლიდან 22.09.2020 წლამდე მოპასუხებ შპს „ბ-ს“ მიაწოდა 2 234 235.38 ლარის პროდუქცია. შესაგებელს ერთვის მტკიცებულებები, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამოკვლეული / შეფასებული ასევე არ არის.

19. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება, თუ როგორ ხდებოდა სადავო პერიოდში მოპასუხის საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება, როგორ ალირიცხებოდა სამენარმეო საზოგადოების აქტივით თუ პასივით, ასევე გაურკვეველი შპს „ჯ. ბ-სა“ და შპს „ბ-თან“ მოპასუხის სახელშეკრულებო ურთიერთობისა, ანგარიშსწორების პირობები. დამატებით აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეს, როგორც დირექტორს, სამენარმეო საზოგადოების ვალდებულებების საკუთარი თანხით შესრულების შემთხვევაში, ხელენიფებოდა აღნიშნული ბუღალტრულად აესახა, როგორც მის მიმართ მოპასუხის ვალდებულება.

20. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს ამ გარემოებებზე მსჯელობას და შესაბამისი მტკიცებულებების (როგორც შესაგებელზე დართული, ისე მხარეთა მიერ შემდგომში წარდგენილი და საქმეზე დართული მტკიცებულებების შეფასებას, მათი იურიდიული ძალის შემოწმებას, საკასაციო პალატა კი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ამ ფაქტების არსებობა/არარსებობა და განსაზღვროს, რამდენად საქმარისია თუ იურიდიულად ძალმოსილია ეს მტკიცებულებე-

**ბი სადავო გარემოების დასადგენად.**

21. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ მოპასუხის ზემოაღნიშნული პრეტენზია, შინაარსობრივად გულისხმობს ე.წ. „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობაზე“ აპელირებას, კერძოდ, ამ ელემენტის დარღვევაა, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, ხდება პარტნიორის/დირექტორისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორის/დირექტორის პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით ან, როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება (შდრ. სუსგ №ას-1307-1245-2014, 06.05.2015.). მოპასუხე უთითებს არასათანადო ფინანსურ/ბუღალტრულ ანგარიშგებასა და სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებების მისივე აქტივით, თუმცა დირექტორის პირადი ანგარიშის გამოყენებით შესრულებაზე.

22. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, დაადგინოს, არსებობდა თუ არა სადავო პერიოდში უშუალოდ მოპასუხის/სამეწარმეო საზოგადოების ანგარიშიდან ბანკის წინაშე დავალიანების გადახდის დამაბრკოლებელი გარემოება და მოსარჩევის მიერ გადახდილი თანხების მოპასუხისადმი კუთვნილების ფაქტის არსებობა/არარსებობა. მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ყველა იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, რაც მათ იურიდიულ ბუნებას ახლავს. თითოეული მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებზე საუბარი. სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, როს შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. მტკიცებულების გამოკვლევა, უპირველესად, გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნობის) შემოწმებას (სუსგ №ას-406-383-2014, 17.04.2015).).

23. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ მოპასუხის ყოფილი და ამ-

ჟამინდელი ბუღალტრების ე.წ. განცხადებებს, მათ შორის სანოტარო წესით დამოწმებულს, ისინი მოწმის ჩვენებად ვერ შეფასდება. სსსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. მოწმე ჩვენებას იძლევა სასამართლოში მის მიერ ახსნა-განმარტების მიცემით (სსსკ-ის 147-ე-148-ე მუხლები). ამდენად, მოწმეების განმარტები მტკიცებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალის, თუ ისინი სასამართლო სხდომაზე დაიკითხენ. აღნიშნულის თაობაზე სასამართლო განუმარტავს მხარებს. სწორედ სასამართლოა მათი საპროცესო უფლებების სრულყოფილად რეალიზების გარანტი. მნიშვნელოვანია, ორივე მხარეს პქონდეს მოწმისთვის კითხვის დასმის საშუალება (სსსკ-ის 148.4). მოწმის სანოტარო წესით დადასტურებული ახსნა-განმარტება არ წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მტკიცებულებას (ზე: სუსგ №ას-545-508-2017, 21.09.2017წ; №ას-207-2019, 24.12.2020წ.). სასამართლომ მოწმე შეიძლება დაიბაროს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე (სსსკ-ის 178-ე და 140.3 მუხლები).

24. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების დავის ინიცირების უარყოფის შესახებ და უთითებს, რომ ასეთი სარჩელი წარდგენილია, ამის თაობაზე მითითებულ იქნა სააპელაციო შესაგებელში და არც მოსარჩელეს არ განუცხადებია სანინააღმდეგო. მოსარჩელე საკასაციო შესაგებელში განმარტავს, რომ „ასეთი შინაარსის სარჩელის აღძვრა გავლენას ვერ მოახდენს პ. მ-ის ამჟამად განსახილველ მოთხოვნაზე“. ამდენად, მოსარჩელე არ უარყოფს ასეთი დავის არსებობას, თუმცა არ ეთანხმება მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს შორის რაიმე კავშირს. საკასაციო პალატა ზოგადად განმარტავს, რომ იმავე მხარეთა შორის სხვა დავის წარმოებისას დადგენილი გარემოებები სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე პრეიუდიციულ ძალას იძენებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამისი გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. რაც შეეხება დავების პარალელურად წარმოებას, ამ დროს მნიშვნელოვანია, გაირკვეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც, შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში, ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. ასეთი კავშირის არსებობისას სასამართლო ვალდებულია სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეაჩეროს საქმის წარმოება, სხვა შემთხვევაში კი საქმის განხილვაუნდა გაგრძელდეს (სუსგ №ას-678-2023, 07.03.2024წ.).

25. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება განმტკიცებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, საქართველოს კონსტიტუ-

ციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია უფლების სასამართლო წესით დაცეის საყოველთაო პრინციპი – ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება. კონვენციის მე-6 მუხლით დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. სამართლიანი სასამართლის უფლების რეალიზება უმეტესილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ და საშევები და დასაბუთებული საკასაციო პრეტეზია. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქტებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამდენად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრას და აუქტებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, თუმცა, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა ხელახლა გამოკვლევა, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა შეაფასოს საქმის მასალები, სრულყოფილად დადადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

27. რაც შეეხება საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე კასატორის შუამდგომლობებს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებების ნარდგენის საქმაოდ მკაცრად განერილ პრო-

ცედურას და საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას კანონ-მდებლობით მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია – საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს (შედრ. სუსგ №ას-48-2020, 17.09.2020წ; №ას-27-2019, 15.11.2019წ.). შესაბამისად, არ არსებობს ამ შუამდგომლობების საკასაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების საფუძველი და მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს კასატორს.

28. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსაზიღველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსაზიღველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს.ქ.წ-ბის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.2022 წლის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსაზიღველად.

3. შპს „ს.ქ.წ-ბის“ შუამდგომლობები საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და მტკიცებულებები დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)